ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 7 მაისი, 2013 | №106 (6107) | ფასი: 30 თეთრი

7 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
საქართველოს ისტორია
10 ლარი

ალეკო შალამბერიძე: „მთავრობაში ცვლილებები იგეგმება“ გვ.3

ხალხი სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით ქუჩაში გამოვა



ბიძინა ივანიშვილი: „სოფლის მეურნეობის მინისტრი გამოძიების შეჩერებას მთხოვდა“ გვ.4

ეკა ბესელია: „აუცილებლად დავადგენთ, რას აკეთებდნენ ნაციონალები აგვისტოს ომის დროს“ გვ.2

„ივანიშვილს ვინრო ჯგუფი მართავს“ გვ.2

ნოკდაუნიდან პოლიტიკურ სასაფლაომდე გვ.6

საალდგომო ეპისტოლე გვ.5

მოდი, ვნახოთ „დ“ ანუ რამ შეჭამა „დ“ ქუთაისში?! გვ.6

თეიმურაზ მურვანიძე: „ნაციონალებს მალე ზოლიანი მაისურების ჩაცმა მოუწევთ“ გვ.4

1 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა
სამტომეულის პირველი ტომი
8 ლარი

ISSN 1987-9385

11 სირიამ ისრაელსა და აშშ-ს 24-საათიანი ულტიმატუმი წაუყენა

4 სოფლის მეურნეობის უწყებაში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურნენ

7 ჰიდროცეფალიის განკურნება შესაძლებელია

4 მე-12 ბატალიონის ბოლო ნაკადი სამშობლოში დაბრუნდა

„ივანიშვილს ვიწრო ჯგუფი მართავს“

ნათია ხურცილავა

ინტერვიუ პოლიტოლოგ გოგი ხუციშვილთან

– ბატონო გოგი, მინისტრთა კაბინეტში მომხდარი სკანდალის შესახებ რა შეგიძლიათ გვითხრათ? სოფლის მეურნეობის უკვე ყოფილმა მინისტრმა დავით კირვალიძემ განაცხადა, რომ ის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას იღებს და პოსტს ტოვებს, შეიძლება სააკაშვილის მთავრობასთან პარალელის გავლება ამ კუთხით?

– როდესაც წინა პერიოდთან, ხელისუფლებასთან ხდება შედარება, რამდენიმე ფაქტორს აქვს მნიშვნელობა: საერთოდ, ახალი ხელისუფლების ქმედებები პარლამენტში, მთავრობაში რამდენად ჯანსაღ პოლიტიკურ კლიმატის პირობებში ხორციელდება. მეორე, სახელმწიფო სისტემა არის თუ არა ძალიან დიდად და მეტისმეტად დამოკიდებული ერთ ადამიანზე და ერთი ადამიანის განწყობაზე.

– ვერტიკალზე საუბრობთ?

– დიახ, სწორედ ვერტიკალზე, გადის თუ არა ყველაფერი ამ ვერტიკალზე. როდესაც ხდება შედარება, უნდა აღვნიშნო, რომ დღევანდელი ხელისუფლების სასარგებლოა სიტუაცია.

– კონკრეტულად?

– ანალოგიური შემთხვევა, როდესაც იყო წინა ხელისუფლებაში, ისე ხდებოდა „მოგვარება“, რომ საჯარო დისკუსიის საგანი არც ხდებოდა. მისი გამოტანა სააშკარაოზე თითქოს შეუძლებელიც იყო. ყველაფერი ფარულად, კაბინეტის შიგნით გვარდებოდა. ისეთი დამოკიდებულება იყო, თითქოს ეს არავის ეხება. – რასაც გავაკეთებთ, შედეგს მერე გაიგებთ. – ასეთი იყო დამოკიდებულება. რატომ? რა მიზეზით? ეს არავინ არ იცოდა და სპეკულაცია იწყებოდა.

– გარეთ რომ ვერ გამოდიოდა, ეს კარგი იყო თუ ცუდი?

– ცუდი იყო.

– წინა ხელისუფლების პირობებში ტრანსფარანტულობაზე ვერც ვისაუბრებთ...

– ცხადია, არც იყო. ქედმაღალი, ბიუროკრატიული დამოკიდებულება იყო. მიზანმიმართულად ხდებოდა ხაზგასმა გათიშულობის, რომელიც ხალხსა და მთავრობას შორის არსებობს. ხელისუფლება ხალხის კანონიერ ინტერესს, რომ ჰქონოდა ინფორმაცია, არ იზიარებდა. აღარაფერს ვამბობ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაზე, ეს იყო კადაფიზაციის გზა.

– დღევანდელ მთავრობაზე რომ ვისაუბროთ, რას იტყვით, რა ხდება ამ მიმართულებით?

– ვერ ვიტყვი, რომ მდგომარეობა ამ მიმართულებით ბოლომდე გამოსწორებულია. თუმცა, როდესაც პრემიერ-მინისტრი მსჯელობს, მას გამოაქვს უფრო მეტი, რისი მოლოდინიც არ არის. ვერ ვიტყვი, რომ ამ შემთხვევაში ეს ცუდია, გამოაქვს თავისი მოსაზრება, დამოკიდებულება, გვეუბნება ღიად. მართლაც საჯაროს ხდის, მთელ საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას, რომ ჩაერთოს, თავისი აზრი დაა-ფიქსიროს, მაგრამ, ამავდროულად, ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა. მაგალითად, რატომ მაინცდამაინც კირვალიძე? ამ მთავარ კითხვაზე პასუხი არ არის გაცემული. სანამ გახდებოდა ცნობილი, თუ ვისზე იყო პრემიერის მინიშნება, ანალიტიკოსებს გამორიცხვის მეთოდით უხდებოდათ მსჯელობა. პრემიერი რომელიღაც მინისტრთან ურთიერთობას ხაზს უსვამს, როგორც დაახლოებულს, მეგობრულს და ა.შ. მეორეს აკრიტიკებს, მაგრამ ახსენებს, ერთადერთი მინისტრი ამ მინისტრთა კაბინეტში ვინც ვაკუუმში იყო, კირვალიძე იყო. დასკვნაც სწორი გაკეთდა, რომ მასზე იყო საუბარი, რომ მას მოხსნიდნენ. ეს არ არის ნორმალური გზა, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ასეთი გადაწყვეტილების განსაჯაროება.

– პრემიერის გულწრფელობასთან დაკავშირებით ბევრი საუბარია, ბევრი ამას მის დადებით მხარედ აფასებს...

– ნამდვილად გულწრფელი და უშუალო ადამიანია, მათთან შედარებით ვიდრე იყო რომელიმე წინა ხელისუფალი.

– რამდენად კარგია პოლიტიკოსის გულწრფელობა?

– სიმპათიას იწვევს. ეს რეალობაა. ზოგადად სახელმწიფო აპარატის პრაქტიკაში უნდა შემოვიდეს მოტივაციის განსაჯაროება.

– გადაწყვეტილების მიღებას რა დაედო საფუძვლად?

– დიახ. რომ არ დარჩეს სპეკულაციის საშუალება. სპეკულაციები ხდება, რომ თითქოს ივანიშვილზე გავლენას ახდენს ადამიანების ვიწრო ჯგუფი, რომლებიც მასთან დაკავშირებული არიან, მდგომარეობით, თანამდებობით. ამ შემთხვევაშიც არის ვარაუდი, ვინაიდან სოფლის მეურნეობის სფეროში მილიარდიანი ინვესტიცია იდება არ არის გამორიცხული, ამ ინვესტიციის განკარგვა მოექცეს იმ ხალხის გავლენის ქვეშ, ვინც პრემიერ-მინისტრის აზრის ჩამოყალიბებაზე მოქმედებს. არ არის გამორიცხული, რომ კირვალიძესთან ამ ადამიანებს არ ჰქონდათ აწყობილი ურთიერთობა და ურჩევნიათ, იყოს ვინმე სხვა, რომლის ლობირებაც ხდება.

– ბატონო გოგი, რა ინფორმაცია გაქვთ, ვისი ლობირება ხდება?

– არ ვიცი.

– სხვათა შორის, შემცვლელი არ დასახელებულა, როგორც ცნობილია, მოადგილე შეითავსებს...

– არ დასახელებულა, თუმცა მთავარი ის არის, რომ საზოგადოებაში, რომ არ იყოს ასეთი სპეკულაციები საზოგადოებაში, ჯობია, მოტივაცია უკეთესად იყოს ჩამოყალიბებული გადაწყვეტილების მიღების დროს, მით უფრო საკადრო ცვლილების დროს.

– ძიების პროცესის დასრულების შემდეგ მაინც ვერ გავიგებთ, რა მოხდა?

– რთულია გიპასუხოთ. თუ კორუფციის ფაქტებს უკავშირდება, მაშინ ეს ხაზგასმული უნდა იყოს.

– მინისტრთა კაბინეტის საკადრო ცვლილებაზე იყო საუბარი. ფიქრობთ, ეს ფაქტი ამ პროცესს დააჩქარებს?

– როგორც წესი, ერთი საკადრო ცვლილება მეორესა და მესამეს იწვევს. ამ შემთხვევაშიც უკეთესია, რომ მეტი სიცხადე იყოს, ვიცოდეთ, რას აპირებს პრემიერი საკადრო მიმართულებით. რა მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს საკადრო ცვლილებები.

– უფრო ეკონომიკურ გუნდს შეეხება ცვლილებები?

– არა მხოლოდ, მაგრამ, რა მიმართულებით, არ ვიცით. ადგილები თავისუფლდება. მაგალითად, ზოგიერთი თანამდებობის პირი მდგომარეობას იცვლის. მაგალითად, პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე ელჩი ხდება.

– თედო ჯაფარიძეზე საუბრობთ, რომელიც დიდ ბრიტანეთშია ელჩის თანამდებობაზე წარდგენილი?

– დიახ. ამას აუცილებლად მოჰყვება გადაადგილება. როგორ მოხდება გადაადგილება, რას გამოიწვევს ეს, ეს ის საკითხებია, რომელიც საზოგადოებას აინტერესებს. იმისთვის, რომ მთავრობის თანმიმდევრული პოლიტიკა გამოჩნდეს, საჭიროა, პრესას, საზოგადოებას მეტი ინფორმაცია მიეწოდოს.

– ბატონო გოგი, ფიქრობთ, რომ პრემიერს ჰყავს მისი ფრთის ქვეშ მყოფი, ფავორიტი მინისტრები და ნაკლებად ფავორიტები?

– ბოლო დროს ეს სულ უფრო მეტად ჩანს, რა მე მაწუხებს. – ჩემი მეგობარია – ეს არ არის არგუმენტი რაღაც პოზიციის წინააღმდეგ. ქვეყნის ლიდერის არგუმენტირებული დამოკიდებულება საზოგადოებას დააწყნარებდა.

– 1 მაისის აქციაზე მინდა გკითხოთ, რა მოხდა?

– ჩემთვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა, რატომ მოხდა სიტუაციის ასე გამწვავება ქუჩაში. რომელი მხარის ინტერესებში შედიოდა ეს? ეს დემონსტრაცია არ უკავშირდებოდა ისეთ მწვავე საკითხს, რომ ასეთი აგრესიული ამბავი გამოეწვია.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ღარიბაშვილს ეს მოუწყვეს?

– არ არის გამორიცხული. ძალიან ხელოვნური იყო ქუჩებში სიტუაციის უცებ გამწვავება. ერთი მხრივ, პოლიციის ქმედება და მეორე მხრივ – სტუდენტების საქციელი.

ეკა ბესელია: „აუცილებლად დავადგენთ, რას აკეთებდნენ ნაციონალები აგვისტოს ომის დროს“

შორენა კოწოწაშვილი

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, დეპუტატი ეკა ბესელია მიიჩნევს, რომ სააკაშვილის გუნდის წევრებს მორალური უფლება არა აქვთ, ეროვნულ მოძრაობაზე ილაპარაკონ.

ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ფიქრობს, რომ, საპარლამენტო უმცირესობის რიტორიკის მიუხედავად, აგვისტოს ომი უნდა იქნეს გამოძიებული და ყველა დამნაშავე – დასჯილი.

რამდენად სწორად ესმით კოალიციანელებს სააკაშვილის თანაგუნდელებს და დარჩებიან თუ არა კანონდამრღვევი ნაციონალები პასუხისგების გარეშე? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიასთან.

– ქალბატონო ეკა, პრემიერის ევროსაბჭოში გამოსვლა სხვადასხვაგვარად შეფასდა. პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი იმასაც ამბობს, რომ ივანიშვილმა ეს მაღალი ტრიბუნა სათანადოდ ვერ გამოიყენა...

– ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველი გამოსვლა და ვიზიტი იყო ძალიან საინტერესო და წარმატებული, სააკაშვილისაგან სრულიად განსხვავებული გამოსვლა, ლექსიკა და დამოკიდებულება ყველა მთავარი საკითხისადმი, რაზეც პრემიერმა ისაუბრა. მთავარი რამ თქვა ბატონმა ივანიშვილმა, რომ საქართველო ახლა დაადგა დემოკრატიის გზას, რომ ქვეყანა ოკუპირებულია და ომმა ორივე ქვეყანას ზიანი მოუტანა. პოლიტიკა შესაცვლელია და მშვიდობიანი გზით უნდა გადაიჭრას პრობლემები. ადამიანის უფლებებია მთავარი და ევროპა სწორედ ამით არის ახლო და საინტერესო. პოზიცია მუდმივად ცრუობს და ატყუებს უცხოელებს, მაგრამ ხელისუფლება ცდილობს მათთან საერთო ენის გამონახვას. კოალიციანელობა იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უარს ვიტყვით სამართლიანობის აღდგენაზე. სამართლიანობა უმთავრესია და დღეს ადამიანებს სწორედ ეს სჭირდებათ. ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ გაუსვა ხაზი ამ ფრაზებს და თქვა, რომ ბევრი ამ ორ ცნებას ერთმანეთთან აიგივებს. ეს მკაფიო განცხადება იყო, რომ ვერ დავხუჭავ თვალს, როდესაც ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნაა და სამართლიანადაც.

– საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან აგვისტოს ომის გამოძიების თემას პრეზიდენტისა და მისი გუნდის მხრიდან მკვეთრი შეფასებები მოჰყვა. პრეზიდენტმა ცალსახად თქვა, რომ გამოძიებასთან არ ითანამშრომლებს და მისი დაკითხვაზე მისვლა გამორიცხულია. როგორ წარმოუდგენია ხელისუფლებას აგვისტოს ომის გამოძიება, თუ ამაში უმცირესობა პოლიტიკურ ინტერესებს ხედავს?

– რასაკვირველია, გამოძიება უნდა ჩატარდეს. სირცხვილია, რომ ასეთი მოვლენა ხდება ქვეყანაში და გამოძიება არ ტარდება, ვინ რას აკეთებდა. ადამიანის უფლებები ირღვეოდა და რატომ ომის დღეებში? ვინ დაიწყო ომი, ეს არ არის პროკურატურის კვლევის საგანი. მაგრამ რას აკეთებდნენ პოლიტიკური თანამდებობის პირები იმ დღეებში და ასრულებდნენ თუ არა მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ეს არ აინტერესებს გამოძიებას? სააკაშვილი არ არის საქართველო, საქართველო მარადიულია და რაც მათ გააფუჭეს, ეს უმიზეზოდ არ მომხდარა. საერთაშორისო ვალდებულება გვაქვს რომის სტატუტით, რომ ჩვენ გამოვიძიოთ ის, რაც გამოსაძიებელია. ეს ქვეყნის სუვერენიტეტს არ ეხება. ხალხს აქვს კითხვა და პასუხებია გასაცემი. ჩვენი ყოველი გადაწყვეტილება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ინტერესების მიხედვით იქნება მიღებული.

– თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ სააკაშვილს მოუწევს გამოძიებასთან თანამშრომლობა? ნაციონალებისთვის ამ ფორმით კოალიციანელობა მიუღებელია.

– ვფიქრობ, სააკაშვილს მოუწევს გამოძიებასთან თანამშრომლობა.

– ითქვა, რომ თუ ივანიშვილის ხელისუფლების რუსული ნაბიჯები საქართველოს დასავლეთიდან მხარდაჭერას დაკარგვინებს და ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების პროცესი დაიწყება. არასწორია შეფასებებია?

– რა თქმა უნდა. დღეს რუსეთთან ურთიერთობის ახალი ეტაპია. სააკაშვილის მხრიდან ხალხის მოტყუება და მუშტების ჰაერში ქნევა უკვე სასაცილო და კარიკატურულია. მისმა პოლიტიკამ მოგვიტანა ის შედეგი, რაც დღეს საქართველოს სჭირს. ახალი ხელისუფლება არ გააგრძელებს ამ უპასუხისმგებლო პოლიტიკას და, როგორც ითქვა, ურთიერთობა აეწყო კორექტულ, მაგრამ პრინციპულ პოზიციაზე. საქართველოსთვის ცხინვალი და აფხაზეთი განუყოფელი ნაწილებია და მე მჯერა, ამ ოცნებას ავიხდენთ, თუმცა ამას დრო სჭირდება. ნაციონალების ისტერიკა მაფიქრებინებს, რომ მათ სურთ, ამ ვითარებაში დარჩეს ქვეყანა. ჩემი აზრით, მათ მორალური უფლება არა აქვთ, ვინმეს მორალი უკითხონ. მათ ჯერ არ აუღიათ პასუხისმგებლობა იმაზე, რაც ჩაიდინეს.

– თქვენ მორალურ უფლებაზე საუბრობთ, ნაციონალებმა კი 19 აპრილის აქციაზე მათი მხრიდან ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყება დააანონსეს. როგორ ფიქრობთ, საზოგადოება მიიღებს ვანო მერაბიშვილს ეროვნული მოძრაობის ლიდერად?

– 19 აპრილის აქცია მართლაც იყო ნაციონალური მოძრაობის უნიჭო და კომიკური პერფორმანსი. რას ჰგავდა მათი გამოსვლები? რომელ ეროვნულ მოძრაობაზე საუბრობდა ან ვაშაძე, ან ვანო მერაბიშვილი? სასაცილოა, აბა არა, რომ ვანო მერაბიშვილი იყოს ეროვნული მოძრაობის ლიდერი. მგონი, ნაციონალები რეალობას ასცდნენ და თავისივე გამოგონილ; სამყაროში დარჩნენ. საინტერესოა, რომელ ეროვნულ ფასეულობაზე ლაპარაკობს ვანო მერაბიშვილი იმ ადგილიდან, სადაც სისხლში ახშობდა მშვიდობიან მომიტინგეებს და თვალებს სთხრიდა საკუთარ მოქალაქეებს. როგორ უნდა ბედავდეს ვანო მერაბიშვილი ამდენი ძალადობის შემდეგ და სხვა ნაციონალები, რომ სამართალზე გველაპარაკებიან? მიმაჩნია, რომ უსწრაფესად უნდა იყოს გამოძიებული 7 ნოემბრიდან 26 მაისის ჩათვლით ყველა დარბევა და ძალადობა. აქ ვგულისხმობ იმ ძალადობასაც, რომელიც არჩევნების წინ ხდებოდა. ვიცი, რომ პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს და ეს საქმეები ბოლომდე იქნება მიყვანილი. ჩვენ, ხელისუფლების თითოეულმა წარმომადგენელმა, უნდა უზრუნველვყოთ, რომ ჩვენი მოქალაქეების დარღვეული უფლებები აღვადგინოთ. ათასობით ადამიანი ელოდება უკანონო განაჩენების გადასინჯვას, ჩამორთმეული სახლ-კარისა და ბიზნესის დაბრუნებას. რიყეზე რომ ანგრევდნენ და მერე „ბუდა ბარები“ აგვიშენეს, მიუხედავად პატრიარქის წინააღმდეგობისა, ამას რა ჰქვია?! „დელისის“ მეტროსთან რომ კერძო მესაკუთრეს დაუნგრიეს კერძო საკუთრება, ეს არ იყო კანონის დარღვევა, თუ გადაფორმებული ნაჩუქარი ქონების საკითხი იყო კანონიერების გამოხატულება, რომელი ერთი ჩამოვთვალო, არ ვიცი. მართლაც უამრავი საქმე და დანაშაულია გამოსაძიებელი. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ადამიანებს დავეხმაროთ. უკვე 6 000-ს გადასცდა ჩემს კომიტეტში შემოსული საჩივრების რაოდენობა. მათი დიდი ნაწილი უკვე რეაგირებულია ჩემგან და ახლა შედეგებს ველოდები. სახალხო დამცველის ანგარიშს ვიხილავთ ეტაპობრივად და მასზეც რეაგირებაა საჭირო. ბუნებრივია, ყველაფერი ეს ერთად არსებული ქმნის სამართლიანობის პროცესის ხელშეწყობის საფუძვლებს. კიდევ უამრავი ადამიანი დარჩა, ვინც თავისუფლებას ელოდება. კარგად მუშაობს ახალი შს მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც მართლა ყველაფერს აკეთებს, რომ წესრიგი იყოს. ყველას ხელშეწყობა და თანადგომა სჭირდება. მინდა, ყველას ვუთხრა, ჩვენ დღეს ხელისუფლებაში ვართ არა იმიტომ, რომ ჩვენ ვიყოთ კარგად, არამედ ჩვენი მოსახლეობა რომ იყოს კარგად. მათზე უნდა ვიზრუნოთ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ალეკო შალამბერიძე: „მთავრობაში ცვლილებები იგეგმება“

შორენა მარსაგიშვილი

ხალხი სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით ქუჩაში გამოვა

ინტერვიუ „თავისუფალი საქართველოს“ გენერალურ მდივან ალეკო შალამბერიძესთან

– საოცნებო მთავრობაში ერთმა მინისტრმა უკვე დატოვა თანამდებობა. ამას ერში დიდი ყრიამული მოჰყვა. მავანი ვარაუდობს, რომ ივანიშვილის მთავრობაში მალე სიტუაცია აირევა და დავით კირვალიძეს ბევრი მოჰყვება უკანონ. თქვენ რას ფიქრობთ?

– სანამ მთავრობაში არეულობაზე დავიწყებდეთ საუბარს, თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა საქართველოს მოსახლეობას აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და გიორგობა მივულოცო. პირადად ჩემთვის დავით კირვალიძის გადადგომა დიდი საკვირველება არ ყოფილა. მე იმ რეაქციებმა უფრო გამაკვირვა, რაც ხალხს ჰქონდა. საკვირველი კიდევ ისაა, ამდენ ხანს როგორ არ განხორციელდა მთავრობაში საკადრო ცვლილებები. „ქართული ოცნება,“ მოგეხსენებათ, რომ მყისიერი გაერთიანებაა. ასეთი გაერთიანებები კი დიდი სიმტკიცით არ გამოირჩევიან. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს გაერთიანება სააკაშვილის დასამარცხებლად შეიქმნა. ბიძინა ივანიშვილმა სააკაშვილის დამარცხებით დიდი საქმე გაგვიკეთა ქართველებს. ახლა დრო დადგა, რომ სხვა პრობლემებსაც მიხედონ. რაც შეეხება მთავრობის შიგნით არსებულ ვითარებას, მგონია, რომ სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდება. მგონია, რომ მთავრობაში დიდი ცვლილებები იგეგმება.

– ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?

– მათ რიგებში უკვე ღია დაპირისპირებაა, ვიცე-პრემიერი გიორგი მარგველაშვილი საპარლამენტო უმრავლესობას დაეტაკა. განაცხადა, მათ მიერ მიღებული შრომის კოდექსი როზა ლუქსემბურგის ოცნების ასრულებაო. ეს გუნდი ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კახა კალაძე იკავებს ენერგეტიკის მინისტრის პოსტს. ამიტომაც ნუ გვიკვირს, რომ მთავრობაში ბევრი გაუგებრობაა. წინ საინტერესო მოვლენები გველოდება.

– მოდით, ახლა სოფლის მეურნეობის სამინისტროში შექმნილ ვითარებაზე ვისაუბროთ. ნაციონალების მტკიცებით კორუფციამ არნახულ ზღვარს მიაღწია.

– კორუფციის ფაქტები ნამდვილად დასტურდება. ამიტომაც გადადგა თანამდებობიდან დავით კირვალიძე. ის გოგა ხაჩიძესავით არ მოქცეულა. ალბათ, გახსოვთ ლამის მთელი სამინისტრო დაიჭირეს, ხაჩიძე კი გარემოს დაცვის მინისტრის პოსტზე დარჩა. ნაციონალების მხრიდან სხვა მთავრობის კორუმპირებულობაზე საუბარი სულ ცოტა უხერხულია. 9 წლის განმავლობაში ქვეყანაში ელიტური კორუფცია მძვინვარებდა. ამ წლების მანძილზე არც ერთი სახელმწიფო უწყების შემოწმება არ მომხდარა. ყველაფერი ამათ ხელში იყო და ათას საშინელებას აკეთებდნენ. ახლა ვითარება შეიცვალა და სახელისუფლებო სტრუქტურების კონტროლი ხდება. გამოვლინდა კიდევაც დარღვევები.

– ამ დარღვევების გამოვლენამ და კირვალიძის გადადგომამ ხალხში განსხვავებული განწყობა გააჩინა. ერთნი ფიქრობენ, რომ ამ ქვეყანას არაფერი ეშველება და მთავრობა სულ კორუმპირებული იქნება. მეორენი ფიქრობენ, რომ რაკი კირვალიძე გადადგა მთავრობას პასუხისმგებლობა აქვს. თქვენ, როგორც გარედან მაყურებელი, რას ფიქრობთ, გვეშველება რამე?

– მოდით, შევთანხმდეთ, რომ სიტუაციის გარედან მაყურებელი არის ამერიკის ელჩი საქართველოში და არა მე. კირვალიძის გადადგომა იყო სწორი და ღირსეული ნაბიჯი. ამას იმედია, ხალხი დააფასებს. თუმცა ხალხს ძალიან გაუცრუვდა იმედი, როცა გაირკვა, რა ხდებოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში. არადა, ეს დარგი ხელისუფლებამ პრიორიტეტულად მიიჩნია. ყველაზე დიდი იმედგაცრუება ის გახლავთ, რომ ნაციონალებმა ოპოზიციის ნიშა დაიკავეს.

– რატომ არის ეს ყველაზე დიდი ტრაგედია?

– იმიტომ, რომ ნაციონალები არიან კრიმინალები. ოპოზიცია კი კრიმინალების თავშესაფარი არ არის. როცა ხელისუფლებაში იყვნენ, ოპოზიციას სულ კრიმინალებს გვეძახდნენ. ჩვენ კრიმინალები არასდროს ვყოფილვართ, ესენი კი ჩამოყალიბებული კრიმინალები არიან. სხვა საშინელებებს რომ თავი დავანებოთ, ამ 9 წლის მანძილზე ბიუჯეტის ფული სახლში მიჰქონდათ. ნაციონალები არ შეიძლება ოპოზიციაში იყვნენ. თუ გვინდა, რომ ახალმა ხელისუფლებამ მართლაც კარგად აკეთოს საქმე, მას პარლამენტში ნამდვილი ოპოზიცია უნდა ჰყავდეს. ნამდვილი ოპოზიცია მოახდენს ჯანსაღ ოპონირებას. რაც საქვეყნო საქმეს წაადგება. ნაციონალებს კი ბევრი არაფერი აქვთ სათქმელი. მეოცნებეებს მათი გაჩერება ნებისმიერ წუთას შეუძლიათ. ყველა მათგანს ცალი ფეხი ციხეში აქვს.

– საეჭვოა, რომ ციხეში მოუწიოთ წასვლა. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ამბობს, რომ ისინი მზად არიან, მიუტევონ ნაციონალებს.

– რას ჰქვია, მიუტევონ? რამდენადაც მახსოვს, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დევიზი ნაციონალებისთვის მიტევება არ ყოფილა. ისინი ყველა შეხვედრაზე ხაზგასმით ამბობდნენ, რომ აღადგენდნენ სამართლიანობას. განცხადებები ნაციონალების პატიებაზე ხალხის დიდ და სამართლიან გაღიზიანებას იწვევს. დამნაშავის ადგილი არის ციხეში. კოჰაბიტაციის ხათრით ეს პროცესი გაჭიანურებულია. ხალხი ისედაც ნერვიულობს. და საჭირო არ არის, უსუფაშვილმა ხშირად ისაუბროს მიტევებაზე. ადამიანს რომ მიუტევო, მან პატიება უნდა ითხოვოს. ერთი მანახეთ, რომელი ნაციონალი გამოვიდა და პატიება ითხოვა. მესმის, რომ ამ პროცესების უკან დასავლეთი დგას, მაგრამ როდემდე უნდა ვიაროთ მათ ჭკუაზე. ბიძინა ივანიშვილმა რამდენჯერმე თქვა, რომ ის ქართველი ხალხის დაკვეთას შეასრულებდა. ქართველი ხალხის დაკვეთა არის სამართლიანობის აღდგენა. რაც მალე დაიწყება ეს პროცესი მით უკეთესი იქნება ახალი ხელისუფლებისთვისაც და ქვეყნისთვისაც. ყველამ უნდა იცოდეს, რომ თუ დააშავებს ციხეში წავა.

– პოლიტიკოსები ხშირად ამბობთ, რომ ხალხის დაკვეთა უნდა შესრულდეს. რატომ არ ითხოვს თავად ხალხი სამართლიანობის აღდგენას?

– საქართველოში ადამიანების ორგანიზება ძალიან ძნელია. აქვე არ დავივიწყოთ, რამხელა ძალისხმევა გაიღო ხალხმა სააკაშვილის რეჟიმის გადასაგდებად. მთელი 9 წელი ხალხი ჯოჯოხეთში ცხოვრობდა.

– 9 წელი ჯოჯოხეთში რომ იყვნენ, ამიტომ უფრო არ უნდა მოითხოვონ დაპირებული სამართლიანობის აღდგენა?

– უნდა მოითხოვონ, მაგრამ გადაიღალა ხალხი. ასე უცბად არავინ არ გამოვა ქუჩაში. ქუჩაში გამოსვლას სიტუაციის მომწიფება სჭირდება.

– რანაირად უნდა მომწიფდეს? მაინცდამაინც ეროვნულ გმირებად უნდა აღიარონ ნაციონალები, ხალხს რეაქცია რომ გქონდეს?

– იმედია, გმირებად მართლა არ აღიარებენ. ენის მოჩლექით კი უკვე კარგა ხანია, რაც ელაპარაკებიან. ეს ხალხის გაღიზიანებას იწვევს. ადრე თუ გვიან, ხალხი ალბათ მაინც გამოვა ქუჩაში და დანაპირების შესრულებას მოითხოვს. ამას დრო თავად მოიტანს. მე სერიოზულად მაწუხებს ისიც, რომ ახალი ხელისუფლება ნაციონალების ლოზუნგებით გველაპარაკება.

– რომელმა ლოზუნგმა მოგიშალათ ნერვები?

– „ქართული ოცნების“ ლიდერები ბიძინა ივანიშვილის თამადობით გვაიმედებენ, რომ ნატოს კარი საქართველოსთვის უკვე ღიაა. ამ კარების ჭრიალს ჯერ ნაციონალებმა გადაგვაყოლეს. განაცხადეს, რომ ქართული ჯარები ავღანეთში 2014 წლის მერეც დარჩებიან.

– შეთანხმების თანახმად, ჩვენ ავღანეთი 2014 წელს უნდა დაგვეტოვებინა.

– უნდა დაგვეტოვებინა, მაგრამ ნატოს კარის ჭრიალის ხათრით ვტოვებთ ჩვენს ჯარებს ცხელ წერტილში. ასე არ შეიძლება. ნატოს კარის „რუჩკის“ ტრიალს და ავღანეთში ჯარების დატოვებას ჯობია, შიდა პრობლემებს მივხედოთ.

– მიგაჩნიათ, რომ შიდა პრობლემების მოგვარებას ახალი ხელისუფლებაც გაურბის?

– გაურბის თუ არა, ვერ გეტყვით. ფაქტია ის, რომ არ გვარდება მთელი რიგი პრობლემები. რა გახდა ბანკის მოვალეებისა და უსახლკაროების პრობლემის მოგვარება თუ არა შემსუბუქება მაინც. რა გახდა საავადმყოფოების პრობლემების მოგვარება? სამწუხაროა, რომ არც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართულებით ხდება საკითხების გადაჭრა. წინა კვირაში თბილისში ნატოს ეგიდით სემინარი ჩატარდა. იქ ივანიშვილმა განაცხადა, რომ ჩვენ მკაცრად გვაქვს გადაწყვეტილი ნატოში შესვლაო. პოლიტიკას სიმკაცრე არ უყვარს. ამის გარდა იქ ერთმა ექსპერტმა პირდაპირ გვითხრა,



რომ სანამ ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება, საქართველოს ნატოში არ მიიღებენ. ნატოს ხათრით მაინც დაიწყონ ამ პრობლემის მოგვარება. მე მართლა ვერ ვხვდები, რატომ მივრბივართ ასე თავპირისმტვრევით ნატოში, სადაც არავინ არ გვიშვებს. იქ კარებზე ბრახუნს სჯობია რუსეთთან დიალოგი დავიწყოთ და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე ვიზრუნოთ.

– რუსეთი ასე იოლად არ დააბრუნებს წართმეულს.

– ამიტომაც უნდა ვიმუშაოთ დღე და ღამე. ამაში დასავლეთიც დაგვეხმარება. ოღონდ ჩვენ ღიად უნდა ვთქვათ, რომ რუსეთთან დიალოგს ვიწყებთ.

– ხომ დაიწყო ამ ხელისუფლებამ რუსეთთან დიალოგი. შედეგი კი არ ჩანს.

– ამ მიმართულებით დადებითი ნაბიჯები გადაიდგა, რასაც დიალოგს ჯერ ვერ დავარქმევდი. ეს მხოლოდ მოთელვაა. გარწმუნებთ, სანამ რუსეთთან ურთიერთობებს არ მოვაგვარებთ, ნატოში არავინ შეგვიშვებს. ალიანსის წევრობას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სჭირდება. რუსეთთან დიალოგის გარეშე კი ეს პრობლემა არ მოგვარდება. თანაც არავინ არ გღებულობს ამ ნატოში და ტყუილ ბაქი-ბუქს მოვრჩეთ. ამით რუსეთს ვაღიზიანებთ. ძალიან მწყინს ივანიშვილის ხელისუფლება ნაციონალების კურსს რომ ატარებს. ეს კურსი სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს.

– არადა, ნაციონალები ამბობენ, რომ მეოცნებეები რუსეთს ჩაეხუტნენო. ამის ნათელ მაგალითად სოჭის ოლიმპიადა დასახელდა. ქართული მხარე დათანხმდა ამ ოლიმპიადაში მონაწილეობას.

– ძალიანაც კარგი, რომ დათანხმდა. ოლიმპიადა არის სპორტული ღონისძიება და მეტი არაფერი. თუმცა ეს ოლიმპიადა უფრო მეტია, ვიდრე სპორტული შეჯიბრი.

– მაგიტომაც ამბობენ ნაციონალები, მეოცნებეებმა რუსეთს თავი დაუხარესო.

– პირდაპირ ვიტყვი: დათვი რომ მოგერევა, ბაბაია დაუძახეო.

– ეგ დათვზეა ნათქვამი. რუსეთზე არც ეგ გაჭრის.

– გაჭრის. ასე მოიქცა მეოცე საუკუნეში ფინეთი. დღეს ეს ქვეყანა გადასარევად არის. სადაც საჭიროა, იქ ცოტა ხანს უნდა დახარო თავი. პოლიტიკა პურის ყანასავითაა და არა მუხასავით, რომელსაც, ქარი რომ დაუბერავს, ფესვებიანად აგდებს მიწიდან. პურის ყანა ქარის დროს წვება, როცა ქარი გადაივლის, ისევ წამოდგება ფეხზე. სწორედ ასეა პოლიტიკური ცხოვრებაც. ივანიშვილი დიდ შეცდომას უშვებს სააკაშვილის ხისტ პოლიტიკას რომ აგრძელებს და გაიძახის, ნატოს კარი ღიააო. გაიგეთ, ხალხო, არ არის ეს ნატოს კარები ღია. გერმანია და საფრანგეთი ჩვენ წინააღმდეგ გამოდის. ჩვენ გამო ისინი რუსეთს არ აწყენინებენ. ამას უნდა მივხვდეთ და რუსეთთან საერთო ენის გამონახვას ვეცადოთ. ახლა ესაა მთავარი და არა იმაზე თავის მტვრევა, როდის გაიღება ნატოს კარი და რომელი მინისტრი მიჰყვება დავით კირვალიძეს.

– თქვენი აზრით, რომელი მინისტრი მიჰყვება?

– მისი ბედი შესაძლოა ნებისმიერმა გაიზიაროს. თავშიც გითხარით, რომ ეს გაერთიანება არ არის მყარი. ისინი გემიდან პირდაპირ ბანკეტზე მოხვდნენ. ახალ გარემოებასთან შეგუება ძნელია. ასე რომ, შესაძლოა, ხვალ ნებისმიერ მინისტრს მოუწიოს წასვლამ. ამასთან, არსებობს მექანიზმი, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ ნორმალურ მთავრობას.

– რა მექანიზმია ეს?

– ადამიანები თანამდებობებზე პრემიერის სიმპათია-ანტიპათიით არ უნდა ინიშნებოდნენ.

– რაკი ამბობთ, არ უნდა ინიშნებოდნენო, გამოდის, ახლა ასეა.

– სამწუხაროდ, ასეა. მარტო კალაძის მაგალითი რად ღირს. ჯერ რეგიონული მართვის და ინფრასტრუქტურის მინისტრი უნდა გამხდარიყო, რომლის აზრზეც არ არის. სხვათა შორის, საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია ხალხი, ვისაც რეგიონების მართვის რამე გაეგება. ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ რეგიონების მართვა მარტო გზების დაგება და ხიდების აგება არ არის. კალაძეს ეს დარგი არ მოეწონა და სადაც დაადო ხელი, იქ დანიშნეს. ენერგიული კაცი კია ეს კალაძე, მაგრამ ენერგეტიკის სამინისტრო მაგისთვის ზედმეტია. იგივე შეიძლება ითქვას გიორგი მარგველაშვილზე.

– კალაძე გასაგებია, მაგრამ მარგველაშვილს რას ერჩით? – იმას ვერჩი, რომ ვერ გაერკვია, სად მუშაობს. განსაკუთრებით ორიგინალური

იყო მისი განცხადება პედაგოგების აღდგენასთან დაკავშირებით. არჩევნების წინა პერიოდში პოლიტიკური ნიშნით სკოლებიდან ბევრი მასწავლებელი გაათავისუფლეს. მარგველაშვილი გამოვიდა და სკოლის დირექტორებს მოუწოდა, აღადგინეთო.

– და ამაში რა არის ცუდი?

– სკოლის დირექტორებისთვის მოწოდებების გაკეთებას არ სჯობდა, თავად მიეღო გადაწყვეტილება მათ აღდგენასთან დაკავშირებით? მაგრამ, მგონი, მარგველაშვილი ვერ ხვდება, რომ მინისტრია. ამიტომ ვამბობ, რომ თანამდებობებზე პროფესიონალები უნდა დაინიშნონ. რაკი მეოცნებეებს პოლიტიკოსები არ ჰყავთ გვერდში, თანამდებობებზე პროფესიონალი ჩინოვნიკები დანიშნონ. თავიდან ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე დააყენეს ამირან გამყრელიძის კანდიდატურა. მერე რატომღაც შეცვალეს და ამ პოსტზე ივანიშვილის ახლობლის, დავით სერგეენკოს კანდიდატურა დააყენეს.

– სერგეენკო, ეტყობა, ივანიშვილთან ძალიან ახლობლობს. კობა დავითაშვილს მისი კრიტიკის გამო კინაღამ კოალიცია დაატოვებინეს.

– კობა მაგარ შარში გაეხვია თავისი პოზიციის გამო. ლამის მთელი ოცნება მის წინააღმდეგ წავიდა, არადა, მადლობა უნდა ეთქვათ, ადამიანმა შენიშვნა მისცა მთავრობას. თუ გვინდა, რომ საქმე გაკეთდეს, მაშინ შენიშვნებიც უნდა მივიღოთ. ივანიშვილმა პროფესიონალების მოძებნა უნდა დაიწყოს, რომლებიც მინისტრის მოადგილეობას მაინც გაქაჩავენ.

– ვიღაცები ფიქრობენ, რომ ივანიშვილის მთავრობა ჩაფლავდა. თქვენც დაახლოებით ასე უნდა ფიქრობდეთ.

– მთელ მთავრობაზე ვერ ვიტყვი, რომ ჩაფლავდა. ვიღაცები ნამდვილად კარგად მუშაობენ. მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი. თეა წულუკიანი და არჩილ კბილაშვილის მიმართ დიდი სიმპათიები მაქვს, მაგრამ ეს 2 უწყება არაფერს აკეთებს.

– რას ნიშნავს, არაფერს აკეთებს. გვეუბნებიან, რომ მალე მოხდება ხმაურიანი საქმეების გამოძიება?

– მთელი უბედურება ისაა, რომ მხოლოდ გვეუბნებიან და არაფერს არ აკეთებენ. 26 მაისის და 7 ნოენბრის დარბევების გამოძიებას თუ ამდენ დროს მოანდომებდნენ, არ მეგონა. არ მეგონა, თუ სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, გიორგი გამცემლიძის, ზურა ვაზაგაშვილის მკვლელების დასჯა ასე გაჭირდებოდა.

– არადა, არჩილ კბილაშვილმა არაერთხელ თქვა, რომ ისინი რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ, ამ ბიჭების დამსახურებაცაა. საზოგადოებაში უდანაშაულო ახალგაზრდების დახოცვას დიდი პროტესტი მოჰყვა.

– კბილაშვილი უკვე ნერვებს მიშლის. ეს საქმეები არ გამოუძიებია და იმუქრება, ბოკერიას დავიჭერო. შეესაძლოა, ეს საკითხიც ისე ჩაფლავდეს, როგორც სხვა საკითხები. არადა, ეს საქმეები ხელისგულზე დევს.

– ცოტაც რომ ვაცალოთ?

– დაცლილები არ არიან? თანაც ივანიშვილმა თქვა, ჩემს მთავრობაში აღარ იქნება, ცოტაც ვაცალოთო. ისედაც დიდხანს დავაცალეთ. სამართლიანობის აღდგენის პროცესი არ დაწყებულა. მხოლოდ ბანკ ქართუსთან დაკავშირებით აღდგა სამართლიანობა. ძალიან მიხარია, აქ თუ მაინც ჭამა სამართალმა პური, მაგრამ ეს ბანკი ივანიშვილისაა. ხალხს ბუნებრივია, უჩნდება ეჭვები და უსამართლობის განცდა. ამ მთავრობამ უნდა შეიგნოს, რომ ისინი უნდა ემსახურონ ხალხს და არა პირიქით. სანამ ესენიც ნაციონალებს დამსგავსებიან, ივანიშვილი მოქმედებაზე უნდა გადავიდეს. დღეს ხელისუფლებაში ფაქტიურად მარტო ის არის.

– მთავრობის დანარჩენ წევრებს რას უშვრებით?

– ძალიან დიდი ხათრი მაქვს მათი, მაგრამ ისინი ხელისუფლებაში არ ითვლებიან. ხელისუფლება დღეს არის ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც უკვე რამდენიმე შეცდომა დაუშვა.

– რა შეცდომებზე საუბრობთ?

– ყველაზე დიდ შეცდომად მიმაჩნია ის, რომ ოპოზიციას შუალედურ არჩევნებში ოცნების კანდიდატები დაუყენა. ის სამი დეპუტატი ქართულ ოცნებას არაფერში არ სჭირდებოდა. 3 ოპოზიციონერის პარლამენტში შესვლა კი ქვეყანას წაადგებოდა. პარლამენტში ნამდვილი ოპოზიცია ჩამოყალიბდებოდა და ნაციონალები ასე აღარ გავიდოდნენ თავს.

ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით ისრაელში გაემგზავრა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იფიციალური ვიზიტით ისრაელში გაემგზავრა. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები ისრაელის სახმელეთო დაცვისა და კავშირგაბმულობის მინისტრთან, გილად ერდანთან, შინაგან საქმეთა მინისტრ გიდეონ საართან, უშიშროების მინისტრ იცჰაკ აარონოვიჩთან და ისრაელის მთავრობის სხვა ოფიციალურ პირებთან.

ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერება მემორანდუმს საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოების შესაბამის უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და საგანგებო სიტუაციების დროს ურთიერთდახმარების მექანიზმების გაუმჯობესებას.

მედიანიუსი

თეიმურაზ მურვანიძე: „ნაციონალებს მალე ზოლიანი მაისურების ჩაცმა მოუწევთ“

შორენა კოწოწაშვილი

„საქართველოს გზის“ თავმჯდომარე თეიმურაზ მურვანიძე ნაციონალ გია ბარამიძეს, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება, გისოსებს მიღმა სახელმწიფოს დაცვის ქვეშ მოხვედრასა და ზოლიანი მაისურის ჩაცმას უწინასწარმეტყველებს.

მურვანიძე დარწმუნებულია, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი, რომელიც ახლა არც ისე სახარბიელოდ მიმდინარეობს, თავის მნიშვნელოვან სიტყვას იტყვის და არც ერთი დამნაშავე მაღალჩინოსანი ნაციონალი დაუსჯელი არ დარჩება.

არის თუ არა ივანიშვილის ხელისუფლება რუსული ინტერესების გამტარებელი და, კირვალიძის მსგავსად, უნდა გადადგეს თუ არა სოზარ სუბარი? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „საქართველოს გზის“ თავმჯდომარე თეიმურაზ მურვანიძისთან.

– ბატონო თეიმურაზ, როგორ შეაფასებდით ახალი ხელისუფლების 6 თვის მუშაობის შედეგებს და იფიქრებდით, რომ ასე მოკლე პერიოდში კორუფციული სქემები იქნებოდა რეფორმების თანმდევი?

– 6 თვე არც ისე დიდი დროა, რომ კონკრეტული შედეგები მოითხოვო, მით უმეტეს, ჩვენს პირობებში, როდესაც ნაციონალური მოძრაობის მხრიდან სხვადასხვა მმართველობით დონეზე მუდმივი საბოტაჟია, თუმცა ეს პერიოდი არც ისე ცოტაა იმისათვის, რომ მთავარი გზა და მიმართულება არ დავინახოთ. კმაყოფილი ვარ იმით, რომ ხელის შეშლისა და ხარვეზების მიუხედავად, ახალ მთავრობას სწორი კურსი აქვს აღებული. დარწმუნებული ვარ, ეს ძალისხმევა შედეგს გამოიღებს. რაც შეეხება კორუფციულ სქემებს, მინდა გითხრათ, რომ სანამ რეფორმა გატარდება, არაკეთილსინდისიერი ადამიანები უკვე დალაგებული სქემებით მოქმედებენ, ხოლო როდესაც რეფორმა ტარდება, მუდმივად არსებობს ახალი კორუფციული კავშირების წარმოქმნის საშიშროება და ეს ძალიან კარგად უნდა გაკონტროლდეს, რადგან, ერთი მხრივ, ასეთმა გადაცდომებმა შეიძლება მთლიანად რეფორმაც კი ჩააგდოს. თუ თქვენ გულისხმობთ სოფლის მეურნეობის სამინისტროში მომხდარ ამბებს, ჩემთვის სამწუხაროა, რომ ასეთი ფაქტი მოხდა, თუმცა, იმედი მინდა ვიქონიო, რომ ამას არ ჰქონდა სისტემური ხასიათი. ამ ეტაპზე მინდა გამოძიებას დაველოდო, რათა მეტი ინფორმაცია მქონდეს. ახლა ძალიან ძნელია რაიმე კონკრეტულზე საუბარი. თუ კორუფციის არსებობა დადასტურდა სასამართლოს მიერ, ეს ძალიან ცუდი იქნება. მაგრამ იმედისმომცემია ის გარემოება, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა კარგად

იმუშავეს და დარწმუნებული ვარ, ასეც გააგრძელებენ. საკაშვილის მთავრობის რომელი მინისტრი გინახავთ გადამდგარი?!

– ფაქტია, პრემიერი ბოლო დროს აქტიურად საუბრობდა კონკრეტულ მინისტრთან შეუთანხმებლობაზე. იკვეთებოდა, რომ ივანიშვილს პრეტენზიები სოფლის მეურნეობის მინისტრთან ჰქონდა თუ, თქვენი ინფორმაციით, ეს „შეუთანხმებლობა“ სხვა უწყების ხელმძღვანელის მისამართით ჩანს? ფაქტია, სერიოზული ხარვეზები დაფიქსირდა იმავე სოზარ სუბარის უწყებაშიც.

– მე ამას შეუთანხმებლობას ვერ დავარქმევდი. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მას გააჩნდა კითხვები და ეს კარგია, რომ მას კითხვები გააჩნია. მინისტრები მუდმივად უნდა იყვნენ ანგარიშვალდებული პრემიერის მიმართ. ამას მათ კანონი ავალდებულებს. რაც შეეხება იმას, თუ ვის გულისხმობდა მაშინ ბიძინა ივანიშვილი, ეს ძნელი სათქმელია. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

– სასჯელაღსრულების სამინისტროს საქმიანობაში, როგორც კონკრეტული სისხლის სამართლის საქმიდან გამოიკვეთა, უცხო დღესაც არ არის ღირსების შემლახავი მოპყრობა და ნარკოტიკების ჩადების მცდელობა. ხომ არ ფიქრობთ, რომ, კირვალიძის მსგავსად, სოზარ სუბარმაც უნდა დატოვოს თანამდებობა?

– დიდი ხანია, რაც სოზარ სუბარი პოლიტიკურ ასპარეზზეა და მის მიმართ ყოველთვის დიდი პატივისცემა მქონდა. ბევრჯერ მიამაყია კიდეც მისი გაბედული და სამართლიანი პოზიციით, როდესაც ის სახალხო დამცველი გახლდათ. არ ვიცი, რა ფაქტზე საუბრობთ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სასჯელაღსრულების სისტემაში ყველაფერი მალე მიუახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს. არ ვფიქრობ, რომ რომელიმე მინისტრმა თანამდებობა უნდა დატოვოს მხოლოდ გავრცელებული ხმების გამო. თუ რაიმე კანონგადაცდომას ექნება ადგილი, დარწმუნებული ვარ, მინისტრ სოზარ სუბარს არ გაუჭირდება პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. ის არასოდეს დაემსგავსება სააკაშვილის უღირს მინისტრებს, რომლებიც ჯიუტად გაურბოდნენ პოლიტიკურ და სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

– დღეს ძალიან აქტიურად განიხილება საკითხი, ვინ იქნება საპრეზიდენტო კანდიდატი როგორც უმრავლესობის, ისე საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან. ნაცმოძრაობის ერთ-ერთ კანდიდატად უკვე გია ბარამიძე გამოიკვეთა, რომელმაც ღიად თქვა, რომ ის პრაიმერში მიიღებს მონაწილეობას. არადა, გია ბარამიძის დანაშაული სვანეთში ჩატარებული სისხლიანი სპეცოპერაციის დროს იკვეთება. არ ფიქრობთ, რომ ბარამიძის ასეთი თავდაჯერებულობა სამართლიანობის აღდგენის სუსტი პროცესისა და იმ კოპიტაციის შედეგია, რომელიც მოსახლეობის უმეტესობაში უკმაყოფილებას იწვევს?

– გიორგი ბარამიძე, ჩემთვის პირადად, აბსოლუტურად უღირსი ადამიანია. მის პერსონასთან იმდენი საეჭვო საქმე და იმდენი კრიმინალია დაკავშირებული, რომ მის ადგილას წესიერი ადამიანი არათუ პრეზიდენტობის კანდიდატად დააყენებდა თავს, არამედ საერთოდ საზოგადოებაში გამოჩენას მოერიდებოდა. მე მას საერთოდ არ აღვიქვამ სერიოზულად და თვითონაც კარგად იცის, რომ ეს კიდევ ერთხელ საკუთარი თავის გამასხარავებაა. თუ ეს მას არ ანაღვლებს, მე საერთოდ არ მანერვიულებს. ქვეყნის მოსახლეობისთვის კი ყველაფერი ძალიან კარგადაა ცნობილი და კარგი იქნება, თუ საერთოდ ნაცმოძრაობის კომპრომეტირებული ლიდერები ახლა მაინც დაიწყებენ საკუთარ ღირსებაზე ფიქრს. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, გეთანხმებით, რომ ჯერჯერობით ხალხს უკმარისობის გრძნობა აქვს, რადგან ამდენი წლის მანძილზე ისინი საკუთარ თავზე ცდიდნენ ყოფილი მაღალჩინოსნების თავგასულობას და დღეს ეს ადამიანები მათ კვლავ ქვეყნის ოპოზიციური პოლიტიკური ძალის ლიდერებად მოევლინენ. ეს იწვევს გარკვეულ უკმაყოფილებას, გეთანხმებით, თუმცა არაერთხელ მითქვამს და არ დავიღლები ამის გამეორებით, რომ დღევანდელი მართლმსაჯულება კარდინალურად განსხვავდება „ნაციონალურისაგან“. თუ ადრე ჯერ აპატიმრებდნენ და მერე ეკითხებოდნენ, რაც არც ერთ დემოკრატიულ ნორმაში არ ჯდება, ახლა იწყება მტკიცებულებების მოძიება, მოწმეთა ჩვენებებისა და საქმის გარემოებების შესწავლა და ყველაფერი მიდის კანონის შესაბამისად, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სამართლიანობა აღდგება და ამას ყველანი ერთად ვნახავთ. არავის უნდა ჰქონდეს უფლება, დაუსჯელად აკეთოს ქვეყნისა და ხალხისთვის საზიანო საქმე.

– ბარამიძე პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა იყოს თუ ყოფილი მაღალჩინოსანი, რომელმაც იმ დანაშაულისთვის, რომლის თაობაზეც მთავარ პროკურატურაში საჩივარი უკვე შევიდა, პასუხი უნდა აგოს?

– ბარამიძე, ჩემი აზრით, ძალიან მალე გადავა სახელმწიფო ფართში და ზოლიან მაისურსაც კარგად მოირგებს პრეზიდენტის სავარძლის ნაცვლად. რა თქმა უნდა, კრიმინალები უნდა დაისაჯონ და ეს გარდაუვალია, იმიტომ რომ საქართველო შენდება, როგორც დემოკრატიული ქვეყანა, სადაც კანონის უზენაესობა ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია.

– დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, უნდა იყოს თუ არა აგვისტოს ომი გამოძიებული და უნდა დაიკითხოს თუ არა ამ საქმეზე პრეზიდენტი. თქვენ რა პოზიცია გაქვთ და მართლაც ხომ არ არის ეს გამოძიება რუსეთის შეკვეთა, როგორც ზოგიერთი პოლიტიკოსი ფიქრობს?

– რუსეთს არ გააჩნია ამ ხელისუფლებაში დასაყრდენი, რომ შეკვეთებს იძლეოდეს. აგვისტოს ომი იყო ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია, სადაც ქვეყანამ დაკარგა საქართველოსთვის გულანთებული უმრავი მამულიშვილი და დაკარგა ქვეყნის ტერიტორიის მეხუთედი. როგორ ფიქრობთ, არ უნდა გამოვიძიოთ ეს საკითხები? არ უნდა გავერკვეთ იმაში, თუ რა მოხდა სინამდვილეში? როდესაც პროცესების გაანალიზება და სწორი დასკვნების გამოტანა არ ხდება, შეცდომები გარდაუვალია. სწორედ ამიტომაა საჭირო, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას და ზუსტად ვიცოდეთ, სად ვართ და რა გზა გვაქვს გასავლელი. ვფიქრობ, აუცილებელია, აგვისტოს მოვლენები გამოვიძიოთ, რადგან პირველ ოქტომბერს რომ არ შეგვეცვალა ნაციონალური მოძრაობა, ახლაც ილუზიაში ვიქნებოდით, რომ ომი მოვიგეთ.

– დაბოლოს, რამდენად აშკარად ჩანს, რომ ივანიშვილის გუნდი რუსეთის ინტერესებს ატარებს? ეს აზრი პოლიტიკოსების ნაწილს იმავე აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის თაობაზე გაკეთებულმა განცხადებებმა გაუჩინა. ეროვნული მოძრაობის წევრი თამარ ჩხეიძე ფიქრობს, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლების სათავეში რუსული მმართველობაა.

– მე კომენტარს ვერ გავუკეთებ ქალბატონი თამარის სიტყვებს, ყველას საკუთარი აზრი გააჩნია. თუმცა, ამას გარდა, ასევე არსებობს ობიექტური რეალობა და, აქედან გამომდინარე, ძალიან კარგად ჩანს, რომ ახალი ხელისუფლება რუსეთის კი არა, საქართველოს ინტერესებს ატარებს და ამას აკეთებს პრაგმატული, რეალისტური მიდგომებით, რაც, ვფიქრობ, ამ ვითარებაში ერთადერთი სწორი გზაა.

მე-12 ბატალიონის ბოლო ნაკადი სამშობლოში დაბრუნდა

I ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონი სამშობლოში სრულად დაბრუნდა. მე-12 ბატალიონის სამხედროები ავღანეთში 6 თვის განმავლობაში ISAF-ის მისიის ფარგლებში წარმატებით ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. დღეს ისინი უკვე ოჯახებს დაუბრუნდნენ. სამშვიდობოებს აეროპორტში საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი პირები და ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი დახვდნენ და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება მიულოცეს.

ავღანეთის საერთაშორისო მისიიდან დაბრუნებული უფროსი სერჟანტი დიმიტრი ტაბატაძე და კაპრალი ვაჟა ტაბატაძე ოჯახში მოულოდნელად მივიდნენ. მამა-შვილი ტაბატაძეები ბაზა „შუკვანზე“ერთად მონაწილეობდნენ ავღანეთის საერთაშორისო ოპერაციაში. მე-12 ბატალიონი ავღანეთში როტაციის წესით IV ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონმა ჩაანაცვლა

მედიანიუსი

ნარკოდანაშაული გახსნილია

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად თბილისში, სანაპიროს ქუჩაზე, 1964 წელს დაბადებული კონსტანტინე კ. ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს.

გამოძიებამ დადგინა, რომ კონსტანტინე კ-მ ნარკოტიკული ნივთიერება თურქეთიდან შემოიტანა.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 17 შეკვრად დაფასოებული 3,7293 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც 1,1748 გრ „ჰეროინს“ შეიცავს.

ნარკოლოგიურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ბრალდებული დაკავების მომენტში ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის ბრალდებით მიმდინარეობს (სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 11 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს). გამოძიებას თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველო აწარმოებს.

მედიანიუსი

ბიძინა ივანიშვილი: „სოფლის მეურნეობის მინისტრი გამოძიების შეჩერებას მთხოვდა“

საქართველოს პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი სოფლის მურნეობის სამინისტროს 7 მაღალჩინოსანის დაკავების ფაქტს გამოეხმაურა და განაცხადა , რომ რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში განვითარებული მოვლენების გამო „ცოტა დამძიმებულია.“

როგორც ივანიშვილმა „გურია ნიუსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა, სოფლის მეურნეობაში განვითარებულმა პროცესებმა მას ხასიათი გაუფუჭა.

„ერთი თვეა ცოტა ვპასიურობ. რამეთუ გამოძიება მიდიოდა და ხასიათი ცოტა გამიფუჭდა იმ ამბების გამო, რაც შემოდიოდა“, – განაცხადა ივანიშვილმა.

ამასთან, როგორც პრემიერმა აღნიშნა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გუნდი და მათ შორის თავად ყოფილი მინისტრი მას სთხოვდა, რომ პროცესი შეეჩერებინა, თუმცა ივანიშვილის თქმით, იგი მიმდინარე გამოძიებაში ვერ ჩაერეოდა და არც ჩარეულა.

„ცოტა დამძიმებული ვარ, მართალი რომ გითხრათ. თვითონ სამინისტროს და მინისტრს არ უნდოდა გამოძიება, ხელი შეგვეშლებაო. თუმცა მე ვუთხარი, რომ თუკი, კითხვები არსებობს, მას გამოძიებამ პასუხი უნდა გასცეს და ეს ნორმალურია“, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერი სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მიმდინარეობასაც შეეხო და აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებისას არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით გარკვეული უკმაყოფილება აქვს, თუმცა, როგორც მან განაცხადა, პროგრამის სწრაფად მიმდინარეობამ გამოიწვია ის, რომ ყველაფერი იდეალურად არ არის.

„ეს პროცესი რამდენადაც სწრაფად ხორციელდებოდა არ შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო იდეალურად, თუმცა შეიძლებოდა ყოფილი უკეთესადაც, მეც მაქვს გარკვეული უკმაყოფილება. საერთო ჯამში ბევრი გაკეთდა და გაკეთდება კიდეც“, – განაცხადა პრემიერმა.

ნიუსპლიუსი

სოფლის მეურნეობის უწყებაში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურნენ

საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია „გლობალ-აგრო“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ირგვლივ ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა.

როგორც ასოციაციის თავმჯდომარე ლევან სილაგავას მიერ ორგანიზაციის სახელით გავრცელებულ განცხადებაში არის ნათქვამი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ირგვლივ ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია „გლობალ-აგრო“ გამოთქვამს რწმენას, რომ ქვეყნის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში დაწყებული რეფორმები იქნება შეუქცევადი და საფრთხე არ შეექმნება დარგის განვითარებას.

„ასოციაციის საქმიანობიდან გამომდინარე, ჩვენ ინტენსიური კავშირი გვქონდა ბატონ დავით კირვალიძესთან; ვიცით მისი მუშაობის სტილი და ვაფასებთ მას, როგორც მაღალი რანგის, საერთაშორისო დონის პროფესიონალს.

ვფიქრობთ, ბატონმა დავით კირვალიძემ თავისი განცხადებით დაადასტურა მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და იმ ღირებულებებისადმი პატივისცემა, რომლებიც უზრუნველყოფენ სწორ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას.

მიგვაჩნია, რომ არსებული გაუგებრობა მხოლოდ დროებითი მოვლენაა და საზოგადოება უმოკლეს ვადაში მიიღებს ამომწურავ და ყოვლისმომცველ განმარტებებს“, — ნათქვამია განცხადებაში.

მედიანიუსი

ახალციხეში ხელყუმბარის უკანონო ტარებისთვის ერთი პირია დაკავებული

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული მათე გ. ახალციხეში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული „ერ-გე-დე“-ს ტიპის ხელყუმბარას მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა. სამართალდამცველებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, ახალციხის ბაზრის ტერიტორიაზე მათე გ-სგან საბრძოლო მასალის ამოღებისას ბრალდებულმა მათ წინააღმდეგობა გაუწია და ხელყუმბარის აფეთქებით იმუქრებოდა, რა დროსაც ის დააკავეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების და სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების მუქარის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 151-ე მუხლებით). გამოძიებას აწარმოებს ახალციხის რაონული სამმართველო.

მედიანიუსი

სააპელაციო სასამართლოს მოხელეები მოხუცებულთა და უძლურთა სახლს ეწვივნენ

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოხელეები აღდგომის ბრყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ოქროყანაში, გაბრიელ ბერის სახელობის მოხუცებულთა და უძლურთა სახლს ეწვივნენ. სასამართლოს მოხელეთა მიერ შეგროვილი თანხით სახლს გადაეცა სააღდგომო საჩუქრები, ხოლო დარჩენილი თანხა ჩაერიცხა ანგარიშზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოხელეები საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილად განიხილვენ იზრუნონ საზოგადოების სოციალურად დაუცველ (მოწყვლად) ჯგუფებზე.

მედიანიუსი

საალდგომო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო სულიერნო შვილნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, ღვთივკურთხეული ივერიის მკვიდრნო და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მხცოვრებნო თანამემამულენო!

„აღდეგინ ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი“ (ზატიკი)

ქრისტე აღდგა!

ზეიმობს ანგელოზთა დასი.

ქრისტე აღდგა!

გუგუნებენ ეკლესიის ზარები.

და ჩვენც, მოციქულთა მსგავსად, სიხარულით აღვსილნი ვხმობთ:

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

„სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი? სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი?!“ (Iკორ.15,55).

მაცხოვარმა სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა და ადამი და მისი მოდგმა სატანჯველისაგან იხსნა, ცოდვათაგან დარღვეული ჩვენი სული აღადგინა და კაცთა მრავალათასწლოვანი ნატვრა აღასრულა.

ადამიანის შექმნის მიზანი იმთავითვე იყო ღმერთთან მუდმივი მყოფობა, მის განგებულებაში თანამონაწილეობა.

მარადიული სიცოცხლისა და უკვდავების წყარომ ასეთივე სიკეთით დააჯილდოვა კაციც, მაგრამ შემოქმედისადმი ურჩობითა და მისგან განდგომით ჩვენმა პირველმშობლებმა მაცხოვნებელი მადლი დაკარგეს.

მადლი ღვთისაგან მომდინარეობს და მსჭვალავს მთელ სამყაროს; იგი „ყოველგან არს და ყოველივეს აღავსებს,“ მისით მოძრაობენ პლანეტები და სულდგმულობს ყოველი ცოცხალი, მაგრამ სხვა არის მაცხოვნებელი მადლი, რომელიც უხვად მოედინება ყოვლადწმიდა სამების წიაღიდან და ქრისტეს მისტიური სხეულიდან, ეკლესიიდან, და განეფინება ადამის მოდგმას; სინერგიის აღსრულება კი ინდივიდუალურია და პიროვნების ნებაზეა დამოკიდებული:

ზოგიერთნი კმაყოფილდებიან ნათლობით მიღებული მადლით და აღარ ზრუნავენ მის გამრავლებაზე, სხვანი თავისუფალი ნებით ირჩევენ განვითარების საპირისპირო გზას და ბოროტის მსახურნი ხდებიან.

როგორც ერთი, ისე მეორე მდგომარეობა არ მისცემს საშუალებას ადამიანს, შეიცნოს ღმერთი. ამაზეა ნათქვამი „სმენით მოისმენთ, მაგრამ ვერ მიხვდებით, ხილვით იხილავთ, მაგრამ ვერ დაინახავთ.“ (მათე 13,14). ისინი უქმ-ყოფენ თავის ნიჭსა და შესაძლებლობებს და მარადიული ტანჯვისთვის წირავენ სულს.

ღვთის მსგავსება ნებისმიერ პიროვნებაში განაპირობებს სრულყოფილებისაკენ მის სწრაფვას. სრულქმნა კი არის ყოველი ქრისტიანის მოწოდებაც და ვალდებულებაც.

იესო ქრისტე არის მაგალითიც ჭეშმარიტი ადამიანისა და, აქედან გამომდინარე, დადასტურება იმისა, თუ რა საოცარი შესაძლებლობებისაა ჩვენი შინაგანი სამყარო.

მაცხოვნებელი მადლი გვანიჭებს უნარს სნეულთა განკურნებისა, სხვადასხვა ენაზე მეტყველებისა, მრავალ სასწაულთა აღსრულებისა და, რაც მთავარია, მკვდრეთით აღდგომისა, ამაღლებისა და განღმრთობისა.

უნდა ითქვას ისიც, რომ, მართალია, იესო ქრისტე ყველა დროის უდიდესი მაგალითია, რომელსაც ვერასოდეს ვერავინ შეედრება, მაგრამ ცალკეულ ეპოქას თავისი ავტორიტეტები, თავისი გამორჩეული პიროვნებები მაინც სჭირდება, რომლებიც ჭეშმარიტი რწმენისა და მამულისათვის თავდადებით ხალხს განამტკიცებენ და სწორი გზის მაჩვენებელნი არიან.

მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მოციქულნი და მოწამენი, ღმეთშემოსილნი და ღირსნი მამანი და დედანი, ჩვენი დიდებული მეფენი და დედოფალნი, სასულიერო პირნი, თავადაზნაურთა და დაბალი ფენის წარმომადგენელნი საუკუნეთა მანძილზე განამტკიცებდნენ საზოგადოებას.

ათეისტურ პერიოდში ისინი შეცვალა ინტელიგენციის, მუშათა კლასისა და სამხედრო პირების (განსაკუთრებით სამამულო ომის დროს) მაშინდელმა რჩეულმა ნაწილმა (რომ აღარაფერი ვთქვათ ბელადებზე), რომელიც ქვეყნის ერთგვარ ზნეობრივ სახეს ქმნიდა.

ჩვენს დროში კი, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ესეც მოისპო და, შეიძლება ითქვას, უღირსთა ზეობის დრო დადგა.

ეს მდგომარეობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს, თუ გვსურს, სწორი ნაბიჯები გადავდგათ და სათანადო ორიენტირები თავიდანვე განვსაზღვროთ.

საერთოდ, პიროვნება და საზოგადოება ერთმანეთს ასაზრდოებენ. ცალკეული ადამიანის ჩამოყალიბება, მისი მსოფლმხედველობის განსაზღვრა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოებაში არსებულ ღირებულებათა სისტემაზე, რომელსაც ხელისუფლებასთან ერთად სარწმუნოებაც განაპირობებს.

როდესაც ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის სირთულეები ჩნდება, აქტიურდება პიროვნებების როლი და მათი ჯანსაღი, მტკიცე პოზიცია დიდ როლს ასრულებს მდგომარეობის გამოსწორებაში.

პრობლემის სათავე უღმერთობა ანუ უმადლობაა. მადლის ნაკლებობა ჩვენ, ქრისტიანებსაც, გვახასიათებს, რადგან ხშირად მხოლოდ სიტყვით ვაღიარებთ უფალს, გულით და საქმით კი შორს ვართ მისგან; ამასთან, ვემსგავსებით სახარებისეულ მართას, რომელიც ცდილობს, მაცხოვარს მიწიერი საქმეებით აამოს და „ზრუნავს მრავალთათვის.“ უფალი კი გვეუბნება, – „აქა ერთი არს სახმარ.“

ანუ, უპირველეს ყოვლისა, საკეთებელია სულიერი საქმეები და შემდეგ მიწიერი, რომელიც მხოლოდ დამხმარე საშუალებაა გადარჩენისთვის.

ვინც ხორციელ ვნებებსა და გულისთქმებს ღვთის მადლით, დასთრგუნავს და თავის სულში ახალ ადამს ააღორძინებს, განთავისუფლდება ცოდვის ხრწნილებისაგან, სიკვდილის მონობისა და შიშისაგან.

წმინდა წერლიდან ვიცით, რომ პირველქმნილ ცოდვას მოჰყვა მისი შედეგი, – სიკვდილი, სიკვდილს კი, – ჯოჯოხეთი და ეშმაკის მეუფების ტყვეობაში გარდაცვლილთა სულების დამკვიდრება.

ასე გახდა სიკვდილი და ხრწნილება ადამიანის და მის დაქვემდებარებაში მყოფი ხილული სამყაროს ხვედრი.

სიკვდილი ორგვარია – ხორციელი და სულიერი.

ხორციელი სიკვდილი გულისხმობს სხეულის გაყრას უკვდავ სულთან. ამას ვერავინ გადაურჩება.

სულიერი სიკვდილი კი დგება გარდაცვალების შემდეგ, თუ სული ამქვეყნად არ იყო დაკავშირებული ღვთაებრივ მადლთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ცოდვასთან ერთად ადამიანის სულში შემოდის შიში. ეს ჯერ კიდევ სამოთხეში მოხდა: ადამმა დარღვია რა მცნება, სურდა დამალვოდა უფალს და მერეღა აღიარა, რომ ასე შიშის გამო მოიქცა.

მანამდე მან არ იცოდა, რა იყო ეს გრძნობა.

შიში განუყოფელია დანაშაულისა და ცოდვისაგან; ამიტომაც იგი ჩვენი ცხოვრების თანმდევია; ამქვეყნიურ საზრუნავში დანთქმულ ადამიანს ეშინია სხვისი და საკუთარი თავის, ხვალინდელი დღის, უცხო გარემოსი, მტრების; ეშინია სნეულების, შიმშილის, უსახსრობის და ა.შ. მაგრამ განსაკუთრებით გაურბის სიკვდილზე ფიქრს, რადგანაც ყველაზე მეტად ეს აძრწუნებს.

როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს პიროვნება, თუ მას არა აქვს ღვთის ჭეშმარიტი რწმენა და მთელი არსებით არ არის მინდობილი უფალს, ადვილად დაკარგავს მხნეობას.

გავიხსენოთ პეტრე მოციქული, რომელიც უდიდეს ერთგულებასა და თავდადებას იჩენდა მაცხოვრისადმი, მაგრამ როგორც კი საკუთარ თავს მიენდო და არა უფლის შემწეობას, მაშინვე გაცხადდა მისი ადამიანური ბუნების სისუსტე და უძლურება და განსაცდელში მყოფმა, სასჯელის შიშით, სამგზის უარყო ქრისტე.

შემდეგ კი, როდესაც ჭეშმარიტი სინანულითა და ღვთის მოწყალებით სიმტკიცის კლდედ აღდგა რწმენაში, მისთვის სიკვდილის შიში დაიძლია და პირიქით, ითხოვდა მძიმე ხვედრს, – თავდაღმა ჯვარცმას, – ოღონდ უფალს შეერთებოდა და მასთან ერთად ყოფილიყო განუშორებლად.

ვისაც სულიერი თვალი აეხილება, ხორციელ სიკვდილში შეიცნობს მარადიულ სიცოცხლეს და მიწიერ ყოფაში, – მარადიული სიკვდილის საშიშროებას. ამიტომაც მისთვის გადამრჩენელი ხდება შიში ღვთისა, რათა ცოდვა მოიძულოს, სიკეთეში განმტკიცდეს და სინანულის მადლით განიწმინდოს.

„უფლის შიში სიცოცხლის წყაროა, სიკვდილის საფრთხისაგან გამომხსნელი“(იგავ.14,27), – ბრძანებს წმინდა წერილი. ამიტომაც ქრისტიანს აღარ აშინებს სულისა და ხორცის გაყრა, არამედ გარდაცვალებაში ხედავს მიწიერი ცხოვრების გამოცდის დასრულებას და ღმერთთან მყოფობის დასაწყისს.

ღვთის შიში ქრება სულიერების მაღალ საფეხურზე და იგი იცვლება სიყვარულითა და ქრისტესთან ერთობით გამოწვეული ნეტარებით, ანუ იმ მდგომარეობით, რაც ჰქონდა ადამს ცოდვით დაცემამდე.

ასეთი ადამიანი მოყვასს აღიქვამს როგორც საკუთარ თავს და საკუთარ თავს კი ჩრდილში აყენებს. იგი კეთილგანწყობილია ახლობელთა და შორებელთა, ნაცნობთა და უცნობთა, მდიდართა და ღარიბთა, მოკეთეთა და მოძულეთა მიმართ.

ღირსეულნი და სათნონი, რა თქმა უნდა, მათი თვისებების გამო უყვარს, ცოდვილნი კი იმიტომ, რომ არასწორი ქცევით თვითონვე სჯიან საკუთარ თავს და სულს ჯოჯოხეთისთვის იმეტებენ. ამიტომაც შესაბრალისნი არიან და ღოცვით შეწევნას საჭიროებენ.

თავისი ქცევის მიუხედავად ყოველი ადამიანი ხილული სამყაროს გვირგვინია. ამიტომაც, გაიღო ასეთი მსხვერპლი მაცხოვარმა, – განკაცდა, რათა ჩვენთვის ღვთის შვილობის მადლი მოენიჭებინა და ახალ ადამიანად, ცოდვებისაგან თავისუფალ პიროვნებად ყოფნის საშუალება მოეცა.

უფლის ამქვეყნიური ცხოვრებაც ნათელი დადასტურებაა ადამიანისადმი მისი განსაკუთრებული სიყვარულისა: როგორ წყალობს იგი უძლურებს, დავრდომილებს, დამცირებულებს, როგორია მისი დამოკიდებულება ბავშვებთან, მოწაფეებთან, ახლობლებთან მიმართებაში, ასევე ავაზაკის, ზოგადად ცოდვილების და მტრების მიმართ; ყოველივე ამით მან ადამიანის მნიშვნელობა და ღირსება წარმოაჩინა.

„რაი სარგებელ ეყოს კაცსა, უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს? ანუ რაი მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თვისისა? (მათე,16,26), – ბრძანებს უფალი.

ჩვენ კი, რა თქმა უნდა, პასუხი არ გვაქვს და არც არასწორ ცხოვრებას ვცვლით.

თუნდაც ჯანმრთელობის შესახებ ჩვენი დამოკიდებულება სწორ მიდგომას საჭიროებს. რა თქმა უნდა, სხეულის სიმრთელე ყველასთვის სასურველია, თუმცა დიდი შეცდომაა, როცა დიდ დროს ვუთმობთ მასზე ზრუნვას და საერთოდ არ ვფიქრობთ სულიერ სიჯანსაღეზე. თითქოს ჩვენი უკვდავი სული, ჩვენი მარადიული არსებობისათვის განმსაზღვრელი არ იყოს.

ბევრმა ისიც არ იცის, რომ ხშირად ავადმყოფობა ცოდვისგან მომდინარეობს და როგორც კი ადამიანი იწყებს სწორ სულიერ ცხოვრებას, – მოძღვრის წინაშე ამბობს გულწრფელ აღსარებას, ეზიარება და ცოდვათაგან თავისუფლდება, – ძალიან მძიმე სნეულებისაგანაც კი იკურნება. ამასთან, ამ წმინდა საიდუმლოს ხშირად მიღებით ფიზიკურ გამოჯანმრთელობასთან ერთად, მისი აზროვნება და შინაგანი სამყაროც იწმინდება და განახლებას განიცდის.

ამიტომაც ეწოდება აღსარებასა და ზიარებას საკურნებელი სულისა და ხორცისა.

საერთოდ, აღსარებისა და ზიარების გარეშე ადამიანის სულიერი გადარჩენა შეუძლებელია. ვინც ამ მადლისაგან დღემდე გაუცხოებულია, ყველას, – ბავშვს, ახალგაზრდას თუ ხანდაზმულს, – გეძლევათ ლოცვა-კურთხევა, აუცილებლად მიიღოთ ეს უდიდესი სიწმინდე და ცხოვრების წესად აქციოთ ლოცვა და თქვენს სულზე ზრუნვა, რათა საკუთარი თავიც იხსნათ მარადიული ხრწნილებისაგან და შთამომავლობასაც თქვენი ცოდვები სიმძიმედ არ დაუტოვოთ (ცოდვა დაუსჯელი არ რჩება, ღვთის წინაშე კი ყველა მხოლოდ თავის დანაშაულზე აგებს პასუხს).

უდიდესი დანაშაული, რომელიც თითქმის ყველა ოჯახში ხდება, არის მუცლადღებულ ყრმათა მკვლელობა, – აბორტი.

მე ადრეც შევეხე ამ თემას, მაგრამ კვლავ მინდა მასზე ყურადღების გამახვილება.

ბოროტმოქმედის სიკვლილით დასჯა მრავალ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, აკრძალულია და ეს კარგია, რათა ადამიანს მიეცეს ცოდვის გამოსყიდვის შესაძლებლობა. (მათ მიმართ ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს მკაცრი აღმკვეთი ღონისძიებები, რომელიც მიმართული იქნება პიროვნების გამოსწორებისათვის).

აბორტი კი არის მშობლების გადაწყვეტილებითა და მონდომებით სრულიად უსუსური, უდანაშაულო არსების საზარელი მკვლელობა. ამ მკვლელობის უშუალო თანამონაწილეა ექიმიც.

დღემდე დაუბრკოლებლად ხორციელდება ჩვილების ეს უმოწყალო ხოცვა და მათ აქტიური დამცველი არავინ ჰყავთ, – არც სახელმწიფო და არც საზოგადოება.

აბორტს და მუცლის მოშლის გამომწვევ საშუალებებს კრძალავდნენ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში (ჰიპოკრატეს ფიცი), ისევე როგორც რომის იმპერიაშიც; მითუმეტეს, ქრისტეს ეკლესია მას განიხილავდა და განიხილავს როგორც უმძიმეს მომაკვდინებელ ცოდვას.

მსოფლიოში პირველად ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში ათეისტურმა ხელისუფლებამ აბორტი ნებადართულად გამოაცხადა 1920 წელს. 1936 წლიდან 1955 წლამდე იგი ისევ აიკრძალა, მაგრამ დღეს, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისე ევროპასა და მსოფლიოს სხვა მრავალ ქვეყანაში, იგი კვლავ ნებადართულია და მასმედიის საშუალებითა და ლიბერალური იდეოლოგიის გავლენით, წახალისებულიც.

ბოროტმოქმედი რომ დაემუქროს დედას, შენი შვილები დახოცე, თორემ მოგკლავო, იგი ხომ თავის სიკვდილს ამჯობინებს და ეს ბუნებრივიცაა. მაშ, როგორ თანხმდება იგი მუცლადმყოფი შვილის წამებით სიკვდილს?! მით უმეტეს, ყველამ უკვე იცის, რომ რამდენი დღისაც არ უნდა იყოს ნაყოფი, მას ისეთივე განცდა აქვს ტკივილისა, როგორიც ზრდასრულს.

გაუგებარია ისიც, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხანაში, როდესაც ყველამ იხილა ფილმი „ჩუმი ძახილი,“ როგორღა დგამს ამ ნაბიჯს მშობელი, ან როგორ აკეთებს ამას ექიმი-გინეკოლოგი?

ამ ცოდვის სიმძიმე იმითაც ვლინდება, რომ ხშირად აბორტი იწვევს უნაყოფობას, ნაადრევ მშობიარობებს, ჯანმრთელობის გაუარესებას, ფსიქიკის დაზიანებას, აბორტის შემდეგ დაბადებულ ბავშვებში კი – ნერვიულ გამოვლინებებს.

ამიტომაც არის ამდენი დანგრეული ოჯახი დღეს საქართველოში, ამდენი მკვდრადშობილი ნაყოფი და ჩვილთა შორის გახშირებული სიკვდილიანობა. ყოველივე ეს კი როგორც ცალკეულ ოჯახებს, ისე მთელ სახელმწიფოს უდიდეს დანაშაულად აწვება.

ვისაც ეკონომიური პრობლემების გამო შვილის გაჩენა არ სურს, ან სხვა რაიმე მიზეზით მუცლადღებული ნაყოფი მისთვის მიუღებელია, გთხოვთ, ნუ ჩაიდენთ ამ საშინელ ცოდვას, თუ თქვენ ვერ ახერხებთ მის გაზრდას, ეკლესია უპატრონებს მათ.

როგორც ცნობილია, ოფიციალური მონაცემებით, ყოველწლიურად საქართველოში 36 000 აბორტი კეთდება, (რეალურად კი გაცილებით მეტი შემთხვევაა), მკვდრადშობილ ჩვილთა რაოდენობა კი 1400-მდე აღწევს.

დღეს, როდესაც ასეთი მძიმე მდგომარეობაა დემოგრაფიული თვალსაზრისით, ვფიქრობთ, სახელმწიფომ უნდა მიიღოს სათანადო კანონი აბორტის აკრძალვისათვის. (რა თქმა უნდა, გამონაკლისი შემთხვევებიც უნდა იყოს გათვალისწინებული).

მანამდე კი, მასმედიის საშუალებებს შეუძლიათ უდიდესი დადებითი როლი შეასრულონ და

დიდი მადლიც მოიპოვონ, თუ შექმნიან სათანადო განწყობას მრავალშვილიანობის წასახალისებლად და აბორტის საწინააღმდეგო განწყობის შესაქმნელად.

მთავარი სწორედ განწყობის შექმნაა.

განწყობის თეორია კარგად უნდა შევისწავლოთ და დავნერგოთ ჩვენს ცხოვრებაში. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის აღმშენებლობისათვის.

განწყობა უნდა შეიქმნას, მაგალითად, სოფლის აღორძინებისათვის, ასევე საზღვრისპირა და მთის რეგიონების განაშენიანებისათვის. რა თქმა უნდა, სათანადო ინვესტიციების მოძიებაც აუცილებელია, მაგრამ მონდომებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

განწყობა უნდა შეიქმნას განათლების სისტემის აღორძინებისათვის, ახალგაზრდებში წიგნის კითხვის მოთხოვნილების გაძლიერებისთვის, ღრმა აზროვნების დანერგვისათვის, მეცნიერების წინსვლისათვის, სამართალდამცავი სტრუქტურებისა და ჯარის განმტკიცებისათვის, ქვეყნის ინტერესებისა და ეროვნული იდეოლოგიის დაცვისათვის...

ამ სოფლად ჩვენთვის მოცემულ სივრცესა და დროში უნდა მოვასწროთ ზეცად ამყვანაბელ კიბეზე აღსვლა.

როგორ მივხვდეთ, ვართ თუ არა ღირსეული ქრისტიანენი და დავიწყეთ თუ არა ზესვლა?

ეს ძნელი არ არის.

მატერიალური აზროვნების მქონე პიროვნება ბედნიერებას მხოლოდ მომხვეჭელობაში ჰპოვებს, ჭეშმარიტი მორწმუნე კი, – მოწყალების გაცემაში.

გამიწიერებული ადამიანი საკუთარი თავის და თავისი შესასძლებლობების მოიმედეა, სულიერი კი, – მხოლოდ ღმერთის.

მაცხოვნებელ რწმენას მოკლებული კაცი წუთისოფლის პატივსა და დიდებას ესწრაფვის, ჭეშმარიტი ქრისტიანი კი – ქვეყლის საქმეებით სიმდიდრეს.

არაეკლესიური ცნობიერების მქონე სხვებზე მბრძანებლობს, მორწმუნე კი – თავის ვნებებზე.

ჩვენო საყვარელო სულიერო შვილებო, – ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, რუსნო, ასირიელნო, იეზიდნო, ქურთნო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო, უკრაინელნო და უდინნო რწმენით მივეახლოთ ჩვენი უფლის ბრწყინვალე აღდგომის მაცოცხლებელ მადლს და შევიმოსოთ სიმართლის საჭურველი, რათა „ვითარცა-იგი აღდგა ქრისტე მკვდრეთით დიდებითა მამისაითა, ეგრეთცა ჩუენ განახლებითა ცხოვრებისაითა ვიდოდით“ (რომ.6. 20,8).

მაშინ გავემიჯნებით საყოველთაოდ გაბატონებულ ეგოცენტრიზმს, – თავისმოყვარეობას, – და აღმოვაჩენთ, რომ ჩვენი მთავარი მტერი სწორედ ეგოიზმია, სხვისთვის სიყვარულით აღსრულებული მსახურება კი – ჩვენი გადამრჩენელი. აღმოვაჩენთ, რომ ღმერთის სიყვარული განუყოფელია მოყვასის სიყვარულისგან და ერთი მეორეს განაპირობებს.

და თუ ყოველივე ამას ჩვენს ცხოვრებაში რწმენით აღვასრულებთ, შევიმოსავთ ქრისტეს და ზეციურ სასუფეველს დავიმკვიდრებთ. „დაითესება ჩვენი სხეული მშვინვიერი და აღდგება სხეული სულიერი ... დაითესება ხრწნილებაში, აღდგება უხრწნელებაში, დაეთესება დამცირებაში, აღდგება დიდებაში“ (Iკორ.15,42-44).

მაშ, „ნუ იქნება ცოდვის სუფევა თქვენს მოკვდავ სხეულში, არამედ როგორც მკვდრეთით აღმდგარმა, უძღვენით თავი ღმერთს!“ (რომ. 6, 12).

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი
ილია II სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-
თბილისის მთავარეპისკოპოსი,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის
მიტროპოლიტი
აღდგომა ქრისტესი
2013 წელი.

მოდი, ვნახოთ „დ“ ანუ რამ შეჭამა „დ“ ქუთაისში?!

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

გასულ (ანუ წითელ) პარასკევს მეგობარ ჟურნალისტებს შევხვდი ქუთაისის თითქმის უფუნქციო „პრესის სახლში.“ თავის დროზე ეს შენობა დასავლეთ საქართველოში უზარმაზარი მედიაცენტრი იყო, ახლა კი მედია და ბიზნესდანიშნულების ფართების გვერდით სრულიად გამოუყენებელ ოთახებს წაანყდებით (რამდენჯერმე დავუსვი ჩემს თავს კითხვა – რატომ არ შეასახლებენ თუნდაც დროებით ამ ცარიელ ფართში უბინაოებს და დევნილებს?!).

შეხვედრის დასრულების შემდეგ რატომღაც სტუდენტური წარსულის გახსენება გადავწყვიტე და ვთქვი: გავივლი ქუთაისის ცენტრალურ ქუჩებში, ადამიანებსა და ინფრასტრუქტურას გადავავლებ თვალს, ვნახოთ რა შეიცვალა საპარლამენტო ქალაქში 20 წლის შემდეგ. განუყრელი მეგობარი–ფოტოაპარატი მომზადებული მქონდა „ვა ვსიაკიხ სლუჩიი,“ ცხონებული მზია კვირიკაშვილის შარჟის არ იყოს, თუ რამე საინტერესო მოხდება, ობიექტივს ვერ დამელება-მეთქი. გადაღლილი სახეები, რომელიც, დამერწმუნეთ და არ იყო ქრისტეს ჯვარზე გაკვრის გახსენებით გამოწვეული, ნათლად აჩვენებდა იმ მდგომარეობას, რომელშიც ცხოვრება უწევთ ქუთაურებს. ფეხით მოსიარულეების უმეტესობა მზის რადიაციის და დროის ფაქტორის გამო მტკიცე სწრაფ ნაბიჯებს დგამდა. მაგისტრალებზე იშვიათად ჩანდა ძვირადღირებული მანქანები, სამაგიეროდ „ოპელი“ გახლდათ 90%-მდე. ამ ფირმის მანქანა ღირებულებით სხვებს ჩამოუვარდება და საბანკო კრედიტით ან უცხოეთიდან გადმოგზავნილი თანხით „ბენტლის“ რომ ვერავინ იყიდის, ცხადია. ტაქსის მძღოლები გაფაციცებით ეძებდნენ კლიენტებს, მაგრამ ჯიბეგამოცარიელებულ ხალხს საზოგადოებრივი ტრანსპორტი ურჩევნია: 50 თეთრის გადახდა სჯობია 5 ლარის „თავზე შემოვლებას.“ მართალია, რომ ქუთაისის შიდატრანსპორტირების საკითხი ყოველთვის ათი თავით წინ იდგა სხვა ქალაქებისაზე, მაგრამ კმაყოფილებაზე მეტად უკმაყოფილოების მოსმენა გვიყვარს ჩვენ.

თუ აღშფოთებულია, წავიდეს და ცივი წყალი დალიოს,– ასე უპასუხა ქუთაისის მერიის ტრანსპორტის სამსახურის თანამშრომელმა, გიორგი აბესაძემ, სულხან-საბას ქუჩის მცხოვრებს, ლუიზა სვანიძეს, რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა №48 მიკროსაავტობუსო ხაზზე დასაქმებული მძღოლების უპასუხისმგებლო მუშაობის გამო. ამას გვამცნობს ერთი ქუთაისური გამოცემა. ამ მიკროსაავტობუსო ხაზზე თურმე „ავანგარდის“ დასახლების მცხოვრებლებს 10-12 წუთიანი ინტერვალის ნაცვლად 30 წუთიც უწევთ ლოდინი, პრეტენზიის შემთხვევაში მერიის თანამშრომლებს უფასო რეცეპტი მზად აქვთ: ფარცხანაყანევის ან რიონის ცივი წყლით პრეტენზიების გამომთქმელი პირის ღრუს გაგრილება. ერთ-ერთი ყველაზე შორეული სულხან-საბას დასახლება (კომუნისტების დროიდან მას „ავანგარდი“ ერქვა) სერვერ კომპანიას მუდმივად პრეტენზიებს უცხადებს, თუმცა მძღოლებსა და მომსახურე „ავტოტრანსკორპორაციას“ თავისი სიმართლე აქვთ: მგზავრთბრუნვა ნაკლებია და ამიტომ ორიოდე მგზავრის გამო 2014 წლამდე ხელშეუხებელი კომპანია თავს ზედმეტად არ იტკიებს (აღნიშნული „ავტოტრანსკორპორაცია“ სწორედ გაისად ასრულებს კონტრაქტს ქუთაისის ტრანსპორტის სამსახურთან). რატომღაც ავიწყდებათ სერვერ კომპანიაში, რომ თუ სათადარიგო ნაწილები და საწვავია ძვირი, არანაკლებ ძვირია დრო (ამ დალოცვილ ქვეყანაში დრო დოლარი თუ არაა, ლარი ხო მაინც გახლავთო,-ჩაიცინებენ ხოლმე მოუწესრიგებელი ცხოვრებით გატანჯული ქუთაისელები).სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა შაშიაშვილის მმართველობის დროიდან ქუთაისში ხან პოპულარული იყო, ხან-პოპულისტური. მახსოვს, რომ ტროლეიბუსებში იყო განცხადებები გამოკრული: თუ არ გაქვთ მგზავრობისათვის ფული, იმგზავრეთ უფასოდ! მართალია, ტროლეიბუსის ბიგელები ბალერინებივით ძალიან ხშირად აკეთებდნენ პასა და პა-დე-დეს ჰაერში, მაგრამ პურის ფულის უქონელი ადამიანები ასე თუ ისე მადლობელი რჩებოდნენ. საერთოდ, თუ ქალაქს საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა არ აქვს მოწყობილი, მას მხოლოდ ფორმალურად რჩება ქალაქის სტატუსი, მაგრამ ამჯერად სხვა რამეზეც მინდა ყურადღების გამახვილება.

ახლა რაზედაც დავწერ, ის სატრანსპორტო მეურნეობასავით რთულად მოსაგვარებელი არ არის. შეიძლება უკვე თვალი მიეჩვია და ქუთაისში აღარავის უკვირს „დედა ენის“ მონუმენტში მესამე ასონიშნის დაკლება, მაგრამ ის ისეთ ადგილას დგას, საიდანაც არც ქუთაისის ადმინისტრაციული შენობებია შორს და არც პარლამენტი. ამდენი მერის ცვლა, 150 დეპუტატიანი პარლამენტი, ევროპელი თუ ამერიკელი სტუმარი ნუთუ ვერ ამჩნევს, რომ დეა ენა კი არა, დედა ენა უნდა ეწეროს ლითონის უზარმაზარ აბრაზე?! ერთი ლითონის ფირფიტა რამ გაუწყო ქუთაისის კეთილმოწყობის სამსახურს?! დააწერონ ზედ „დონი“ და დაამაგრონ ლითონის ფურცელი იმ ადგილას, სადაც უნდა იყოს. რამდენიმე რაკურსით გადავუღე „დედა ენის“ მონუმენტს ფოტო, ქვემოთა მხრიდანაც შევიჭყიტე და ლითონის ბანერის მიჩუმათებულ ადგილას „კოკა-კოლას“ ნახევრადსავსე ბოთლიც დავინახე სხვა „სიკეთეებთან“ ერთად. კრეატიულ პერსონას მიუგნია ორიგინალური ნაგავსაყრელისთვის! აბა, ამ ადგილიდან ნიკეას ნაგავსაყრელი შორსაა, მდინარე ოღასკურაც არ არის მეტრებში, რომ „ებანავებინათ“ პლასტმასის ბოთლი მის წყალში! უკანა მხრიდან კოროზია წარმატებულად „ჭამს“ ლითონს, რაც შეეხება წინა მხარეს, ეტყობა, რომ ისიც არ შეღებილა მოკლე ხნის წინ. მონუმენტის წინ პატარა გაზონია მოწყობილი და ჰოი, საოცრებავ! გაზონის ცენტრში ამაყად ყვაოდა ასკილი! ასკილის საწინააღმდეგო კი არაფერი მაქვს, მაგრამ მაინც უხერხულია „დედაენის“ წინ ასკილი იბარდებოდეს. შესაძლებელია, ახალი სახელმძღვანელოები „აი ასკილსაც“ მოიცავდეს, აი-პედსაც და აი-ფონსაც, თუმცა დეკორატიული ან სულაც ველური იები უფრო მიესადაგება გოგებაშვილის დატოვებულ საგანძურსა და სათაყვანებელ წიგნსაც, ისევე როგორც მის საპატივცემულოდ აღმართულ ლითონის „დე ა ენას.“

უცხოელები შეიძლება ვერ კითხულობენ წარწერას, მაგრამ მაინც შეამჩნევენ ასოს კლებას წარწერაში. პარტიული და ადმინისტრაციული რესურსები კი ხედავენ ალბათ ამ ნაკლს, მაგრამ აბა სადაა „ჟეშტის“ დონისათვის დრო და ენერგია?! ფინანსები მართლა არ დასჭირდება გრანდიოზული: 20 ლარზე ნაკლები ლითონის ფურცელს, ამდენივე ალბათ წარწერის გაკეთებასა და დამაგრებას. 40-50 ლარი კიდე კბილის ნაჩიჩქნზე უფრო იაფია სქელჯიბიანებისათვის, თუმცა სად სცალია „სიმწრით“ შეგროვებულ თუმნიანებს „დედა ენისთვის“, მისი აღმატებულება კოჰაბიტაცია გვავალდებულებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა,“ რომელიც მსხერპლის როლს ისე კარგად თამაშობს, რომ ლამის მსოფლიომ გადასარჩენად ფონდი თუ არ გაუხსნა, ემპათიური სიტყვების სალაროს მაინც დაახარჯავს გულმოდგინედ. „ქართულ ოცნებას“ კიდევ ტარიფები აქვს დასაწევი და სოციალური შემწეობა აქვს გასაორმაგებელი. სხვა პარტიები კიდე საქმის კეთებაზე მეტად თავის გადარჩენაზე გადასული და არც მათ ახსენდებათ ქუთაისის „დედაენა.“

კეთილმოწყობის სამსახური, ჩემი აზრით, ალბათ ჩასვამს თავის ადგილზე დ-ს, ოღონდ იჩქარონ, არ არის ლამაზი და გამართლებული შვიდბგერიანი სიტყვიდან ერთის ასე უპატრონოდ დაკარგვა.

ნოკდაუნიდან პოლიტიკურ სასაფლაომდე

ნოკდაუნი – მდგომარეობა კრივში, როდესაც მოკრივე მოწინააღმდეგის დარტყმისაგან ძირს არის დავარდნილი, მაგრამ 10 წამის განმავლობაში შეუძლია ადგეს ბრძოლის გასაგრძელებლად;

ნოკაუტი – მდგომარეობა კრივში , როდესაც მოკრივე მოწინააღმდეგის დარტყმისაგან ძირს არის დავარდნილი, 10 წამის განმავლობაში ვერ დგება ბრძოლის გასაგრძელებლად და დამარცხებულად ითვლება; უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989.

პოლიტიკური კრახის, მოახლოებული ციხის ნარის სურნელის და საკუთარი პოლიტიკური ძალის პერმანენტული რღვევის მიუხედავად, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მიხეილ სააკაშვილს საზოგადოების გაოცების უნარი ჯერ კიდევ შემორჩა.

ამ ადამიანს ნამდვილად ჰქონდა, აქვს და

სავარაუდოდ მუდმივად ექნება უნარი, საკუთარი განცხადებებით საზოგადოება არათუ გააოცოს, გააოგნოს კიდეც.

ამის მაგალითად თუნდაც იმ ომის მოგებულად გამოცხადებაც კმარა, რომელიც, უსარდლოდ დარჩენილმა ქრთულმა არმიამ, იმის გამო, რომ ბრძანების მიმცემიც არავინ ჰყავდა, – დღენახევარში წააგო და რომლის დროსაც, ქვეყნის უმაღლესმა მთავარსარდალმა და ჩვენი დროის „მძლეთამძლემ,“ თვითმფრინავის ხმის გაგონებისას შეშინებულმა, თავი საკუთარი დაცვის ღაჯებს შეაფარა.

ამ ომის მოგებულად გამოცხადებაზე უფრო გასაოცარი განცხადება კი, პრეზიდენტმა სააკაშვილმა გასულ კვირაში, საკუთარ „ფეისბუქის“ გვერდზე გააკეთა, რომლის თანახმადაც, ნაციონალური მოძრაობა საბედნიეროდ, მხოლოდ „ნოკდაუნში“ ყოფილა.

„ნაციონალური მოძრაობა“ ნოკდაუნში იყო. საბედნიეროდ ეს არ აღმოჩნდა ნოკაუტი და პარტია თანდათან ფეხზე წამოდგომას იწყებს. „ნაციონალური მოძრაობა“ ბრძოლაში რეალურად ჩაერთო. 19 აპრილს, კარგად ორგანიზებულმა და მრავალრიცხოვანმა აქციამ, ისევე როგორც შუალედურმა არჩევნებმა, აჩვენა, რომ პარტიას აქვს კარგი შანსი საქართველოს მომავლის გადაჩენისთვის ბრძოლაში. ჩვენს წინ დიდი გამოწვევებია და ვალდებულები ვართ გამოვიჩინოთ სიმტკიცე და ერთიანობა რეგრესის შეჩერების საქმეში“ – ამ ტიპის განცხადება გააკეთა ბატონმა პრეზიდენტმა სოციალურ ქსელებში, თუმცა, სანამ ამ განცხადების დეტალებს ჩავუღრმავდებით, მანამ თავად ეს განცხადება შეიძლება შევაფასოთ როგორც გასაოცრად ოპტიმისტური, რომელიც იმ კაცსაც კი შეშურდებოდა, რომელიც თავის გადასარჩენად ხავსს ეჭიდება.

დღიდან დაარსებისა, „ნაციონალურმა მოძრაობამ,“ მისი ბელადის მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით, მოახერხა და სრულიად გაანადგურა ხალხის ის ნდობა და სიყვარული, რომელიც მას 9 წლის წინ ჰქონდა. მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც თავისი მოღვაწეობა მსოფლიოს ლიდერი ქვეყნების პირველ პირებთან მეგობრობის და მათი მხარდაჭერის ფონზე დაიწყო, რომელთაგანაც საკმარისია თუნდაც შვილი ბუშის მაგალითი, – მოახერხა ის, რომ მოღვაწეობას ვინმე მაზმანიანის მხარდაჭერის ამარა ასრულებს. ამას კი, ნამდვილად სჭირდებოდა ცხრაწლიანი დაუღალავი შრომა. სხვანაირად ამ შედეგის მიღწევა მართლაც რომ წარმოუდგენელი იქნებოდა.

მიხეილ სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ, 9 წლის განმავლობაში მოახერხეს ის, რომ თავი შეაძულეს საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, ხოლო მსოფლიო თანამეგობრობის ასევე უდიდეს ნაწილს თავი მოაბეზრეს. ამიტომაცაა, რომ სწორედ სააკაშვილისთვის სააქაო 19 აპრილის მიტინგზე, მის გვერდით თავმომწონედ, არა მსოფლიოს რომელიმე ლიდერი, ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, არამედ სწორედ ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები მაზმანიანი ყელყელაობდა.

რაც შეეხება ფაქტორებს, რომლის გამოც მიხეილ სააკაშვილს ხელისუფლებაში დაბრუნების იმედი აღარ უნდა ჰქონდეს, მათი რიცხვი საკმაოდ დიდია, თუმცა მათგან რამდენიმე საგულისხმოს გამოყოფა, ვფიქრობთ, რომ შეიძლება.

პირველი ფაქტორი, „ნაციონალური“ ხელისუფლების მიერ, სათავეში მოსვლისთანავე, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გაჩაღებული ომია, რომელმაც არაერთი ეკლესია-მონასტერი შეიწირა და მიუხედავად, იმისა, რომ დღეს სააკაშვილი ყველა რელიგიურ დღესასწაულს გულმხურვალედ გვილოცავს, მისი აღარავის სჯერა და ეს გასაკვირი ნამდვილად არაა.

მეორე ფაქტორი, რაც სააკაშვილის ხელისუფლების რეინკარნაციას გამორიცხავს, ეს მის მიერ საქართველოს და ყველაფერი ქართულის სიძულვილია, რომელსაც, ხელისუფლებაში მოსვლისთავე, ისევე როგორც მართლმადიდებლობას, მან და მისმა გუნდმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. „ეროვნული ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის“ ფარგლებში შედიოდა პრეზიდენტის მონების მიერ სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელ ა ხელებაწეული დაყენება, თავად სააკაშვილისმიერ ქართული კულტურის კორიფეთა „ჩარეცხვა , ე.წ. „დალესის დოქტრინის“ პრინციპების ზედმწევნით გატარება, (რაც როგორც ცნობილია, ყოველივე ეროვნულის და ღირებულის განადგურებას ისახავს მიზნად), მწერალთა კავშირისთვის სახლის ჩამორთმევა და გალაქტიონის მირ შენობაში თავისი მხრებით შეტანილი წიგნების კარადის ქუჩაში გადმოგდება, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობის გაყიდვა და იქ განთავსებული ასამდე რედაქციის ქუჩაში გამოყრა, მეცნიერებათა აკადემიის ფაქტიური გაუქმება, რაც - მისთვის, მის დავემდებარებაში არსებული ინსტიტუტების ჩამორთმევით გამოიხატა, ასევე, ქართული ენის უგულვებელყოფა-დეგრადირება და ქართული მიწების მასიური გასხვისება.

ეს ძალიან მცირე და არასრული ნაწილია იმ გრძელი სიისა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის და მისი ხელისუფლების მიერ, ყოველივე ქართულის და ეროვნულის სიძულვილს და ზიზღს ამტკიცებს.

მესამე, რასაც მიხეილ სააკაშვილს და მის ყოფილ გუნდს, საზოგადოება არასდროს არ აპატიებს, ეს ქონებრივი უფლების უხეშზე უხეში ხელყოფაა, რისი დასტურიც, ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული სტატისტიკური მაჩვენებელია. მაჩვენებლის თანახმად, „ნაციონალების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, სახელმწიფოსთვის ბიზნესის და ქონების „ნებაყოფილობით“ ჩუქების ათიათასამდე შემთხვევაა დაფიქსირებული, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ძალით წართმეულ ბიზნესებზე, რომელთა მეპატრონეებმაც, თავიანთი ქონების „სახელმწიფოსთვის ნებაყოფილობით ჩუქება“ არ მოინდომეს.არასდროს და არავინ არ აპატიებს მიხეილ სააკაშვილს და მის ხელისუფლებას გირგვლიანის, რობაქიძის, გამცემლიძის, ვაზაგაშვილის და სხვა ასეულობით ახალგაზრდა საჯიშე ვაჟკაცის მიწაში ჩადებას და არც იმას, რომ „ნაციონალურმა ხელისუფლებამ“ თითქოსდა მათი მკვლელების გასამართლებით, საზოგადოებას კიდევ ერთხელ დასცინა, ხოლო მართლმსაჯულება გააუპატიურა.

არასდროს არავინ არ აპატიებს ბრძანების გამცემ სააკაშვილს და შემდგომში ამ ბრძანების გულმოდგინედ შემსრულებელ, კუბდარისმოყვარულ გია ბარამიძეს აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტას, მიცვალებულთა ძვლების მიწიდან ამოყრას და მიცვალებულის მაგივრად, კუბოში ჩადებული ტანსაცმლის დატირებას.

არასდროს არ აპატიებს საზოგადოება მიხეილ სააკაშვილის 2007 წლის 7 ნოემბერს, როცა ის მშვიდობიან მოსახლეობას მხუთავი აირით და რეზინის ტყვიებით გაუმასპინძლდა.

არასდროს არ აპატიებს საზოგადოება და იმედია არც მართლმსაჯულება, მიხეილ სააკაშვილს 2011 წლის 26 მაისს, როცა მან საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ისეთი სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლითაც თავად როდინონოვიც კი აღტაცებაში მოვიდოდა და რომლის დროსაც, სამმაგ ალყაში მოქცეული მოქალაქეები სააკაშვილის და მერაბიშვილის ზონდერებმა უმოწყალოდ სცემეს, დახოცეს, დაასახიჩრეს და ცხრაკლიტულში გამოკეტეს.

არასდროს არ აპატიებს ქართველი ხალხი, მართლმსაჯულება და ისტორია მიხეილ სააკაშვილს და მის ხელისუფლებას 2008 წლის აგვისტოს, როცა მან ცხინვალის დაბომბვის ბრძანება გასცა და ქვეყანა წინასწარგანწირულ სამხედრო ავანტიურაში ჩაითრია, რაც საქართველოს, ასეულობით დაღუპულ ვაჟკაცად, ასეულ ათასობით ლტოლვილად და ტერიტორიების 20 პროცენტის თითქმის უიმედოდ დაკარგვად დაუჯდა.

ეს არის იმ ფაქტორთა მცირე ჩამონათვალი, რის გამოც სააკაშვილის და მისი გუნდის რეინკარნაცია არათუ შეუძლებელი, წარმოუდგენელიც კია და იმ შემთხვევაში კი, თუ ამ და სხვა საქმეების ობიექტური გამოძიება მოხდება, სააკაშვილს შეუძლია თავის გუნდთან ერთად, სიმტკიცე და ერთიანობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გამოიჩინოს, თუმცა რა ერთიანობის შენარჩუნებასაც შეძლებს სააკაშვილი, ეს ახლავე ნათელია და ამაზე ოდნავ ქვემოთ.

მანამ კი, მოკლე ფორმულირებით, კიდევ ერთხელ იმ ფაქტორების შესახებ, რის გამოც სააკაშვილი ხელისუფლებით ტკბობას ვეღარასდროს ვეღარ ეღირსება:

1. ის და მისი გუნდი ქართველი საზოგადოების უდიდეს ნაწილს ეზიზღება, ხოლო საერთაშორისო თანამეგობრობას მისი მოქმედების გამართლება ყელში ამოუვიდა.

2. მიხეილ სააკაშვილი და მისი დემაგოგია, არის პოლიტიკურად აბსოლუტურად გაკოტრებული და მისი აღარავის აღარ სჯერა გარდა რამდენიმე ფანატიკოსისა, რომე თაც შეიძლება მართლაც რომ უანგაროდ უყვარდეთ სააკაშვილი, თუმცა ეს საზოგადოების ის ნაწილია, ვისაც აუცილებლად უნდა გავუგოთ და თვალები ავუხილოთ. 3. სისხლის სამართლის დანაშაული. პირა დად მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდის აბსოლუტური უმრავლესობა სისხლის სამართლის კოდექსთან პირშავად არიან, ამის მიზეზის ობიექტური გამოძიების შემთხვევაში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოფილი ხელისუფლების აბსოლუტური უმრავლესობა გისოსებს მიღმა აღმოჩნდება.

ასე რომ, მიხეილ სააკაშვილის ოპტიმიზმი ხელისუფლებაში ოდესმე დაბრუნების შესახებ, ნამდვილად იწვევს გაოცებას და ხშირ შემთხვევაში სხვა საფუძვლიან ეჭვებსაც.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ჰიდროცეფალიის განკურნება შესაძლებელია

მერი ნამორაძე

ჰიდროცეფალიის დიაგნოზი სასიკვდილო განაჩენს სულაც არ ნიშნავს. ადეკვატური მკურნალობის შემთხვევაში შესაძლებელია ამ დაავადების პრევენცია. მართალია, ყველაფერი სოლიდურ ფინანსებს უკავშირდება, მაგრამ, როცა ჩვილ ბავშვთა სახლებზეა საუბარი, სადაც პასუხისმგებლობას ჯანმრთელობაზე სახელმწიფო იღებს, ჰიდროცეფალიით დაავადებული ბავშვებისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანამდე სიცოცხლის გადასარჩენად ძალების მოსინჯვა აუცილებელი და სავალდებულოა. რა იგულისხმება სასიკვდილო განაჩენის გამოტანაში, ამაზე ოდნავ ქვევით მოგახსენებთ, მანამდე კი საზოგადოებას შევახსენებთ, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეზიდენტულ დაწესებულებებში განხორციელებულმა კვლევამ, რომელთა შორის ჩვილ ბავშვთა სახლებიც შედიოდა, ჰიდროცეფალიით დაავადებულებთან მიდგომა არასათანადო მოპყრობის აქტად შეაფასა, რომელიც თავისი სიმძაფრით შეიძლება წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას გაუტოლდეს.

„ჩვენ აღარ უნდა დავინახოთ პატარა ბავშვების შემზარავად გაზრდილი დიდი თავები, რომლებმაც ამ მიზეზით სიბრმავე და ინტელექტუალური ჩამორჩენაც შეიძინეს. ბავშვები, რომლებიც საშინელ ტკივილს განიცდიან და ელიან ნელ, მტანჯველ სიკვდილს, ვინაიდან მათ არ მიიღეს ადეკვატური სამედიცინო დახმარება“, – ეს სიტყვები გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის რეგიონულ წარმომადგენელს, ჟან ჟარაბს ეკუთვნის. სახალხო დამცველის აპარატში ამბობენ, რომ ჯერ ისევ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად დაიბადა ასეთი ბავშვი. ზოგიერთ ქვეყანაში მშობელს ექიმები ურჩევენ, შვილი დაუყოვნებლივ მიატოვოს ბავშვთა სახლში, რადგან მას მომავალი არ აქვს. ადრეულ ეტაპზე ქირურგიული ჩაურევლობის გამო ბავშვს უვითარდება ჰიდროცეფალიის მძიმე დიაგნოზი თანდაყოლილი დაზიანებებით და ადრეულ ასაკში გარდაუვალი სიკვდილით. სიღარიბე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დარღვევა ერთობლიობაში ხშირად სასიკვდილო განაჩენს განაპირობებს. იმ ქვეყნებში ჯანდაცვის სისტემა არ უზრუნველყოფს ვენტრიკულოპერიტონული შუნტის ჩადგმას ამ ბავშვებისთვის, ღარიბ მშობლებს კი არ შეუძლიათ გადაიხადონ მისი თანხა. ხშირად მათ არც კი ატყობინებენ, რომ ამგვარი პროცედურა არსებობს და მას შეუძლია ამგვარი დიაგნოზის მქონე ბავშვის გადარჩენა. სამედიცინო ინტერვენციის გარეშე დაავადების ბუნებრივი განვითარება იწვევს პროგრესულ კოგნიტურ გაუარესებას და ადრეულ სიკვდილს. თუმცა, ნეიროქირურგიული მეთოდების დახვეწამ ამ ადამიანებს ბევრად ხანგრძლივი და გაუმჯობესებული ცხოვრების შესაძლებლობა მისცა.

1940-იან წლებამდე, ვიდრე მოხდებოდა ვენტრიკულოპერიტონული შუნტირების დანერგვა, ჰიდროცეფალიის დიაგნოზის მქონე ბავშვების მხოლოდ 20% აღწევდა ზრდასრულ ასაკს ოპერაციის ჩატარების გარეშე. მათგან დაახლოებით 50%-ს უვითარდებოდა თავის ტვინის დაზიანება. დღევანდელი მდგომარეობით, მსოფლიოში ჰიდროცეფალიის მქონე ბავშვთა უმრავლესობა აღწევს ზრდასრულობის პერიოდს. 20-წლიანმა სამედიცინო კვლევამ აჩვენა, რომ იმ ბავშვების ნახევარზე მეტმა, რომელთაც 1970-იან წლებში ჩაუტარდათ შუნტირების ოპერაცია, დაამთავრა საშუალო სკოლა.

რაც შეეხება საქართველოს ჩვილ ბავშვთა სახლებში ამ დიაგნოზის მქონე ბავშვთა მდგომარეობას, ექსპერტებს მათი საკმაოდ დიდი ჯგუფი დახვდათ, თუმცა, ფაქტობრივად, არც ერთი ბავშვი ამ დიაგნოზით არ ხვდება სხვა ბავშვთა სახლებში ანუ იქ, სადაც 6 წლის შემდეგ ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარები გადაჰყავთ. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით ამ დიაგნოზის მქონე ბავშვთა მიდდობით აღზრდაში გაყვანა ან გაშვილება იშვიათი შემთხვევაა. სახალხო დამცველის აპარატში ამბობენ, რომ ეს საფუძვლიან ეჭვს აღძრავს ამ ბავშვების ბედთან დაკავშირებით, რადგან, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა მიუთითებს, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა არ შემოიფარგლება 6 წლამდე ასაკით. როგორც აღმოჩნდა, 2012 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში ჩვილ ბავშვთა სახლში ცხოვრობდა 15 ჰიდროცეფალიის დიაგნოზის მქონე ბავშვი, მათგან ხუთი 2012 წლის ივნისის მონაცემებით გარდაიცვალა.

მონიტორინგის პროცესში ექსპერტებმა ადგილზე განახორციელეს 6 ჰიდროცეფალიის დიაგნოზის მქონე ბავშვის მდგომარეობის მონიტორინგი. ექვსივე შემთხვევაში დიაგნოზის კლინიკური გამოვლინებები გართულებული იყო – სახეზე იყო ტვინის პარკუჭებში დიდი რაოდენობის თავზურგტვინის სითხის დაგროვება, თავის ზომების მნიშვნელოვანი მომატება. ყველა ბავშვს ძლიერ დაჭიმული ჰქონდა ყიფლიბანდი, რომელიც პულსირებდა, ბავშვებს დათრგუნული ჰქონდათ ნერვული სისტემა და იმყოფებოდნენ ლეთარგიულ, უღონო მდგომარეობაში, ვიზუალური და სმენითი დარღვევებით. ეს მდგომარეობა ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც არასათანადო სამედიცინო მომსახურება. ეს უკავშირდებოდა მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნეიროქირურგიული ჩარევის არაეფექტურ განხორციელებას ან ნეიროქირურგის გადაწყვეტილებას ოპერაციული ჩარევის მიზანმიმართულად არგანხორციელების შესახებ. ნეიროქირურგიული ინტერვენციის ნაკლებობა ასევე გულისხმობდა ბავშვებისათვის პალიატიური ინტერვენციის შეზღუდვასაც, რომლის მთავარი დანიშნულება მათთვის დაავადებით გამოწვეული კლინიკური სიმპტომების შემცირება და შუნტირება იყო. დასახელებული ინტერვენციის განუხორციელებლობის მიზეზად პერსონალი ასახელებდა ნეიროქირურგების გადაწყვეტილებას.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში ამბობენ, აღნიშნული ინტერვენციის განუხორციელებლობა ამ ბავშვების ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დღე, თვე, წელი დარჩა მათ, აქცევს სიკვდილის მოლოდინად. მოლოდინის პერიოდი ქალაშიდა წნევის მატების გამო მძიმდება ტკივილითა და დისკომფორტით, რომლის მოსახსნელად ჩვილ ბავშვთა სახლების ბენეფიციართათვის არ ხორციელდება ინტერვენცია, მათ შორის ნეიროქირურგიული, ვინაიდან, გავრცელებული აზრით, „ეს ბავშვები არ გრძნობენ ტკივილს“, მაშინაც კი, როცა მათი თავის ქალა და სახის ნაკვთები, სითხის დაგროვების გამო, სრულად დეფორმირდება და თანდათან კარგავს თავდაპირველ ფორმას. ბავშვის ამ მდგომარეობას პასიურად ადევნებს თვალს ათეულობით სპეციალისტ და არ თვლის საჭიროდ, სულ მცირე, პალიატიური ზრუნვის ფარგლებში შეუმციროს განცდილი ტკივილი და დისკომფორტი.

მონიტორინგის ჯგუფის უცხოელი წევრების მოსაზრებით, აღნიშნული პრაქტიკა სრულიად ეწინააღმდეგება საერთაშორისო კლინიკურ პრაქტიკას აღნიშნული მიმართულებით. მათი გადმოცემით, ჰიდროცეფალიით ან ჰიდროცეფალიის განვითარების რისკის მქონე ბავშვების აბსოლუტურ უმრავლესობას დაბადებიდან რამდენიმე დღის ან თვის განმავლობაში უკეთდება შუნტირება, რაც უმეტეს შემთხვევაში ბავშვებს განვითარებისა და ზრდის პოზიტიურ შესაძლებლობას აძლევს. მაშინაც კი, როცა მოსალოდნელია ბავშვის გარდაცვალება, პალიატიური ზრუნვის ფარგლებში ბავშვს უკეთდება შუნტირება, რათა დაავადების პროგრესირების დროს შემცირდეს ბავშვის მიერ სითხის მატებასთან დაკავშირებული ტკივილის განცდა და დისკომფორტი. ეს აუცილებელია, რათა გარდაცვალებამდე დარჩენილ დროში ბავშვის ცხოვრების ხარისხი იყოს ნორმალური და სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდი ტანჯვად არ ექცეს.

ამ მიზეზით თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში არსებული პრაქტიკა შეფასებულია როგორც არასათანადო მოპყრობა, რომელიც თავისი სიმძაფრით შესაძლოა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას გაუტოლდეს.

გუდიაშვილის სკვერის რეაბილიტაცია შეწყვეტილია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რელად და მათი კონტრაქტის საწინააღმდეგოდ.

თბილისის მერიასა და გუდიაშვილის ინვესტორს შორის ხელშეკრულება მარტის თვეში შეწყდა. დაიგეგმა მხარეების მიერ შეხვედრა კონტრაქტის შეწყვეტის დეტალების განსახილველად. სწორედ ამ შეხვედრაზე უნდა გადაწყდეს ინვესტორის წინაშე ფინანსური პასუხისმგებლობის საკითხიც, თუ ვინ უნდა გაუსტუმროს ინვესტორს პროექტის განსახორციელებლად დახარჯული თანხა და როგორ მოხდება ფინანსური დავის გადაწყვეტა.

გუდიაშვილის მოედნის ნგრევის შეჩერების მიზნით მის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქცია არაერთხელ გაიმართა. ერთ-ერთი აქციის მიზეზი გუდიაშვილის მოედანზე მდებარე შენობის დემონტაჟის ახალი ნებართვა გახდა. აქციის ორგანიზატორის ალექსანდრე ელისაშვილის განცხადებით, აქციები არა მერიის, არამედ კულტურის სამინისტროსა და კულტურის ახალი მინისტრის გურამ ოდიშარიას წინააღმდეგ გაიმართა.

– მივმართეთ კულტურის სამინისტროს, რომ მან გამოიჩინოს გამბედაობა და დაიბრუნოს პასუხისმგებლობა თბილისის კულტურის მემკვიდრეობაზე. რამდენიმე წელია ანომალია ხდება ქვეყანაში, როდესაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, ყველა ძეგლი ექვემდებარება კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სააგენტოს, თბილისის ძეგლების გარდა. ჩვენ მოვითხოვთ, დაიბრუნოს კულტურის სამინისტრომ თბილისის კულტურის მემკვიდრეობაც და აიღოს პასუხისმგებლობა გუდიაშვილის მოედანზეც და გადაარჩინოს ამ მოედნის ავთენტურობა, – აღნიშნა ალეკო ელისაშვილმა.

„თბილისის განვითარების ფონდსა“ და კომპანია „ირაო მაგნატ გუდიაშვილს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ინვესტორი უფლებამოსილი გახდა, გუდიაშვილის მოედანზე მდებარე შენობებზე, დამტკიცებული პროექტების მიხედვით, სარეაბილიტაციო სამუშაოები განეხორციელებინა. აქციის მონაწილეებს კი მიაჩნიათ, რომ ინვესტორის მიერ განხორციელებული სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს დაუზიანებდა.

გასული წლის განმავლობაში გუდიაშვილის მოედანზე არაერთხელ გაიმართა საპროტესტო აქცია, რომელსაც შედეგი არ მოყოლია. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო საპროტესტო აქციები, ისინი კულტურულ დატვირთვას ატარებდნენ – იმართებოდა პოეტებისა და მწერლების ნაწამოებებს კითხვა, მუსიკოსების მიერ ნაწარმოებების დაკვრა, მხატვრების მიერ – საკუთარი ნამუშევრების გამოფენების მოწყობა.

„ფეისბუქის“ სპეციალურ გვერდზე მანიფესტიც კი გამოქვეყნდა, რომელსაც ათასობით ადამიანმა მოაწერა ხელი. დოკუმენტრში ნათქვამია, „ქვეყანაში მომხდარ და მიმდინარე ცვლილებებს გუდიაშვილის მოედნის ინვესტორი ყურს არ აძლევს და უდრტვინველად აგრძელებს შენობების ნგრევას. სატელეფონო საუბრები აღარ ისმინება, ჯალათები გაიქცნენ, პრეზიდენტი ოპოზიციაშია, გუდიაშვილის მოედანი კი დასაცავია! მერედა, ვინ დაიცავს მას, თუ არა შენ?“

ამ სარეაბილიტაციო სამუშაოებს უკვე შეეწირა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია. შენობის დანგრევას ამ შემთხვევაშიც საპროტესტო აქცია მოყვა, სადაც ალეკო ელისაშვილმა განაცხადა, რომ სახლის დემონტაჟის და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის განზრახ დაზიანებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს დამნაშავეს. მაშინ გამოითქვა ინიციატივაც, რომ გუდიაშვილის მოედანზე სადღეღამისო მორიგეობა დაწესებულიყო.

– როგორც კი მუშები გამოჩნდებიან, დამატებითი ძალების მობილიზებას მოვახდენთ. თუ მერია ვერ ხედავს ამ შენობის მნიშვნელობას, გვითხრას რა ფასად უნდა მისი გაყიდვა და თბილისელები შევაგროვებთ 10-10 ლარს და გამოვისყიდით, – განაცხადა აქციაზე ალეკო ელისაშვილმა.

ამ საკითხს კომპანია „ირაო მაგნატ გუდიაშვილი“ სპეციალური განცხადებით აგმოეხმაურა:

„როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, კომპანია „ირაო მაგნატ გუდიაშვილსა“ და თბილისის განვითარების ფონდს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ჩვენი კომპანია უფლებამოსილია პროექტების დამტკიცების შემდეგ, გუდიაშვილის მოედანზე მდებარე შენობებზე განახორციელოს სარეაბილიტაციო სამუშაობი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კვლევითი პროცესი. არავითარი დემონტაჟი არ დაწყებულა. ჩატარებული წინასწარი სამუშაოები ითვალისწინებდა ზონდაჟის აგებას, ფასადზე ნალესობის ჩამოფხეკას, ფენების ლაბორატორიულ კვლევასა და ფუნდამენტებზე შურფების მოწყობას. აღნიშნული სამუშაოს ჩატარება აუცილებელია მდგომარეობის შესწავლის მიზნით, სრულფასოვანი სარესტავრაციო პროექტის შესაქმნელად. კვლევის შედეგის შესაბამისად მომზადებული სარესტავრაციო პროექტები დასამტკიცებლად რამდენიმე დღეში წარედგინება ქალაქ თბილისის მერიისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთობლივ მეთოდოლოგიურ საბჭოს და ნებისმიერი დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს მათ. პირველივე პროექტის დამტკიცების შემდეგ კომპანია „ირაო მაგნატ გუდიაშვილი“ დაიწყებს ხელშეკრულების თანახმად ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, რაც გულისხმობს, რომ გუდიაშვილის მოედანზე არსებული ყველა შენობა აღდგება პირვანდელი ისტორიული სახით. შენობებს შეუნარჩუნდება მათი ავთენტურობა, არქიტექტურული იერ-სახე, გაბარიტები და საჭიროების შემთხვევაში მოხდება მათი გამაგრება“.

ამ განცხადების გავრცელების მიუხედავად, გუდიაშვილის სკვერის გადამრჩენელებმა კვლავ დაგეგმეს საპროტესტო აქცია. მათ კატეგორიულად მოითხოვეს ამ სამუშაოების შეჩერება, რადგან მიაჩნდათ, რომ ეს პროცესი აზიანებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და უკანონო ქმედებაა. როგორც ჩანს, საპროტესტო აქციებმა თავისი შედეგი მაინც გამოიღო – გუდიაშვილის სკვერის რეაბილიტაციის პროცესი ამჟამად შეწყვეტილია.

ნოკდაუნიდან პოლიტიკურ სასაფლაომდე

დასაწყისი მე-6 გვერდზე

რაც შეეხება ზემოთნახსენები განცხადების შინაარსობრივ მხარეს, ის თავისუფლად შეიძლება შეფასდეს ბარონ მიუნჰაუზენის ღირსეულ გაგრძელებად, იმ განსხვავებით, რომ, თუ ბარონ მიუნჰაუზენის უბოროტო ტყუილები გვართობდა და ბავშვობას გვილამაზებდა, მიხეილ სააკაშვილის ღვარძლით სავსე ტყუილები ცხოვრებას ჯერ კიდევ გვიმწარებს და ნერვებს გვიშლის.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებიდან, პირველ რიგში ყურადღებას 19 აპრილის აქციის შეფასება ითვალისწინებს.

თუ სააკაშვილი 19 აპრილის აქციას მრავალრიცხოვანს და კარგად ორგანიზებულს უწოდებს, მაშინ რა შეიძლება ითქვას თუნდაც „ქართული ოცნების“ მიერ მოწყობილ აქციაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი მმართველობის დროს გამართულ სხვა აქციებზე, როდესაც დაწყებული 2007 წლიდან, გაგრძელებული 2009 წლის 9 აპრილით და დამთავრებული 2011 წლის 21 მაისით, სააკაშვილის მმართველობას მართლაც რომ ხალხის უპრეცენდენტო მასა აპროტესტებდა.

მეორე მნიშვნელოვანი პასაჟი სააკაშვილის განცხადებაში, – ეს მისი და „ნაციონალური მოძრაობის“ მზადყოფნაა „საქართველოს მომავლის გადარჩენისთვის ბრძოლაში.“ სწორედ, რომ სააკაშვილის რეჟიმის თითქმის ათწლიანმა მმართველობამ დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ ისეთი საკითხი, როგორიც საქართველოს მომავალია და ალბათ ძალიან ბევრს ეჭვიც არ ეპარება, რომ იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი ხელისუფლებაში კიდევ რამდენიმე წლით დარჩებოდა, როგორც ის ამას კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის დროს გეგმავდა, – მაშინ არათუ საქართველოს მომავლის, თავად საქართველოს არსებობაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა.

რაც შეეხება მოქმედი პრეზიდენტის მესამე მნიშვნელოვან აქცენტს, რომელიც მან ამ განცხადებაში გააკეთა, – ეს მისი გუნდის სიმტკიცე და ერთიანობაა, რომელიც მათ „რეგრესის შეჩერების საქმეში“ უნდა გამოიჩინონ. თავად „რეგრესის“ შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ საუბარიც კი სასაცილოა, ხოლო რაც შეეხება სააკაშვილის გუნდის „სიმტკიცეს და ერთიანობას,“ ის კარგად გამოჩნდა თუნდაც ბოლო ორი კვირის განმავლობაში, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო ადრეულ მოვლენებზე, როდესაც „ნაციონალურ მოძრაობას“ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსა თუ ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები ბითუმად ტოვებდნენ.

დღეს კი, განსხვავებით წინა პერიოდისგან, ყოფილი „მონოლითური მთავრობის“ წევრები, თვითგადარჩენის ინსტიქტჩართულნი, ერთმანეთზე კომპრომატების ფრიალით არიან დაკავებულნი და მზად არიან, საკუთარი ტყავის გადარჩენის სანაცვლოდ, მათივე გუშინდელი თანაგუნდელი ბოლომდე გასწირონ.

ამიც მაგალითად ახალაია-მერაბიშვილ-ვერულაშვილის ფაქტორებიც კმარა, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად სააკაშვილ– მერაბიშვილს შორის არსებულ დაპირისპირებაზე, რომელმაც თავი მთელი სიმძაფრით სწორედ სააკაშვილის ნაქებ 19 აპრილის აქციაზე იჩინა.

ასე რომ მიხეილ სააკაშვილს, მის მიერ გამოხატული ნაძალადევი რიხის მიუხედავად, მაინც მოუწევს პასუხი აგოს პირველ რიგში ქართველი ხალხის და მეორე რიგში კანონის წინაშე, ხოლო მის ოპტიმიზმი, თუნდაც ამის სააკაშვილს მართლაც სჯეროდეს, თითიდან გამოწოვილი და საფუძველს მოკლებულია.

უფრო მეტიც, მიხეილ სააკაშვილი ისტორიის მიერაც განწირულია, ვინაიდან ისტორია ისეთი რამეა, სადაც მხოლოდ მასხარაშვილის იმედით ვერავინ ვერ იქნება და ის, ადრე თუ გვიან საკუთარ სახელს ყველა ფაქტს, მოვლენას თუ პიროვნებას არქმევს. ხოლო თუ როგორი იქნება ისტორიის შეფასება მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით, ეს ძნელი გამოსაცნობი ნამდვილად არაა.

სააგენტო „ნიუსპრესი“
ალეკო ჩუბინიძე

პოეზიის დღეს მიხეილ ქვლივიძეს გაიხსენებენ

ეკა ირემაშვილი

7 მაისს საქართველოში პოეზიის დღე აღინიშნება. ამ თარიღთან დაკავშირებით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში პოეზიის საღამო ჩატარდება, რომელიც მიხეილ ქვლივიძეს და მის შემოქმედებას მიეძღვნება.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ამ დღესასწაულის ტრადიცია 2009 წლიდან აღდგა და ყოველ წელს სხვადასხვა პოეტის შემოქმედებას ეთმობა. 7 მაისის პოეზიის დღედ გამოცხადება „ცისფერყანწელებს“ და საქართველოს დამოუკიდებლობის ხანას უკავშირდება.

„7 მაისი – პოეზიის დღე 2013“ „ქართველი პოეტის“ მიხეილ ქვლივიძის გამოფენა-საღამოს დაემთობა. „ქართველ პოეტს“ საქართველოსთან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაშორების გამო, მუდამ სურდა, რომ ასე მიეღოთ და მოეხსენიებიათ. პოეტის გრაფიკულ ნამუშევრებთან ერთად ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეკრებილი საზოგადოება პირველად იხილავს „ქართველი პოეტის“ ადრეული პერიოდის უბის წიგნაკის ელექტრონულ ვერსიას და მოისმენს მიხეილ ქვლივიძის ამღერებულ ლექსებს.

ქართველი პოეტმა, ლიტერატორმა და მთარგმნელმა მიხეილ ქვლივიძემ სკოლა წარჩინებით დაამთავრა და იმავე ზაფხულს თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. იმ დროს, სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობდნენ შალვა ნუცუბიძე, ნიკო ბერძენიშვილი, მოსე გოგიბერიძე და კოტე ბაქრაძე. მიუხედავად იმისა, რომ მიშა ამ ფაკულტეტზე სულ ორი წელი სწავლობდა, თავის იქაურ მასწავლებლებს სიცოცხლის ბოლომდე იხსენებდა და ემადლიერებოდა, განსაკუთრებით კი კოტე ბაქრაძეს, რომელზედაც არაერთხელ უთქვამს, იგი ლექტორი კი არა, მოძღვარი იყო, ის ჩვენ აზროვნებას გვასწავლიდაო. მეორე კურსის შემდეგ პოეტი შრომითი მობილიზაციით საავიაციო ქარხანაში სამუშაოდ გაიწვიეს, სადაც მან წელიწადზე მეტი დაჰყო. შემდეგ კი ყველაფერს ხატვის სიყვარულმა სძლია და სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე ჩაბარა. პოეზიით გატაცებულმა მიხეილ ქვლივიძემ სასწავლების დასრულების შემდეგ გაიცნო პოეტი სიმონ ჩიქოვანი, რომლის ყურადღებამ და სითბომ მოხიბლა დამწყები პოეტი და მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია მის ცხოვრებას. მან გააცნო პოეტს ბორის პასტერნაკი. სიმონ ჩიქოვანის მეშვეობით დაიბეჭდა მიხეილ ქვლივიძის პირველი ლექსი და გამოქვეყნდა პირველი კრებული, მწერალთა კავშირიც მისი რეკომენდაციით მიიღეს, ჯერ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრობის კანდიდატი, ხოლო შემდეგ კავშირის წევრი გახდა. მათი ურთიერთობა სიმონ ჩიქოვანის უკანასკნელ წუთებამდე გაგრძელდა. მიხეილ ქვლივიძემ სადიპლომო ნაშრომისათვის თავისი ლექსების ილუსტრაციები შექმნა. მოგვიანებით იგი სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტის ასპირანტი გახდა და მუშაობა დაიწყო სადისერტაციო თემაზე ,,ქართული საბჭოთა გრაფიკა“, თუმცა მოგვიანებით თემა შეცვალა ,,ვეფხისტყაოსნის დასურათების საკითხისათვის“. დისერტაცია არ დაიცვა, თუმცა მისი ეს ნაშრომი ორჯერ გამოიცა წიგნად.



პოეტი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. მალევე მიხეილ ქვლივიძე საკავშირო მწერალთა კავშირში საქართველოს წარმომადგენლად დაინიშნა და დაიწყო მისი ცხოვრების ,,მოსკოვური პერიოდი“. ამ პერიოდში, მან ,,მწერალთა ბრიგადების“ შემადგენლობაში, მთელი საბჭოთა კავშირი მოიარა. ბულატ ოკუჯავამ ამ პერიოდში თავისი ერთ-ერთი ცნობილი სიმღერა მიხეილ ქვლივიძეს მიუძღვნა. პოეტი ბავშვობიდანვე სრულყოფილად ფლობდა რუსულს, მაგრამ ლექსი ამ ენაზე არასოდეს არ დაუწერია. იგი თავისი და სხვა ქართველი პოეტების ლექსების შესანიშნავ ბწკარედებს აკეთებდა, რამაც შესაძლებელი გახადა ქართული პოეზიის თარგმნა რუსულ, პოლონურ, უნგრულ, იტალიურ და სხვა ენებზე.

მიხეილ ქვლივიძე აღმოჩნდა ერთადერთი ქართველი პოეტი, რომელიც ევროპის მწერალთა კავშირის წევრი გახდა. პოეზიის გარდა, მან იმუშავა კრიტიკულ სტატიებსა და საბავშვო წიგნებზე, ძალიან ბევრს თარგმნიდა, განსაკუთრებით, პოლონელ და უნგრელ პოეტებს. მან შეადგინა და პოლონეთში გამოსცა ,,ძველი ქართული პოეზიის ანთოლოგია“, ხოლო უნგრეთში – ,,თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია“. ამ საქმის გამო, პოეტი დაჯილდოვდა მედლებით პოლონური და უნგრული კულტურის წინაშე დამსახურებისთვის.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მიხეილ ქვლივიძემ მუშაობა დაიწყო ,,ძხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ერთიერთობის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში“ რუსული რედაქციის გამგედ. ეს იყო უნიკალური ორგანიზაცია, რომლის მეშვეობითაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები ქართულ კულტურას ეცნობოდნენ. მთარგმნელობითი საქმიანობა ქვლივიძის შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. მან არაერთი პიესა თარგმნა, რომელიც წარმატებით იდგმებოდა საქართველოს თეატრებში. თუმცა მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი კინოს ეკავა. იგი კინოსტუდია ,,ქართული ფილმის“ სასცენარო საბჭოს წევრი იყო. მან მთავარი როლი შეასრულა რეჟისორ გიორგი ყრელის მოკლემეტრაჟიან ფილმში ,,გრიბოედოვის საჩუქარი“. იგი რუსულ ენაზე თარგმნიდა და ახმოვანებდა ქართულ ფილმებს. მისი თარგმანითაა ცნობილი ფილმები ,,ნატვრის ხე“, ,,მონანიება“, ,,უძინართა მზე“, ,,იავნანა“.

პოეტი კითხულობდა ლექციებს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კულტურის უნივერსიტეტში. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება, გადაეცა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრემია პუბლიცისტურ-პოეტური ქმნილებებისათვის, ხშირად და სიამოვნებით მართავდა შეხვედრებს მკითხველებთან, კითხულობდა ლექციებს.

რაც შეეხება პოეტის პირად ცხოვრებას, მას ორი მეუღლე ჰყავდა. მიხეილ ქვლივიძის პირველი მეუღლე იყო ლილი გრომეკო, რომელთანაც პირველი ქალიშვილი თამარი შეეძინა, ოჯახი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა და მათ მეორე ქალიშვილი ნატა შეეძინათ. ლილი გრომენკოს გარდაცვალების შემდეგ პოეტი მეორედ დაქორწინდა მედეა შალამბერიძეზე. მათ ვაჟიშვილი გიორგი შეეძინათ. მიხეილ ქვლივიძე 2005 წელს 80 წლის ასაკში გარდაიცვალა, იგი საბურთალოს სასაფლაოზეა დაკრძალული.

მისი პოეზია მკითხველში დიდი პოპულარობით სარგებლობს. განსაკუთრებულად კი მკითხველი მის „ავტოპორტრეტს“ გამოარჩევს, რომელიც ასე თავრდება: „ვაგლახ, რა მოკლეა წუთისოფელი, არ ჰყოფნის მას ჩემი ნიჭი და სიფიცხე... მიცნობდეთ: ასე ვთქვათ, კეთილისმყოფელი „ავანტიურისტი“ მიხეილ ქვლივიძე!.“

მარინე ბოიაჯიანის მემკვიდრეთა საყურადღებოდ

19.10.2009 წ. გარდაცვლილი მარინე ბოიაჯიანის (დაბადებული 10.11.1965წ.) სამემკვიდრეო საქმე იწარმოება ნოტარიუს ოთარ ზოიძესთან (თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№21, IV სართული). დაინტერესებულმა პირებმა ნოტარიუს ოთარ ზოიძეს მიმართეთ 17.05.2013 წ.-მდე.

გრიბოედოვის თეატრში პიოტრ ფომენკოს მემორიალური დაფა გაიხსნა

ეკა ირემაშვილი

ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის დიდ ფოიეში გამოჩენილი რუსი თეატრალური რეჟისორის პიოტრ ფომენკოს მემორიალური დაფის გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.

გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ ქართული თეატრის მოღვაწეები და სტუმრები მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგიდან. მემორიალური დაფის გახსნის ცერემონია გადაიღო საგანგებოდ ამისთვის ჩამოსულმა შემოქმედებითმა ჯგუფმა რუსეთიდან, რომელიც ფომენკოს შესახებ დოკუმენტურ ფილმს ამზადებს.

– პიოტრ ფომენკო გამოჩენილი რუსი თეატრალური რეჟისორი და პედაგოგი იყო. მან დააარსა მოსკოვის თეატრი „პიოტრ ფომენკოს სახელოსნო“, დადგმული აქვს 60-ზე მეტი სპექტაკლი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. იგი 1970-1971 წლებში მოღვაწეობდა ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრში. დადგა სპექტაკლები „თავისი კუნძული“ და „ყვავილების გზა ან ჩემი არავის არ ესმის“. მისი მემორიალური დაფის გახსნა გრიბოედოვის თეატრის დიდ ფოიეში, ერთგვარი მადლიერების გამოხატულებაა მისი შემოქმედების და მისი პიროვნების მიმართ. საერთოდ, თბილის ისეთი ქალაქია, სადაც ყველაფერი პირველად ხდება. თბილისში პირველად გაიხსნა ტოვსტონოგოვის ქუჩა და ამის შემდეგ ეს ქუჩა უკვე პეტერბურგშიც გაიხსნა. არსად არ გახსნილა ფომენკოს მემორიალური დაფა, პირველად ეს მოხდა თბილისში და ისიც იმიტომ, რომ მან თავისი მოღვაწეობა დაიწყო თბილისში, – განაცხადა გრიბოედოვის თეატრის დირექტორმა ნიკოლაი სვენტიცკიმ.

პიოტრ ფომენკოს მემორიალური დაფა გრიბოედოვის თეატრის სახატვრო ხელმძღვანელმა ავთო ვარსიმაშვილმა გახსნა. მისი თქმით, ფომენკოს გრიბოედოვის თეატრის ისტორიაში თავისი კვალი დატოვა და სწორედ ამიტომ მისმა მემორიალურმა დაფამ ამ თეატრის ფოიეში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა.

– ფომენკო იყო რეჟისორი, რომლის გარეეშც წარმოუდგენელია განვიხილოთ რუსეთის თეატრი ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე. მან თანამედროვე რუსულ თეატრში უდიდესი კვალი დატოვა. მისი დაფა გაიხსნა მარჯანიშვილის, ტოვსტონოგოვის მემორიალური დაფების გვერდით. ჩვენ ნამდვილად მადლიერები ვართ მისი და ასეთი ფორმით გადავწყვიეტთ მადლიერების გამოხატვა – გრიბოედოვის თეატრში უკვე არსებობს მისი მეორიალური დაფა, – აღნიშნა ავთო ვარსიმაშვილმა.

თეატრალური უნივერსიტეტის რექტორისა და რეჟისორის გოგი მარგველაშვილის თქმით:

– ფომენკოს ფიგურა ნამდვილად გამორჩეულია თეატრალურ სამყაროში. ის იყო ადამიანი, რომელმაც თავისი ინდივიდუალური კვალი დატოვა ხელოვნების ამ დარგში. სასიამოვნოა, რომ საქართველოში მისი მემორიალური დაფა გაიხსნა. ეს არის მადლიერების აგმოხატვის ჩვენეული ფორმა, რომელიც ფომენკოს ნიჭიერებას უკავშირდება, – განაცხადა გოგი მარგველაშვილმა.

მემორიალური დაფის გახსნის შემდეგ ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრის მცირე დარბაზში შედგა შეხვედრა სტუმრებთან სანქტ-პეტერბურგიდან და მოსკოვიდან.

საღამოს პირველ ნაწილში გაიმართა „ვეფხისტყაოსნის“ ბილინგვას პრეზენტაცია, რომელსაც დართული აქვს კომენტარები და ილუსტრაციები. ასევე ნაჩვენები იქნა 15-წუთიანი დოკუმენტური ფილმი „თეთრი ღამეები: პეტერბურგის ხიდების ცხოვრებიდან.

ღონისძიების მეორე განყოფილებაში ნაჩვენები იქნა დოკუმრნტური ფილმი „ბლოკადა: დასწრების ეფექტი“ და გაიმართა დანიილ გრანინის და ალეს ადამოვიჩის „ბლოკადის წიგნის“ ახალი გამოცემის პრეზენტაცია.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის სარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის სარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯასაღებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

ჟოზე მოურინიო: რეალში თავიდან რომ დამაბრუნა, მეტ სიმკაცრეს გამოვიჩენდი

ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციებით, მადრიდის „რეალის“ მწვრთნელი ჟოზე მოურინიო „სამეფო კლუბს“ დატოვებს და ისევ ნისლიან ალბიონზე გადაბარგდება. სავარაუდოდ, მოურინიო ლონდონის „ჩელსის“ გაწვრთნის, თუმცა ამის თაობაზე ჯერ კრინტს არ ძრავს. ყოველ შემთხვევაში, ესპანურ მედიაში გამოქვეყნებულ ინტერვიუში არაფერს ამბობს.

– მადრიდის „რეალიდან“ მიდიხართ?

– სეზონის დასრულების შემდეგ მოლაპარაკების მაგიდას „რეალის“ პრეზიდენტსა და ჩემს პირად აგენტთან ერთად მივუჯდები. ყველაფერი საბოლოოდ მაშინ გაირკვევა. დარწმუნებული ვარ, მეგობრული საუბარი გამოვა და მისი დასრულების შემდეგ მივიღებ გადაწყვეტილებას. მოითმინეთ, სეზონის დასრულებამდე დიდი დრო არაა. ჯერჯერობით პრემერა დივიზიონის დასკვნით 5 მატჩსა და ესპანეთის „სამეფო თასის“ ფინალზე ვფიქრობ.

– ახლა როგორ ფიქრობთ, დარჩებით?

– აკი გითხარით, გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიმიღია. როდესაც ყველაფერს გავარკვევ, პირველად მეუღლესა და შვილებს ვეტყვი.

– „რეალიდან“ თქვენი წასვლის შესახებ ესპანურ თუ ევროპულ გაზეთებში ყოველდღიურად იწერება. ეს მუშაობაში ხელს არ გიშლით?

– არა. ეს ნებისმიერი კლუბის მთავარი მწვრთნელისთვის დამახასიათებელი სიტუაციაა. პარიზში საუბრობენ იმის თაობაზე, რომ სეზონის დასრულებისთანავე პსჟ-დან კარლო ანჩელოტი წავა. მიუნხენის „ბაიერნს“ ბრწყინვალე სეზონი აქვს, მის მწვრთნელ იუპ ჰაინკესს კი პეპ გვარდიოლა შეცვლის. სავარაუდოდ, „მანჩესტერ სიტი“ რობერტო მანჩინის შეელევა, „ჩელსი“ – რაფა ბენიტესს. ევროპის ბევრი წამყვანი კლუბი ანალოგიურ ვითარებაშია. ჩვენ, მწვრთნელებს კი საკუთარი საქმისადმი ერთგულება გვმართებს. მთავარია, ნებისმიერ მდგომარეობაში ჩავარდნილებმა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა მოვახერხოთ. პირადად ჩემთვის მადრიდის „რეალის“ განვრთნა ერთდროულად უდიდესი პატივიცაა და პასუხისმგებლობაც. ცხადია, ამჟამად მთლად კარგ გუნება-განწყობაზე არ ვარ. რამდენიმე დღის წინ ხომ ჩემპიონთა ლიგიდან გამოვვარდით, მაგრამ საფეხბურთო ცხოვრება გრძელდება და ჩვეულ სამუშაო რიტმში განვაგრძობთ საქმიანობას.

– პრესის მხრიდან ზეწოლას გრძნობთ?

– არა, არ ვგრძნობ. მწვრთნელის პროფესია სპეციფიკურია და თუკი სხვის გამონათქვამებსა და შეფასებებზე იფიქრე, წარუმატებლობას თავიდან ვერ აიცილებ. ყოფილი ფეხბურთელები, რომლებიც სადღეისოდ მწვრთნელად მუშაობენ, მარწმუნებენ, რომ მოთამაშეობა დამრიგებლობასთან შედარებით გაცილებით იოლია. ამიტომაც ჩემ ფეხბურთელებს ყოველთვის ვეუბნები, რომ თამაშისგან სიამოვნების მიღებას მაქსიმალურად შეეცადონ. ფეხბურთელის პროფესია ხანგრძლივი არაა.

– არ გსურთ „რეალში“ დარჩენა და „დესიმას“ მოგება?

– მხოლოდ ერთს გეტყვით – ძალიან მინდა, მადრიდის „რეალმა“ „დესიმა“ შეასრულოს. „ჩელსის“ ჩემპიონთა ლიგა ვერ მოვაგებინე, მაგრამ ძალიან გამიხარდა, როდესაც ლონდონელებმა ეს უჩემოდ, შარშან მოახერხეს. ყოველთვის ვქომაგობ იმ გუნდებს, რომლებშიც მიმუშავია. ვიმეორებ – გამიხარდება, თუკი „რეალი“ „დესიმას“ უჩემოდ მოიგებს.

– ახლო წარსულს რომ გადახედოთ, რას შეცვლიდით იმ პერიოდიდან მოყოლებული, როცა მადრიდის „რეალის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნეთ?

– უფრო აქტიურად ვიმუშავებდი და მეტ სიმკაცრესაც გამოვიჩენდი. აუცილებლად უფრო ადრე მოვიწვევდი გუნდში დიეგო ლოპეს.

– დავუშვათ და სეზონის დასრულების შემდეგ „რეალი“ დატოვეთ. თქვენ აქტივში ერთი საჩემპიონო ტიტული, ერთი ან ორი „სამეფო თასი“ და ერთიც ესპანეთის სუპერთასი იქნება. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაწეულ სამუშაოს წარმატებულად ჩათვლით?

– „რეალს“ ქვეყნის თასი 20-წლიანი პაუზის შემდეგ მოვაგებინე – მისი მოგება ადვილი საქმე არაა. არც ესპანეთის სუპერთასია იოლად მოსაგები და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში სამჯერ გასვლაც ურთულესია. აგიხსნით, რატომაც – გუნდმა 21 წლის განმავლობაში 18 მწვრთნელი გამოიცვალა და ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ხუთჯერ გააღწია ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. მე კი ეს დროის შეუდარებლად მოკლე მონაკვეთში სამჯერ შევძელი! შეადარეთ 5 ნახევარფინალი 21 წლის განმავლობაში და 3 ამდენივე სეზონის მსვლელობისას. ხომ არ გავიწყდებათ, სარეკორდო ლა ლიგაც ჩემია!

– რა კომენტარს გაუკეთებთ კრიშტიანუ რონალდუს სიტყვებს? თქვენმა თანამემამულემ განაცხადა, არ მაინტერესებს დარჩება თუ არა მოურინიო, მხოლოდ „რეალის“ ბედი მაღელვებსო.

– მომწონს და ვეთანხმები კრიშტიანუს პოზიციას. მან მხოლოდ საკუთარ თავსა და კლუბზე უნდა იფიქროს. ვიმედოვნებ, „რეალი“ და რონალდუ კიდევ დიდხანს იქნებიან ერთად.

ბაქოში შოთა დააკლდა

მსოფლიო ფეხბურთისა ვარსკვლავებისა და აზერბაიჯანელი ვეტერანების ამხანაგურ მატჩი 3:3 დასრულდა. ვარსკვლავებიდან დუბლი არჩილ არველაძემ შეასრულა, რომელსაც აზერბაიჯანული პრესა თამაშის დასრულებისთანავე გაესაუბრა.

– აზერბაიჯანელ ვეტერანებთან ამხანაგურ მატჩში, რომელიც 3:3 დასრულდა, 2 გოლი გაიტანეთ. შეიძლება, რომ მთავარ გმირად ჩაითვალოთ?

– არა. ვფიქრობ, ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც გვსურდა. წარსულში ცნობილი ფეხბურთელების ხილვა ამდენი ხალხის წინაშე სასიამოვნო იყო. ამხანაგურ მატჩში საუცხოო ატმოსფერო სუფევდა. ქართველებს ყოველთვის გვიხარია აზერბაიჯანში ჩასვლა და ასეთ თამაშში მოედანზე გასვლა.

– ბაქოში თქვენი ტყუპისცალი შოთაც იყო დაპატიჟებული, რომელიც ვერ ჩამოვიდა. ის მოედანზე არ გაკლდათ?

– რა თქმა უნდა, მაკლდა. ჩვენ ტყუპისცალები ვართ და მის შესახებ ყოველთვის ვფიქრობ. ამის მიუხედავად, მოედანზე ჩემ გვერდით უფროს ძმა, რევაზი, იყო.

– აზერბაიჯანელმა ვეტერანმა ფეხბურთელებმა როგორი შთაბეჭდილება დატოვეს?

– ვინ ითამაშა, მათ დიდი ხანია ვიცნობ. ისინი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მახსოვს, როდესაც პატარა ვიყავი. მე ყოველთვის მომწონდა ჩივაძისა და ყიფიანის თაობა. მათ ბავშვობიდან ვგულშემატკივრობდი.

– განვლილ მატჩში ვისი თამაში მოგეწონათ?

– მინდორზე მყოფები მომწონდა, როდესაც დიდ ფეხბურთს თამაშობდნენ. სამწუხაროდ, ყოველთვის კარგ ფორმაში არ ვართ. აქედან გამომდინარე, ადრინდელ თამაშს ვერ ვაჩვენებთ. ნებისმიერ შემთხვევაში მსურს, მადლობა გადავუხადო აზერბაიჯანის ფეხბურთის ასოციაციას მიწვევისთვის.

– როგორ მოგეწონათ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილ თავდამსხმელ დუაიტ იორკთან ერთად თამაში, რომელმაც საგოლე პასი მოგცათ?

– რა თქმა უნდა, მომეწონა. თავდასხმაში ისეთ დიდ ფეხბურთელთან ერთად თამაში, როგორიც იორკია, კარგია. თუმცა, მოედანზე სხვა დიდი ფეხბურთელებიც იყვნენ, რომლებმაც კარიერის მანძილზე ყოფილ საბჭოთა კავშირში, იუგოსლავიაში, გერმანიასა და უკრაინაში საუცხოოდ ითამაშეს. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო ბერნდ შუსტერთან ერთად თამაში.

დინამომ ჩემპიონობა კლასიკურად გადაწყვიტა

დინამო (თბ) – ტორპედო 4:0

1:0 დვალი (16), 2:0 ალვარო (41), 3:0 დვალი (79), 4:0 გრაიციარი (87)

დინამო: ლორია, სეთურიძე, გ.კვარაცხელია, გველესიანი (ხიზანეიშვილი 89), გლიშჩი, ძარია (პაპავა 83), ხმალაძე, გრაიციარი, ალვარო (კოტო 86), მერებაშვილი, დვალი

ტორპედო: მიგინეიშვილი, რიგვავა, ზ.ჭელიძე, გ. გურული, ტაბატაძე, გ.დათუნაიშვილი (ფანცულაია 46), გიგაური, დოლიძე, კუხიანიძე (ფირცხალავა 61), ე.გრიგალაშვილი, ტუღუში (მარკოზაშვილი 59)

ქართულ „კლასიკოდ“ მიჩნეული წინა სამივე დაპირისპირება ნამდვილად საუცხოო სანახავი გამოდგა. თბილისში გამართული შეხვედრის შემდეგ, სადაც „დინამომ“ 3:2 დაამარცხა მეტოქე, ქუთაისში გამართული ორივე პაექრობა, საბრძოლო და სანახაობრივი ფრეთი დასრულდა, თუმცა ბოლო დაპირისპირება ამ მხრივ ნამდვილად გამონაკლისი გამოდგა. მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა და ეს გუნდი „დინამო“ იყო, რომელსაც პირველივე წუთებიდანვე ეტყობოდა, რომ ნებისმიერ ფასად გადაწყვეტილი ჰქონდა ამ შეხვედრის მოგება.

მე-16 წუთზე „დინამო არენაზე“ შეკრებილმა გულშემატკივარმა საოცარი გოლი იხილა: საჯარიმოს მისადგომებთან მიღებული ბურთით, დვალმა სლალომივით გაიარა „ტორპედოს“ დაცვის ხაზი სრული შემადგენლობით და მშვიდად შეაგორა იგი კარში 1:0!

გოლამდე დინამოელებმა ორჯერ გაარტყეს ბურთი ძელს, ჯერ ალვაროს დარტყმული ჯარიმისგან იხსნა ხარიხამ ქუთათურები, შემდეგ კი მერებაშვილის დარტყმული, მიგინეიშვილისგან მოხვდა ძელს.

ამის შემდეგ „დინამო“ კვლავ აგრძელებდა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობის ფლობას, ქუთათურები კი ძირითადად თავს იცავდნენ.

დინამოელთა მეორე გოლიც ასევე არანაკლებ სანახაობრივი გამოდგა. მიკელ ალვარომ, საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი ხმალაძისგან მიიღო და მოჭრილი დარტყმით მიგინეიშვილს შანსი არ დაუტოვა 2:0! მიმდინარე სეზონში ალვარომ მესამედ გაიტანა „კლასიკოში“.

შეხვედრის მეორე ნახევარიც ანალოგიური სცენარით წარიმართა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ „ტორპედოს“ ფეხბურთელების ერთადერთი დარტყმის დროს მოუხდა დინამოელთა მეკარეს საქმეში ჩართვა, ისიც სრულიად უსაფრთხოდ.

მე-80 წუთზე მესამე გოლი ისევ ჯაბა დვალმა გაიტანა, რომლისთვისაც ეს შედეგიანი დარტყმა საიუბილეო, მე-100 აღმოჩნდა ეროვნული ჩემპიონატის ეგიდით გამართულ შეხვედრებში. პიტერ გრაიციარი ლამაზი პასით ხმალაძეს ტოვებდა დასარტყმელ პოზიციაზე, თუმცა ამ უკანასკნელს დარტყმის მაგივრად პასი გამოუვიდა და დვალსაც ახლო მანძილიდან არ გასჭირვებია „ტორპედოს“ კარის დალაშქვრა – 3:0!

შვიდ წუთში ანგარიში გამანადგურებელი გახდა. „დინამოს“ სლოვაკმა ლეგიონერმა პიტერ გარაიციარმა მიმდინარე ჩემპიონატში მისთვის სადებიუტო გოლის გატანა მოახერხა. გურულმა თავის ნახევარზე დაკარგა ბურთი, რომელიც გრაიციარმა საჯარიმოს მისადგომებიდან დარტყმით გაახვია მიგინეიშვილის კარის ბადეში – 4:0!

საბოლოოდ შეხვედრაც ასევე დასრულდა, „დინამომ“ საჩემპიონო თამაშით 5- წლიანი პაუზის შემდეგ დაეუფლა ქვეყნის უძლიერესის ტიტულს!

ზუგდიდი – დილა 1:2

განმუხური. ცენტრალური

სიხარულია (15) 1:0, არაბული (75) 1:1, მოდებაძე (81პ) 1:2

ზუგდიდი: ძაგანია, რ.ონიანი, აფაქიძე, აქუბარდია, კანკია, ხუბუა, სიხარულია (თოლორაია 84), წურწუმია (ფარჯიკია 62), ლომია, ეხვაია (67), გაბედავა

დილა: შეყრილაძე, ალადაშვილი, კვახაძე, კვირკველია, თომაშვილი, გოგუა, გვალია, გორელიშვილი (ილურიძე 58), მოდებაძე, რამოსი (არაბული 72), ჟუნიორი (ბეჭვაია 90)

მატჩს მთლიანად გორელები აკონტროლებდნენ, თუმცა პირველ ნახევარში ცოტა გაუჭირდათ და რამდენიმე მომენტი გაანიავეს, რის შედეგადაც დაისაჯნენ და მე-15 წუთზე ზუგდიდელთა კაპიტანმა სიხარულიამ ანგარიში გახსნა – 1:0.

„დილა“ გაშვებული ბურთის შემდეგ, კიდევ უფრო გააქტიურდა და ანგარიშის გათანაბრება მეორე ტაიმში შეძლო. ნათან ჟუნიორის აქტიურობის შემდეგ შეცვლაზე შესულმა ბაჩანა არაბულმა გაათანაბრა – 1:1.

მეორე გოლი კუთხურს მოჰყვა. ჩაწოდებული ბურთი მოდებაძეს მიუვიდა, მისი დარტყმული მოწინააღმდეგის მცველს ხელზე მოხვდა და მთავარმა არბიტრმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც მოდებაძემ შეასრულა და სტუმრებმა მატჩის შემოტრიალება შეძლეს – 1:2.

ვალდას ივანაუსკასი:

– პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ზუგდიდელ გულშემატკივარს იმ მხარდაჭერისთვის, რომელიც ჩვენი გუნდის მიმართ გამოხატეს. მე ვიცი, რომ პარალელურად გორში დიდი აქცია მიმდინარეობდა, რაც მათი მხრიდან ჩვენთვის უდიდესი სტიმული გახლდათ. მათი მხარდაჭერა ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია და, იმედია, ყველაფერი დადებით შედეგს გამოიღებს. რაც შეეხება თამაშს, ძალიან საჭირო გამარჯვება მოვიპოვეთ. „ზუგდიდი“ კარგი, მებრძოლი გუნდია. განსაკუთრებით პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, თუმცა რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მეორე ნახევარი ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა და შევძელით გამარჯვების მოპოვება. მინდა მივულოცო ჩვენს გულშემატკივარს ეს გამარჯვება და ასევე ჩემს ბიჭებს.

ელგუჯა ქომეთიანი:

– „დილა“ საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად მიმაჩნია. ვიცოდით, რომ ერთ-ერთი რთული მატჩი გვექნებოდა. ჩვენ ძირითადად ადგილობრივი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი ვართ. ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ მეტოქე დღეს ჩვენზე ძლიერი იყო და დამსახურებულად გაიმარჯვა.

ზესტაფონი – ჩიხურა 1:4

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

1:0 დემელი (39), 1:1 ჩიკვაიძე (60), 1:2 რეხვიაშვილი (67), 1:3 გოცირიძე (74), 1:4 კვასხვაძე (88)

ზესტაფონი: მეშველიანი, თორნიკე გრიგალაშვილი, ლოსანო, შარიქაძე, ბაბუნაშვილი, იელიჩი, ბენაშვილი, რაჟამაშვილი (რეკრუკი 71), ბოტი დემელი, გორგიაშვილი (გაგოშიძე 46),სამუშია (კვერნაძე 80)

ჩიხურა: მწყერაშვილი, ბერიანიძე, ლ.ჭელიძე, კირკიტაძე (ნ.კვასხვაძე, 46), ქიმაძე, გ.ჩხეტიანი, ლომაშვილი, ჩიკვაიძე, გოცირიძე, კაშია (რეხვიაშვილი, 60), ოდიკაძე (დ.ბოლქვაძე, 46)

გაძევება: ბენაშვილი (37)

მატჩი მასპინძელთა აქტიურობით დაიწყო და მატჩის დებიუტში კარის აღების კარგი შესაძლებლობები გურამ სამუშიამ და თორნიკე გორგიაშვილმა ვერ გამოიყენეს. ამის შემდეგ თამაში თანდათანობით გათანაბრდა და მოვლენები ძირითადად მოედნის ცენტრში ვითარდებოდა. 37-ე წუთზე მატჩის არბიტრმა არსენ ნონიკაშვილმა მეორე ყვითელი ბარათის გამო მოედანი ალექსი ბენაშვილს დაატოვებინა. ამ ეპიზოდსა და სტუმართა მიერ უხეიროდ შესრულებულ საჯარიმო დარტყმას მოჰყვა მასპინძელთა სწრაფი კონტრშეტევა და საჩხერელთა მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ბოტი გოა დემელმა თავის გუნდი დააწინაურა.

მეორე ტაიმი კი საჩხერელთა სრული უპირატესობით წარიმართა – 60-ე წუთზე ანგარიში ლაშა ჩიკვაიძემ გაათანაბრა, 67-ეზე

გიორგი რეხვიაშვილმა წინ უკვე თავის გუნდი გაიყვანა, 74-ე წუთზე რევაზ გოცირიძემ საჩხერელთა უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა, ხოლო 88-ეზე დღევანდელ შეხვედრაში ბოლო წერტილი ნიკა კვასხვაძემ დასვა.

სატურნირო ცხრილი 1-6 ადგილებისთვის:

1.დინამო (თბ) 29 21 6 2 74:20 69

2.დილა 30 21 2 7 52:21 65

3.ტორპედო 29 17 7 5 48:21 58

4.ჩიხურა 29 16 6 7 43:29 54

5.ზესტაფონი 29 11 6 12 31:28 39

6.ზუგდიდი 30 10 6 14 30:46 36

დინამო(ბთ) – სიონი 1:1

ქობულეთი. ჩელე არენა

0:1 მანწკავა(15), 1:1 ჟვანია(43)

დინამო: პიცანი, ფარტენაძე, ჟვანია, ზ.ლობჟანიძე, მაკარიანი, კოშკაძე (თევდორაძე 79), მუჯირი, მახარაძე, ა.გურული (ბაციკაძე 79), ჩიმაკაძე, კიკნაველიძე (დიასამიძე 46)

სიონი: მერლანი, სვანიძე, ქემოკლიძე, ფოფხაძე, ელიავა, ჰაიდუჩეკი (ჯოჯუა 72), ცხადაია, ლექვთაძე, კლიმიაშვილი (უგრეხელიძე 53), მანწკავა, ახალაია (მიკუჩაძე 36)

მეტალურგი – ვიტ ჯორჯია 0:2

რუსთავი. ფოლადი

0:1 კუხალეიშვილი (42), 0:2 ღიბრაძე (90)

მეტალურგი: ალავიძე, ჯაფარიძე, დ.საჯაია (სუხიაშვილი 46), მახვილაძე, ცნობილაძე, ქავთარაძე, განუგრავა, გეწაძე (ახალკაცი 58), ლობჟანიძე, ხაბელაშვილი, ვ.კვარაცხელია (მიქაბერიძე 75)

ვიტ ჯორჯია: დაუშვილი, კასრაძე, ადამაძე, ხურცილავა, უბილავა, ჯავაშვილი (გოგიაშვილი 79), კორიფაძე (ღიბრაძე, 67), გურეშიძე, ჯანელიძე, ვასაძე, კუხალეიშვილი (ლობჯანიძე 45)

კოლხეთი – მერანი 1:2

ფოთი. ცენტრალური

0:1 კუჭუხიძე (43), 1:1 გოგონაია (53), 1:2 ფონიავა (83)

სატურნირო ცხრილი 7-12 ადგილებისთვის:

7.მეტალურგი 30 12 7 11 27:32 43

8.მერანი 30 10 3 17 30:49 33

9.ვიტ ჯორჯია 30 8 8 14 25:40 32

10.სიონი 30 7 8 15 27:48 29

11.დინამო (ბთ) 30 7 6 17 36:53 27

12.კოლხეთი 30 2 7 21 18:54 13

ბომბარდირები: ჩისკო (დინამო თბ) – 21 ბურთი; ჯაბა დვალი (დინამო თბ) – 19; საბა ლომია (მერანი) – 16.

ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ კონსერვატორიაში ჩატარდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლიერო, ხალხურ და კლასიკური მუსიკას, დრამატულ ხელოვნებას, მხატვრობას, პოეზიას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვების და მოზარდების შემოქმედებას, ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ქართველ ხელოვანებს და საგანგებოდ ფესტივალში მოწვეულ უცხოელ შემსრულებლებს. შემდეგ კი ფესტივალი ინაცვლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ამაღლების დღესასწაულამდე ქართველი და უცხოელი შემსრულებლები ადგილობრივ შემოქმედებით ძალებთან ერთად საერთო-სახალხო ზეიმებს აწყობენ.

ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ 2006 წელს დაარსდა, რამდენიმე წლის მუშაობის შედეგად საგულისხმო რეპუტაცია მოიპოვა და მასში მსოფლიოში აღიარებული ხელოვანების უანგაროდ მონაწილეობა განაპირობა. საერთაშორისო ფესტივალის შინაარსს ყოველ წელს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ქმნიდა (მარინა იაშვილი, ლიანა ისაკაძე, ბიძინა კვერნაძე, ანზორ ერქომაიშვილი, ვალერიან შიუკაშვილი, ნიკა მემანიშვილი, ალექსანდრე კორსანტია). საორგანიზაციო კომიტეტის და მრჩევლების გადაწყვეტილებით, 2012 წლიდან ფესტივალს ხელმძღვანელობს ალექსანდრე კორსანტია. ამ ფესტივალის დამფუძნებლები არიან სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი და აკაკი რამიშვილის ფონდი „ტრადიცია და ინოვაცია“. პატრიარქის ფონდი 2005 წლის 8 თებერვალს დაფუძნდა. მის საქმიანობას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის თავმჯდომარეობით წარმართავს მმართველი საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ეკლესიის, საზოგადოების, კულტურის, მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები. დაფუძნებიდან დღემდე ფონდის დაფინანსებითა და მხარდაჭერით მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, მათ შორის – ანტინარკოტიკული პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ ჩატარდა ნარკომანიის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა. კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შემუშავდა საზოგადოებაში ანტინარკოტიკული განწყობის ფორმირების სტრატეგია და შეიქმნა საპატრიარქოს ფონდთან არსებული ანტინარკოტიკული ცენტრი. ამავე პროგრამის ფარგლებში თბილისის თაბორის მთაზე მდებარე „ფერიცვალებისა“ და მარტყოფის „ყოველთა წმიდათას“ მონასტრების დახმარებით დაარსდა ქიმიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების მქონე პირთა ნარკოლოგიური ფსიქო-სარეაბილიტაციო ცენტრები. ფონდთან არსებული დემოგრაფიული პრობლემების შემსწავლელი დროებითი კომისიის მიერ შეიქმნა დემოგრაფიული განვითარების კონცეფცია – „ქართველთა გამრავლებისა და მრავალრიცხოვანი საქართველოსათვის“ და ჩატარდა კვლევა დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანი პროპაგანდისთვის – „დემოგრაფიული ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურული ასპექტები“ და სხვა მრავალი პროექტი. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით 2011 წელს ფონდმა რამდენიმე მარათონი გამართა გორში, ბათუმში, რომელშიც მონაწილეობა სხვადასხვა ასაკის მოსწავლე-ახალგაზრდამ მიიღო.

რაც შეეხება აკაკი რამიშვილის ფონდს, ისიც 2005 წელს დაარსდა და დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი თავმჯდომარის ნოე რამიშვილის ვაჟის, ქართველი ემიგრანტის და საზოგადო მოღვაწის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სამეფოს მოქალაქის აკაკი რამიშვილის სახელს ატარებს, რომელიც დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. ფონდის მიზანია ქართული ეროვნული და კულტურული ტრადიციების პოპულარიზაცია საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ, უცხოეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების სამშობლოსთან დაახლოება, მათი შემოქმედების პოპულარიზაცია როგორც უცხოეთში, ასევე სამშობლოში. ფონდის მიერ განხორციელდა არა ერთი საინტერესო პროექტი, მათ შორის აკაკი რამიშვილის წიგნის „ჩვენი შეცდომები 1918-1921 წლებში“ გამოცემა ქართულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ქართულ-ინგლისური კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო ასოციაციის ფორმირების სტრატეგია და შეიქმნა საპატრიარქოს ფონდთან არსებული ანტინარკოტიკული ცენტრი. ამავე პროგრამის ფარგლებში თბილისის თაბორის მთაზე მდებარე „ფერიცვალებისა“ და მარტყოფის „ყოველთა წმიდათას“ მონასტრების დახმარებით დაარსდა ქიმიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების მქონე პირთა ნარკოლოგიური ფსიქო-სარეაბილიტაციო ცენტრები. ფონდთან არსებული დემოგრაფიული პრობლემების შემსწავლელი დროებითი კომისიის მიერ შეიქმნა დემოგრაფიული განვითარების კონცეფცია – „ქართველთა გამრავლებისა და მრავალრიცხოვანი საქართველოსათვის“ და ჩატარდა კვლევა დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანი პროპაგანდისთვის – „დემოგრაფიული ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურული ასპექტები“ და სხვა მრავალი პროექტი. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით 2011 წელს ფონდმა რამდენიმე მარათონი გამართა გორში, ბათუმში, რომელშიც მონაწილეობა სხვადასხვა ასაკის მოსწავლე-ახალგაზრდამ მიიღო.

ლოვნების ვარსკვლავები მანაბას სამკაულებით“, რომელშიც დაღესტნელი მხატვრის მანაბა მაგომედოვას შემოქმედება წარმოჩინდა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდთან ერთად ტარდება ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“. ამავე ფონდის ხელშეწყობით ჩატარდა პირველი საერთაშორისო ფესტივალი ღია ცის ქვეშ „ღამის სერენადები“, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი ცლიანა ისაკაძეა. აკაკი რამიშვილის ფონდის დამფუძნებლები არიან თავმჯდომარე მარიამ დავითაშვილი, მანანა ხვედელიძე, ირინა სახამბერიძე-მახვილაძე.

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია ცნობილი ქართველი პიანისტი ალექსანდრე კორსანტია. როგორც ფესტივალის ორგანიზატორები აცხადებენ, პიანისტმა მრავალმხრივი შესაძლებლობა და ნიჭი საოცარი სიძლიერით წარმოაჩინა. ამ ფესტივალში მუსიკოსი სრულად წარმოჩინდა – როგორც პიანისტი, როგორც პედაგოგი და სააღდგომო მუსიკალური ზეიმის გამორჩეული სამხატვრო ხელმძღვანელი, სწორედ ამიტომ, საორგანიზაციო ჯგუფის გადაწყვეტილებით 2012 წლიდან ფესტივალს ხელმძღვანელობს ალექსანდრე კორსანტია.

– ღრმა ბავშვობიდან ვგრძნობდი, რომ ჩემში მუსიკა თავისთავად არსებობდა. მუსიკა აფართოებს ადამიანის ცხოვრებას, სულიერ სიღრმეს იძლევა. მე მუსიკას ყველგან ვპოულობ, იმ უმაღლეს ჰარმონიას, რაც იდეალურად არის მიწოდებული მუსიკაში, ეს მავსებს, – ამბობს ალექსანდრე კორსანტია.

მუსიკის უნიკალურ სამყაროს პიანისტი ადრეული ბავშვობიდან ეზიარა. მისმა დედამ თბილისის კონსერვატორიის პროფესორმა, ვაჟი შვილის გამორჩეულ ნიჭს სათანადო განვითარების შესაძლებლობა მისცა. შემდეგ დამწყები პიანისტის მსოფლმხედველობა თბილისის კონსერვატორიაში სრულყო დიდმა მაესტრომ, ბატონმა თენგიზ ამირეჯიბმა. სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული ალექსანდრე კორსანტია მსოფლიოს ერთერთი ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსების აღიარებული პიანისტია. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ალექსანდრე კორსანტია უზადო ტექნიკური შესაძლებლობების მქონე პიანისტია და სხვადასხვა ეპოქის სურნელს მოწიწებით და განსაკუთრებული თვითმყოფადობით გადმოსცემს.

– სწორედ გამორჩეული საშემსრულებლო ხელწერა და მანერა იზიდავს მსოფლიოს საუკეთესო დარბაზების მსმენელს და დირიჟორებს. ქართველი პიანისტი თანამშრომლობს ცნობილ მუსიკოსებთან და რეგულარულად მონაწილეობს სხვადასხვა მუსიკალურ პროექტში. 1992 წლიდან ის ოჯახთან ერთად ამერიკაში ცხოვრობს, სადაც დასაწყისში, ქართველი მეგობრის, ლექსო თორაძის მიერ დაარსებულ პიანისტთა სტუდიაში დაიწყო მოღვაწეობა. მოგვიანებით ბოსტონში გადავიდა, სადაც დღესდღეობით „ახალი ინგლისური კონსერვატორიის“ მუსიკალური ფაკულტეტის პროფესორია. ალექსანდრე კორსანტიას გამორჩეული პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგია მისი კურსდამთავრებულების წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობა. ეს პიანისტი ვირტუოზ ქართველ პიანისტთა შორის გამოჩეული ხელოვანია. მასზე პრესაში მუდმივად იბეჭდება საგულისხმო და ობიექტური სტატიები. იგი სამშობლოში ღირსების ორდენით არის დაჯილდოებული, – ნათქვამია საგანგებო განცხადებაში.

პირველ ფესტივალს ახალგაზრდა პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი ხელმძღვანელობდა, მეორე ფესტივალს – ცნობილი კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე, მესამე ფესტივალის კონსულტანტი იყო მსოფლიოში აღიარებული მევიოლინე ლიანა ისაკაძე, მეოთხე ფესტივალს ხელმძღვანელობდა დირიჟორი ნიკა მემანიშვილი, მეხუთე ფესტივალს გამოჩენილი ქართველი მევიოლინე მარინა იაშვილი ედგა სათავეში. გასულ წელს კი ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელობა ალექსანდრე კორსანტიას მიანდეს. ფესტივალში ორგანიზატორებისა და ხელოვანთა მონაწილეობა სრულიად უანგაროდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ხდება, რაც, უპირველეს ყოვლისა მისი სახელწოდებითა და შინაარსით არის განპირობებული.

ფესტივალის პრიორიტეტებია უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა შემოქმედების სამშობლოში პოპულარიზაცია, საფესტივალო საღამოების გამართვა როგორც დედაქალაქში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ფესტივალი იწყება თბილისში, აღდგომის შემდგომ ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში, სადაც 4-5 საღამო ტარდება. შემდეგ, რამდენიმე პროექტი ხორციელდება რეგიონებში და მთავრდება ამაღლების დღესასწაულზე საქართველოს რომელიმე კუთხეში.

წლევანდელი ფესტივალი 7-12 მაისს თბილისში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება. ღონისძიების გახსნის დღეს ფოიეში მოეწყობა სააღდგომო თემატიკაზე შექმნილი ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის აღსაზრდელთა ნამუშევრების გამოფენა. 7 მაისს გაიმართება ფესტივალის საზეიმო გახსნა, ასევე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს მუსიკალური ნაწარმოებების კრებულის პრეზენტაცია. კონცერტის სოლისტები იქნებიან ალექსანდრე კორსანტია (ფორტეპიანო), კატია სკანავი (ფორტეპიანო), თამარ გვერდწითელი, ირინა ალექსიძე (მეცო სოპრანო), მამუკა მანჯგალაძე (ტენორი), ვიქტორია ჩაპლინსკაია (კონცერტმაისტერი) და ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „იმერი“.

8 მაისს დაგეგმილი საღამო თენგიზ ამირეჯიბის ხსოვნას მიეძღვნება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“ და სოლისტები ალექსანდრე კორსანტია (ფორტეპიანო) და გიორგი ხარაძე (ჩელო). საკონცერტო პროგრამაშია ჰაიდნის კონცერტი ვიოლონჩელოსა და ორკესტრისათვის, შონბერგის „გასხივოსნებული ღამე“ და მოცარტის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის.

9 მაისს ფესტივალის ეგიდით ჩატარდება ალექსი მაჭავარიანის ინსტრუმენტული კონცერტების საღამო და იგი მიეძღვნება კომპოზიტორის დაბადების 100 წლისთავს. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ოპერის სიმფონიური ორკესტრი და სოლისტები კატია სკანავი – ფორტეპიანო (საბერძნეთი), მარტა აბრაჰამი – ვიოლინო (უნგრეთი), გიორგი ხარაძე – ჩელო (საქართველო-საფრანგეთი) და დირიჟორი – ვახტანგ მაჭავარიანი.

10 მაისს ჩატარდება საფორტეპიანო მუსიკის საღამო, რომელზეც მსმენელის წინაშე წარსდგება პიეტრო გატო. იგი შარშან მილანის საერთაშორისო კონკურსის მეორე პრემიის ლაურეატი გახდა. საკონცერტო პროგრამაშია სკარლატის, შუმანის, დებიუსის და სკრიაბინის ნაწარმოებები.

11 მაისს თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“ და სოლისტები კატია სკანავი – ფორტეპიანო (საბერძნეთი), მარტა აბრაჰამი – ვიოლინო (უნგრეთი), ვიტალი ნაზაროვი – ჰობოი (რუსეთი), თამარ ლიჩელი – ფორტეპიანო, ჰაიკ ბაბაიანი – ჩელო და ნოდარ ჟვანია – ალტი შეასრულებენ მოცარტის კვარტეტი ჰობოის, ვიოლინოს, ალტისა და ჩელოსთვის, პულენკის ტრიო ფორტეპიანოს, ჰობოისა და ჩელოსთვის, ალბინონის კონცერტი ჰობოისა და ორკესტრისთვის, ვივალდის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის „ლ'ამოროსო“ და ბახის კონცერტი ვიოლინოს, ჰობოისა და ორკესტრისთვის ნაწარმოებებს.

თბილისში დასკვნითი კონცერტი 12 მაისს გაიმართება და მიეძღვნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნას. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ოპერის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი, დირიჟორი ზვიად ბოლქვაძე და სოლისტები ნანა ქავთარაშვილი (სოპრანო), ირინა ალექსიძე (მეცო სოპრანო), გია ონიანი (ტერნორი) და გიორგი გაგნიძე (ბარიტონი). კონცერტმაისტერი ვიქტორია – ჩაპლინსკაია. დასკვნით კონცერტზე ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები შესრულდება. კონსერვატორიაში შეკრებილი მსმენელი მოისმენს ოთარ თაქთაქიშვილის მინდიას არიებს ოპერიდან „მინდია“, ბიძინა კვერნაძის შუშანიკის არიას ოპერიდან „იყო მერვესა წელსა“, სულხან ნასიძის ვოკალურ ციკლს ქართულ პოეზიაზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ნაწარმოებება „ავე მარიას“ და „სანკტუსს“ (არანჟირებისა და ორკესტრობის ავტორი ზვიად ბოლქვაძე).



მთის მკაცრ
და ვაჟკაცურ ტრადიციებზე
აღზრდილ უღალატო კაცს,
ტრადიციული ოჯახის თავკაცს,
კავშირგაბმულობის
ღვაწლმოსილ მუშაკს, ჩვენს
ძმასა და მეგობარს, მარად
უბერებელ

ბიჯიკო მოლოდინს

ვუილოცავთ 75 წლის იუბილეს
და ვუსურვებთ ხანგრძლივ,
ჯანმრთელ და ბედნიერ ცხოვრებას
საყვარელ ოჯახთან ერთად.

ელგუჯა, ჯონდი, ომარ გაბეჩავები,
ავთანდილ ბენდუქიძე, მამია სულაბერიძე,
ვალიკო გოგიაშვილი, პირუზ ჩოხელი.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. თეთრი ფერის, ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 2. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 3. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იაპონიაში; 5. დაბალხარისხოვანი თამბაქო; 6. გრძელ დისტანციებზე მორბენალი მძლეოსანი; 9. ქართველი კალათბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი; 10. სასადილოების რიგი ძველ თბილისში; 11. სამეფო რეზიდენცია ლონდონში; 14. ქედებისა და მთათა სახელწოდება შორეულ აღმოსავლეთსა და კამჩატკაზე; 16. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 18. პატარა თეზსაჭერი გემი; 20. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 23. უკრაინის პარლამენტი; 24. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 25. ვრცელი ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 26. მაღალყელიანი კალოში.

თარაზულად: 7. ადამიანის ყოფიერების ზოგადი კანონზომიერების შემსწავლელი ფილოსოფიის ნაწილი; 8. ბუნებრივი ნაკრძალის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 12. რიტმული სვლა მწყობრი ნაბიჯით; 13. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 15. მწვერვალი კავკასიონზე; 17. უჩვეულო, მოულოდნელი აზრი, მსჯელობა, ქმედება; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 21. ტროპიკული ხვიარა მცენარე; 23. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 27. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 28. მათეთრებელი თიხა ნავთობპროდუქტების გასაწმენდად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იალბუზი; 2. გაგარინი; 3. მოხელე; 4. ქცევა; 5. კარერასი; 8. ბარახასი; 12. რომი; 13. პოლემიკა; 14. ბრინჯი; 16. დარიალი; 18. კოდაი; 20. ჯუნო.

თარაზულად: 6. საფიჩხია; 7. პრომოცია; 8. ბეჟარი; 9. ფურკა; 10. ფიტარეთი; 11. აფერისტი; 15. სოლისიტორი; 17. ციბონა; 19. ჯორჯტაუნი; 21. მიურიდი; 22. საკვოიაჟი; 23. კონფუცი.

კროსვორდი ბ:

შვეულად: 1. ვირტუოზი; 2. ალუბალი; 3. შკოდა; 4. კაზუარი; 5. არაბიკა; 10. მასანდრა; 11. გოლფსტრიმი; 12. ტავერნა; 15. ამაშუკელი; 16. ბაიერი; 17. გუანაკო; 20. პონტო.

თარაზულად: 6. ცივილისტიკა; 7. კაბერნე; 8. ანალგია; 9. ქორალი; 13. ყავა; 14. ბონსაი; 18. ბერნადოტი; 19. ხუნდი; 21. ჭონია; 22. ფინიკი; 23. კოსტელიჩი; 24. ბეისბოლი.



დღის კალენდარი

6 მაისისთვის

წლის 116-ე დღე ახალ წლამდე დარჩა 239 დღე.

ბიწყინვალე შვიდეულის ოთშაბათი

მსგეფსი ხსნილია. წმიდისა დიდებულისა, დიდისა მოწამისა, ძლევაშემოსილისა და სასწაულთმოქმედისა გიორგისა (303);მოწამისა ალექსანდრა დედოფლისა (303); მოწამეთა: ანატოლისა და პროტოლეონისა (303).

საფლავთა კურთხევა.

დაიბადნენ:

1756 – მაქსიმილიენ რობესპიერი, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე, იაკობინელთა დიქტატურის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და ორგანიზატორი. გარდაიცვალა 1794 წელს.

1856 – ზიგმუნდ ფროიდი, ავსტრიელი ექიმი-ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1939 წელს.

1861 – რაბინდრანათ თაგორი, ინდოელი ფილოსოფოსი, პოეტი. გარდაიცვალა 1950 წელს.

1904 – ჰარი ედმონდ მარტინსონი, შვედი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1978 წელს.

1907 – ილია ვეკუა, ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1977 წელს.

1932 – ჯუნა მიქატაძე, მოქანდაკე. გარდაიცვალა 2005 წელს.

გარდაიცვალნენ:

1859 – ალექსანდრ ფონ ჰუმბოლტი, გერმანელი მკვლევარი, გეოგრაფი და მოგზაური.

1862 – ჰენრი დევიდ ტორო, ამერიკელი მწერალი.

1949 – მორის მეტერლინკი, ბელგიელი დრამატურგი.

მოვლენები:

1576 – საფრანგეთში დამთავრდა მეხუთე რელიგიური ომი. ჰუგენოტებმა უფლება მიიღეს, აღესრულებინათ წირვა ყველა ქალაქში პარიზის გარდა.

1626 – ჰოლანდიელმა პეტერ მინუიტმა ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი ტომისგან შეიძინა კუნძული მანჰეტენი 25 დოლარად ღირებული საქონლით.

1840 – ბრიტანეთის ფოსტამ დაიწყო 1 მაისს პირველად გაყიდული საფოსტო მარკების გამოყენება.

1910 – გეორგ V ავიდა დიდი ბრიტანეთის სამეფო ტახტზე.

ღირსსახსოვარი დღეები:

ეგვიპტე – ბაირამი

ლიბანი, სირია – მსხვერპლთა ხსოვნის დღე

აშშ – მედდის დღე

მედიანიუსი

სირიამ ისრაელსა და აშშ-ს 24-საათიანი ულტიმატუმი წაუყენა

სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი იმუქრება, რომ ისრაელის მხრიდან სირიის ტერიტორიაზე მორიგი შეტევა მყისიერ საპასუხო დარტყამს გამოიწვევს, რაც ფართომასშტაბიანი ომის დაწყების საბაბი გახდება. ულტიმატუმი სირიის ლიდერმა რუსეთის შუამავლობით შეერთებულ შტატებში გააგზავნა.

კუვეიტურ გაზეთ „აღ რაის“ ცნობით, ასადი პასუხს 24 საათში ელის, თუმცა რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ პასუხი არ იქნება, გამოცემის წყარო არ აკონკრეტებს.

ასადის ამ მუქარას წინ უძღვოდა, სირიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ფეისალ მიკდადის განცხადება იმის შესახებ, რომ ისრაელის სამხედრო საჰაერო ძალების მიერ სირიის ტერიტორიაზე განხორციელებული ავიადარტყმა აშშ-ს მხარდაჭერით მოხდა.

ამავროულად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ სირიაში ირანი დახმარების მოცულობას ზრდის. ირანის საგარეო უწყება დარწმუნებულია, რომ სირიის სამხედრო ძალები მტერს გაანადგურებს და მისთვის დახმარების აღმოჩენასაც არ ერიდება. ირანის სახმელეთო ძალების სარდალი გენერალი ახმადრეზა პურდასტანის განცხადებით, ირანი მზადაა მოძმე მუსლ0იმურ სახელმწიფოს დახმარების ხელი გაუწოდოს და სირიაში სამხედრო ინსტრუქტორები გააგზავნოს.

ამასთან, ბრიტანული გამოცემა „მირორის“ ცნობით, ირანიდან სულ მცირე ათას ხუთასი სამხედრო უკვე ჩასულია სირიაში. გამოცემის ინფორმაციით, საქმე ეხება როგორც ისლამური რევოლუციის დაცვის კორპუსის უსაფრთხოების სამსახურს, ისე ელიტური განყოფილება „ალ-კუდსის“ მებრძოლებს.

„თეირანი მზადაა გააკეთოს ყველაფერი, რათა არ დაუშვას ასადის რეჟიმის დამხობა, რამდენადაც სირია მას ესაჭიროება როგორც პლაცდარმი აშშ-სა და ისრაელთან ბრძოლაში“, – წერს გამოცემა.

სირიის ტერიტორიაზე ავიდარტყმების პირველი სერია ხუთშაბათს ღამე განხორციელდა, მომდევნო კი, შაბათს ღამე. აფეთქებების მასშტაბებს და მიყენებულ ზიანს ჯერ კიდევ სწავლობენ.

სირიის სახელმწიფო ტელევიზიის ბოლო ინფორმაციით, ისრაელის ავიაციამ იერიში მიიტანა დამასკოს გარეუბანში მდებარე სამხედრო კვლევით ცენტრზე.

„ისრაელის ახალი შეტევა ემსახურება ტერორისტების მხარდაჭერას, რომლებიც გონს ვერ მოდიან ჩვენი არმიის წარმატებული იერიშების შემდეგ“, – იუწყება სირიის ტელევიზია.

ისრაელის ხელისუფლება, რომელმაც წინა ორი ავიაიერიში გარკვეული დროს შემდეგ დაადასტურა, სირიის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე ჯერ-ჯერობით კომენტარს არ აკეთებს.

„ჩვენ ასეთ ინფორმაციებზე რეაგირებას არ ვახდენთ“,– განუცხადა როიტერს ისრაელის არმიის წარმომადგენელმა.

რამდენიმე დღის წინ ისრაელის ავიაციამ სირიის ტერიტორიაზე სამხედრო საწყობი დაბომბა.

ისრაელის ხელისუფლება აცხადებს, რომ ისინი დაინტერესებულნი არიან სირიის ქიმიური იარაღი ტერორისტების ხელში არ მოხვდეს.

„ისრაელის სახელმწიფო მოწოდებულია არ დაუშვას სირიის ქიმიური და სხვა სახის იარაღის ტერორისტების, განსაკუთრებით კი „ჰესბოლას“ ხელში მოხვედრა“, – აცხადებს ისრაელის საელჩოს წარმომადგენელი ვაშინგტონში.

რამდენიმე დღის წინ „ჰესბოლას“ ლიდერმა ჰასან ნასრალამ განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს სირიის პრეზიდენტს ბაშარ ასადს თუ ამის აუცილებლობა იქნება.

შეგახსენებთ, რომ სირიაში 2011 წლის მარტიდან ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეიარაღებული კონფლიქტი მიმდინარეობს, სხვადასხვა მონაცემებით, ამ პერიოდის განმავლობაში, ქვეყანაში 100 ათასამდე ადამიანი დაიღუპა.

გრიბოედოვის თეატრში პიოტრ ფომენკოს მემორიალური დაფა გაიხსნა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

პროექტი, რომლის სახელწოდებაა „ლიტერატურა – მეხსიერების ტერიტორია“ სანქტ-პეტერბურგის ქართული სათვისტომოსა და საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „რუსული კლუბი“ ორგანიზებით ჩატარდა. პროექტის იდეის ავტორია მწერალი და მთარგმნელი ნატალია სოკოლოვსკაია.

– ერთი კვირის განმავლობაში საქართველოში იმყოფება რუსეთის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია. კვირეულის ფარგლებში იგეგმება სტუმრების ვიზიტი საქართველოს კულტურის და ძეგლათა დაცვის სამინისტროში, ასევე შეხვედრები გამოჩენილ ქართველ კულტურის მოღვაწეებთან. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართება მრგვალი მაგიდა და თარჯიმანთა სემინარი. დაიგეგმა სტუმრების მონაწილეობა სააღდგომო ლიტურგიაშიც. დელეგაციაში კი გაერთიანდნენ ირინა ალექსეევა (სანქტ-პეტერბურგის თარგმანის უმაღლესი სკოლის დირექტორი), ეს სკოლა ფუნქციონირებს გაეროს და ევროკომისიის ეგიდით; ირინა ერისანოვა (ბორის პასტერნაკის სახლ-მუზეუმის დირექტორი პერედელკინოში, მწერალი, ლიტერატურათმცოდნე); ნატალია გრომოვა (მარინა ცვეტაევას სახლ-მუზეუმის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ლიტერატურის ისტორიკოსი, მწერალი); ალა ჩიკიჩევა (დოკუმენტური ფილმების რეჟისორი, ალექსანდრე ნეველის პრემიის ლაურეატი); ნინა პეტლანოვა („ნოვაია გაზეტას“ ჟურნალისტი); გალინა არტემენკო (საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმ-ბალტიკას“ ჟურნალისტი); ნატალია სოკოლოვსკაია (მწერალი, გამომცემლობა „ლენიზდატის“ წამყვანი რედაქტორი), – განაცხადა რუსული კლუბის წარმომადგენელმა ნინო წითლანაძემ.

აშშ-ის სამმა შტატმა ტამერლან ცარნაევისთვის სასაფლაოს გამოყოფაზე უარი განაცხადა

აშშ-ის სამმა შტატმა – მასაჩუსეტმა, კონეკტიკუტმა და ნიუ-ჯერსიმ უარი განაცხადეს ბოსტონის ტერაქტის ერთ-ერთი სავარაუდო ორგანიზატორის, 26 წლის ტამერლან ცარნაევისთვის სასაფლაოს გამოყოფაზე.

ცარნაევის ცხედარი ამჟამად ქალაქ ვისტერის დამკრძალავიო ბიუროს მორგშია მოთავსებული.

გავრცელებული ინფორმაცის მიხედვით, დაუგეგმავად გამართული აქციების მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ ცარნავეი აშშ-ის ფარგლებს გარეთ დაკრძალონ.

ცარნავეის ბიძამ მედიასთან განაცხადა, რომ მისი ძმიშვილი „აშშ-ში ცხოვრობდა, აქ გაიზარდა და მისი სამშობლო იყო აშშ. ის მიწას აქ უნდა მიებაროს“.

დამკრძალავი ბიუროს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ისინი დაკრძალვის პროცედურას ატარებენ იმის მიუხედავად ვინ იყო გარდაცვლილი.

„ჩვენ ვკრძალავთ ადამიანებს იმის მიუხედავად თუ ვინ იყვნენ ისინი სიცოცხლეში, დავკრძალავთ ცარნაევსაც. რადგან ჩვენ უარი გვითხრეს კემბრიჯში და სხვა ადგილებში, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვერ შევძლებს მის დაკრძალვას“, – განაცხადა ბიუროს უფროსმა.

შეგახსენებთ, რომ ტამერლან ცარნაევის ქვრივმა, უარი განაცხადა ცხედრის წაღებაზე. ქეთრინ რასელმა აღნიშნა, რომ ეს მისმა ნათესავებმა უნდა გააკეთონ, იტყობინება ამერიკული მედია-საშუალებები.

ქეთრინი და მისი ოჯახი, კვლავაც განიცდიან მომხდარის გამო და თანაუგრძნობენ ტერაქტის დროს დაღუპულთა ოჯახებს, განაცხადა რასელის ადვოკატმა. ადვოკატისვე სიტყვებით, ქეთრინი აკეთებს ყველაფერს, რათა ხელი შეუწყოს ტერაქტის გამოძიებას.

ტამერლან ცარნაევი და მისი ძმა ბოსტონში მომხდარი ტერაქტის ორგანიზატორად ითვლებიან, რომლის დროსაც სამი ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე ათეული დაშავდა.

ჯოზეფ ბაიდენი საპრეზიდენტო არჩევნებში, შესაძლოა, ჰილარი კლინტონს დაუპირისპირდეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დაკავშირებით არც ბაიდენს და არც კლინტონს ჯერ-ჯერობით განცხადებები არ გაუკეთებიათ.

„იმაზე საუბარი თუ რა მოხდება ხვალ ან ერთი წლის შემდეგ შეუძლებელია“, – ასე უპასუხა ჟურნალისტის კითხვას ჰილარი კლინტონმა, მის მომავალ გეგმებთან დაკავშირებით.

„ამ საკითხთან დაკავშირებით, საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია“, – განაცხადა ქვეყნის მეორე პირმა ტელეარხ „სიენენისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ვიცე-პრეზიდენტმა აღიარა, რომ ასაკის მიუხედავად, „შესაძლოა, მთელი ცხოვრების მანძილზე სწორედ ახლაა საუკეთესო ფორმაში“.

„თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ჩემი სამუშაო მომწონს და სანამ შესაძლებლობა მექნება, ვიმუშავებ“, – აღნიშნა ვიცე-პრეზიდენტმა.

ჯოზეფ ბაიდენი სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობაზე ორჯერ იყრიდა კენჭს – 1988 და 2008 წლებში. პირველი კამპანიის დროს მას კარგი შანსი ჰქონდა.

სტატისტიკა ბაიდენის წინააღმდეგაა: აშშ-ის ისტორიის მანძილზე სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობაზე 70 წელს გადაცილებული არცერთი კანდიდატი აურჩევიათ. არჩევნების დროს ბაიდენი 73 წლის იქნება. მასზე ერთი წლით უმცროსია ჯონ მაკკეინი, რომელიც 2008 წელს საპრეზიდენტო რბოლაში ბარაკ ობამასთან დამარცხდა.

აშშ-ის ყველაზე ხანდაზმული პრეზიდენტი რონალდ რეიგანი იყო, რომელსაც არჩევნებში გამარჯვების დროს 69 წელი შეუსრულდა. რეიგანმა თეთრი სახლი 78 წლის ასაკში დატოვა.

ჯოზეფ „ჯო“ ბაიდენი აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტია 2009 წლიდან. აშშ-ის უფროსი სენატორი დელავერიდან 1973-2009 წლებში.

სამგლოვიარო განცხადებები

დედა მაყვალა ვაშაკიძე, მამა ბორის კორძაძე, მეუღლე მერაბ გიორგობიანი, შვილები ნატალი და ირაკლი გიორგობიანები, და მანანა კორძაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლია კორძაძე

პანაშვიდი: 7, 8 მაისს;
დაკრძალვა: 9 მაისს, 15 საათზე.
მისამართი: ჩიტაიას №20

გაზეთი „ახალი თაობა“ სამძიმარს უცხადებს მანანა კორძაძეს დის

ლია კორძაძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

სამშაბათი 7 მაისი

6.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 ტ/სერ „ბორჯია“ 17.00 დ/ფ „თანამედროვე სნაიპერი“ 18.00 „ეპეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „სიყვარული შიშით“ 21.00 ტ/სერ „ბორჯია“ 22.00 „აქცენტები“ 23.30 მხ/ფ „ბენჯამინ ბატონის იდუმალი საძმე“ (ბრ.პიტი)

8.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ — „ლუბლინი“ 14.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა“ 6 ნაწ. 16.00 დ/ფ „ფერების სამყარო“ 3 ნაწ. 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი“00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

7.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი“ 11.20 სერ. „მაფიის ძვრივი“ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კონცერტი: „ლიზა ბაგრატიონი“ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „მაგნატები“ 5 სერ. 18.50 სერ. „აპრძალული სიყვარული“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ახალი საბავშვო ხმა (პ/ე) 00.15 მხ/ფ „აუხდენელი ოცნებები“ (ვ.კასელი)02.00 მუსიკა

7.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მეშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ. „ერთგულების ქალა“ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია. 23.30 სერ. „ბრიმი“01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

6.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.35 მხ/ფ „ჭრიჭინა“ 08.00 დილის ლოცვა 08.10 სახარება 08.15 ერთი წვეთი 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ქრისტიანული სწავლება 10.55 საუბრები ლიტერატურაზე 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „რაც გინახავს,ვეღარ ნახავ“ 13.25 კონცერტი - ელისო ვირსალაძე, ნიკოლოზ რაჭველი (შუმანის კონცერტი) 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „წმინდა მიწაზე“ II ნაწ. 15.55 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 16.20 კონცერტი - საგალობლების საღამო 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ივერიის ღვთისმშობლის ხატი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 6000 დავით გარეჯელი მოწამე 21.35 ჩვენი ბიბლიოთეკა 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 ჩვენი ფონდი 23.30 მოკ/ფ „ქვევრი“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.40 ირაო „აღდგომა აფხაზეთში“

მაესტრო 7.00, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 10.00, 1.00 ახალი ამბები 8.10, 9.15, 10.15 მაღვიძარა 11.00, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 16.20 „ჩვენ“ (გამ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ „სუბ. აზრი“ 19.15 სერიალი „სიყვარული და სასჯელი“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური ამბები“ 23.00, 3.00 თოქ-შოუ — „პოლიტმეტრი“

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 მაისი

- აშშ დოლარი — 1,6508
- ევრო — 2,1602
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5635
- 100 რუსული რუბლი — 5,2816

ამინდის ჰოროსკოპი 7 მაისისთვის

25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები

უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღეა

ვერძი – დიდი სიხარული გელით, ოცნება აგისრულდებათ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **ლომი** – ცხოვრება გეცვლებათ, გახარებული ხართ. **ქალწული** – არ გარისკოთ, ჩვეული საქმე განაგრძეთ. **სასწორი** – ფული გაქვთ, კიდევ იშოვით. **ღრიანკალი** – წამოჭრილ პრობლემას ადვილად გადალახავთ, მთავარია იმოქმედოთ. **მშვილდოსანი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** – თქვენს საქმეს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდეთ და წარმატება არ აგცდებათ. **მერწყული** – მთლიანობაში წარმატებული დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **თევზები** – გზიდან ვიღაც ჩამოდის, გელით სიურპრიზი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ა

შვეულად: 1. მაკლერის გასამრჯელო ბირჟაზე; 2. ქიმიური ინდიკატორი; 3. თეორიული მექანიკის ნაწილი; 4. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული ძველად; 5. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. მაღალი მორალური ადამიანური ღირებულება; 9. არჩეული წარმომადგენელი; 12. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 13. ხეხილის ბაღი; 16. სამეფო საგვარეულო; 17. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 19. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. უბანი თბილისში.

თარაზულად: 6. უქნარა, უსაქმური ადამიანი; 7. შინაური კურდღელი; 8. სანთლიდან ჩამონაყონი წვეთი; 10. სუდანის დედაქალაქი; 11. ბრაზილიური ყავა; 14. უძველესი გერმანული ტომი; 15. სულიერი დაბაძუნებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 18. საჭმელი სოკო; 21. ქართული ოდას აივანი; 22. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 23. უცხოური ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 24. ფრანგი მეიგავე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ კონსერვატორიაში ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

7 მაისს ვანო სახაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში უკვე მეხვედ საზეიმოდ გაიხსნება საეროთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“. ფესტივალის ორგანიზატორია „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საქველმოქმედო ფონდი“, სამხატვრო ხელმძღვანელი კი აღექსანდრე კოროსანტია.

საფესტივალო კონცერტები თბილისში ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდება, მოგვიანებით კი მთელ საქართველოს მოიცავს.

– თუ გვსურს საზოგადოების წინსვლა, უნდა ვიზრუნოთ მისი კულტურის ამაღლებაზე, – ბრძანა მისმა უწმინდესობამ. საქართველოს პატრიარქის ეს გამონათქვამი ყოველწლიური ფესტივალის მთავარ აზრობრივ იდეად იქცა და განაპირობა მისი მაღალი პროფესიული დონე. სწორედ ამიტომაც ამ ფესტივალმა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ღირსეული ადგილი მოიპოვა. საქართველოს პატრიარქის რჩევით, ფესტივალი საგანმანათლებლო მისიის მატარებელია და მოძალებული ფსევდო კულტურის ფონზე ახალგაზრდების ცნობიერების სწორად ჩამოყალიბებას ემსახურება. იმთავითვე განისაზღვრა მისი საქველმოქმედო დანიშნულებაც, საღამოებზე დასწრება თავისუფალია. ფესტივალის მთავარი მონაპოვარია მისი საყოველთაობა და მასშტაბი.

უდიდესი საეკლესიო დღესასწაულის აღდგომის შემდგომ, ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში ქვეყნის საკონცერტო დარბაზები ეთმობა პროფესიონალურ შემოქმედებას, სასულიერების სწორად ჩამოყალიბებას ემსახურება. იმთავითვე განისაზღვრა მისი საქველმოქმედო დანიშნულებაც, საღამოებზე დასწრება თავისუფალია. ფესტივალის მთავარი მონაპოვარია მისი საყოველთაობა და მასშტაბი.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ქართველი სპორტსმენები სოჭში გამოვლენ

სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებამდე წელიწადზე ნაკლები დარჩა და ქართველი სპორტსმენების მასში მონაწილეობის საკითხი დღემდე გადაწყვეტილი არ იყო. ამ ყბადაღებულ თემასთან დაკავშირებით 2 მაისს სეოკ-ის რიგგარეშე სესია გაიმართა და სოჭში წასვლა-არწასვლის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს საბოლოოდ დაესვა წერტილი.

სესიას სეოკ-ის აღმასკომის წევრები, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციების ხელმძღვანელები და ოლიმპიური ჩემპიონები დაესწრნენ. დღის წესრიგის მთავარი საკითხიც „სოჭი 2014“ იყო. სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა ვრცლად ისაუბრა ამ კუთხით არსებულ ვითარებასა და იმ სამომავლო შედეგებზე, რაც შეიძლება ოლიმპიადის ბოიკოტირების შედეგად მივიღოთ. მისი თქმით, არავინ დავობს, რომ რუსეთს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებული აქვს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამას სპორტთან არავითარი კავშირი არა აქვს. ბოიკოტს არა სოჭს, არამედ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გამოვუცხადებთ, რომელსაც აქვს ექსკლუზიური უფლება ამა თუ იმ ქალაქს მიანიჭოს ზამთრისა თუ ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება.

თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ნინო სალუქვაძემ, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კახი კახიაშვილმა, ასევე ფიგურული ციგურაობის, სამთოსათხილამურო სპორტის, კალათბურთის, ხელბურთის, რაგბის, ფეხბურთის, ფარიკაობის, ჭიდაობის ფედერაციათა ხელმძღვანელებმა.

საბოლოოდ ხმის უფლების მქონე დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საქართველოს დელეგაციის სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას.

სეოკ-ის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვის თქმით, სესიამ მართებული გადაწყვეტილება მიიღო, რადგან სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან უნდა გამიჯნოს და სპორტსმენს არ უნდა წაერთვას ისეთ გრანდიოზულ სპორტულ ფორუმზე გამოსვლის უფლება, როგორიც ოლიმპიური თამაშებია.

მოამზადა მანეილ ჟორჟოლიანმა

ჯოზეფ ბაიდენი საპრეზიდენტო არჩევნებში, შესაძლოა, ჰილარი კლინტონს დაუპირისპირდეს

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას და კონკურენციას გაუწევს ქვეყნის ყოფილ სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონს, თუ ეს უკანასკნელი იმ დროისთვის არჩევნებში მონაწილეობაზე დათანხმდება. შესაბამისი მოსაზრება მიუ-მექსიკოს შტატის გუბერნატორმა ბილ რიჩარდსონმა გამოთქვა, რომელსაც ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში ენერგეტიკის მინისტრისა და გაეროში აშშ-ის წარმომადგენლის პოსტები ეკავა.

„ვფიქრობ, რომ ჯონ ბაიდენი არ დათმობს. ვფიქრობ, რომ ის წამოაყენებს საკუთარ კანდიდატურას. ჰილარი იყო ბრწყინვალე, ამაში დაეჭვებაც არ შეიძლება. მაგრამ მე ბაიდენს უკვე მრავალი წელია ვიცნობ. მას ყოველთვის სურდა გამხდარიყო პრეზიდენტი, და მან იცის როგორ მიაღწიოს საწადელს“, – განაცხადა რიჩარდსონმა.

2008 წელს ბაიდენი პრაიმერიზში დამარცხდა ბარაკ ობამასთან და ჰილარი კლინტონთან და საკმაოდ ადრე ჩამოშორდა საპრეზიდენტო მარათონს.

მოგვიანებით იგი წინასაარჩევნო ბრძოლაში ბარაკ ობამამ მიიწვია და ობამა ბაიდენის ტანდემმა რესპუბლიკელების ჯონ მაკკეინისა და სარა პეილინის დუეტი დაამარცხა.

გასულ წელს ობამამ და ბაიდენმა კვლავ გაიმეორეს ადრინდელი წარმატება და ამჯერად მიტ რომნი და პოლ რაინი დაამარცხეს.

2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან

გაგრძელება მე-11 გვერდზე

გუდიაშვილის სკვერის რეაბილიტაცია შეწყვეტილია

ეკა ირემაშვილი

ლადო გუდიაშვილის სახელობის სკვერის რეაბილიტაცია შეწყვეტილია. როგორც ჩანს, პერმანენტულმა საპროტესტო აქციებმა შედეგი გამოიღო და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად წოდებული ტერიტორიის განადგურება აღარ გაგრძელდება.

„თბილისის განვითარების ფონდის“ ინფორმაციით, „თბილისის განვითარების ფონდსა“ და შპს „ირაო მაგნატ გუდიაშვილს“ შორის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების გაფორმება მოხდა. მთელი უძრავი ქონება, რომლის რეაბილიტაციაც ინვესტორს ეკისრებოდა, დაბრუნდა „თბილისის განვითარების ფონდის“ საკუთრებაში და სამომავლოდ უკანასკნელი მოახდენს აღნიშნული შენობების რესტავრაციას. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც „ირაო მაგნატ გუდიაშვილმა“ პროექტიდან გასვლა ისურვა.

კომპანიამ წერილი საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერის, კულტურის მინისტრის, თბილისის მერიისა და თბილისის განვითარების ფონდის უფროსის, დავით ავალიანის სახელზე ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში დაწერა. როგორც წერილშია აღნიშნული, გუდიაშვილის რეაბილიტაციის ინვესტორი, თბილისის განვითარების ფონდთან გაფორმებული კონტრაქტის შეწყვეტას გარკვეული არგუმენტების საფუძველზე ითხოვდა. მათი თქმით, გუდიაშვილის სკვერის რეაბილიტაცია თავისი მთავარი პარამეტრებით, რომელიც ყველა მთავარი ნაგებობის დანგრევას გულისხმობს, არ ყოფილა მათი ინიციატივა და არც მართული ყოფილა მათ მიერ, არამედ ის თბილისის განვითარების ფონდმა და ქალაქ თბილისის მერიამ ასეთი ფორმით მიყიდა. მათივე მტკიცებით, „ირაო მაგნატი“ თავის მხრივ, ბოლო პერიოდში მრავალ კომპრომისზე წავიდა, იმის მცდელობით, რომ მოეხდინა ექსპერტთა სხვადასხვა შეხედულებების ინტეგრირება კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად, რამაც კომპანია პროექტის დროის საგრძნობ გახანგრძლივებამდე და პროექტის ეკონომიკური პერსპექტივის დაკარგვამდე მიიყვანა. მათი მტკიცებით, უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში პროექტის პირობები შეილახა უკვე მიუღებელ დონემდე. კომპანია რამდენიმე თვის განმავლობაში თბილისის განვითარების ფონდთან დაკავშირებას ვერ ახერხებდა და ვერ იღებდა პასუხებს პროექტის შემდგომი განვითარებისთვის ყველაზე გადაუდებელ თხოვნებზე. არსებობდა პოლიტიკური წნეხი და ლობირება ირაო მაგნატის ადგილობრივი არქიტექტორების წინააღმდეგ. ირაო მაგნატის განცხადებით, მთავრობისა და ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ოფიციალურად უცხადებდნენ, რომ კონტრაქტით შეთანხმებულ ტექნიკურ პარამეტრებს აღარ ექნებოდა მათი მხარდაჭერა და ისინიც მიხვდნენ, რომ უკვე შეიცვალა ან იცვლებოდა მათთვის არახელსაყ-

გაგრძელება მე-7 გვერდზე